

# വെളുപ്പൻ

№1. 2021





აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო



**იალქანი** – შამეცნებით-ლიტერატურული  
 შურნალი ყმანვილთათვის  
 დაარსებულია 1996 წელს



სსიპ „კულტურის, სპორტისა და  
 ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური“  
 დირექტორი **ლია კვარაცხელია**

რედაქტორი **ნანა ჭანტურია**  
 მხატვრული რედაქტორი **ნუნუ ჯანელიძე**  
 მხატვარი, პასუხისმგებელი მდივანი **დალი მუსაყე**  
 დიზაინი, დაკაბადონება **პასტანგ ზაქარაია**

პუნტიკურია, რომელიც გვიამბობს XIX-  
 XX სს.-ში მოღვაწე „ერთადერთი ნამდვილი  
 ქართველი მილიონერის“ – აკაკი ხოშტარიას  
 თავგადასავალს. მოგვანოდა წნობილმა პოეტმა  
 და აღმოსავლეთმცოდნემ გიორგი ლომაჯანიძემ.  
 მკითხველი ექსკლუზიურად გაიგებს, ვინ არის  
 ეს დიდი ქართველი, რომელსავე შთამომავლების  
 გარდა არავინ იხსენებდა, როგორი ნარსდელი  
 კვალი დატოვა თავისი მუწუნაობით  
 საქართველოში და მის ფარგლებს  
 გარეთაჲ. **გვ. 8**

**რას წაიკითხავთ  
 „იალქანში“**

XX ს.-ის 70-იან წლებში სოხუმის  
 ქართული თეატრის ყოფილი მთავარი  
 რეჟისორი, ფლეს თეატრალური უნივერსიტეტის  
 პროფესორი დავით კობახიძე იხსენებს  
 ერთ-ერთ საგასტროლო კურორტს. ამბავი  
 სიუჟეტურად ვითარდება აფხაზეთა. იმ ადამიანთა  
 გარემოებაში, ქართულ-აფხაზური ურთიერთობა  
 ჯერაჲ ერთმანეთისაგან განუყოფლად  
 რომ მიაჩნდათ. **გვ. 22**

ლევან ანჩაბაძისა და ჭანუა ამირეჯიბის  
 ურთიერთობა შორეულ მანძილზე.  
 საკონტრაქტო მანაკში ყოფნის მერე მათ  
 მეგობრობაში გადაიზარდა. ნინო ანჩაბაძე  
 გვიყვება მამამისის ტკივილითა და ფაფურაკებით  
 სავსე რხოვრებაზე. გერმანიაში ტყვეობაზე.  
 რინდულ სულზე. რამარ ზევი ნინალმდევრებთან  
 დააძლევინა „ზრნეინვალე აფხაზ  
 თავადს“. როგორც ამბობს მასზე  
 ჭანუა ამირეჯიბი. **გვ. 32**

არასოდეს ემღერება. თუ დასანგრევია  
 სტრუქტურა და მაშინ მისი ხმა მარტო სწენიდან  
 კი არა, ქვეყნის გასაგონადარ უნდა გაუღერდეს.  
 ასე მიაჩნია ზურაბ მანჯავიძეს. რუმბიკა  
 „ნითელი ხალიჩის“ სტუმარს. მუდამ ლიმილიანს.  
 პოზიტიურს, საინტერესო რესპონდენტს.  
 რნობილ ანსამბლ „ფორტესთან“ ერთად  
 „თბილისის მზის“ მესოტმეს. **გვ. 48**

**საგამომცემლო ჯგუფი:**

გიგლა გოგაჩია, ნინო ვახანია, ზაურ კალანდია, სალომე კახანაძე, დავით კობახიძე, ნატო კორსანტია,  
 ნუგზარ მგალოზიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ვენერა რუხუა, პაბთა ქურდოვანიძე, ბელა ჩხვანავა,  
 მარია ნიკლაური, სოსო ჭუმბურიძე, ეკა ხოფერიანი.

## თბილისში მოღვაწე ფოტოხელოვანის - დიმიტრი ერმაკოვის დაბადებიდან 175 წელი

ოსმა მანია

ცნობილი რუსი ფოტოგრაფი, წარმოშობით იტალიელი – დიმიტრი ერმაკოვი დაიბადა 1846 წელს, თბილისში (წოდებითი წყაროს მიხედვით ნახჭივანში – აზერბაიჯანში).

მისი მამა, იმ დროისთვის კარგად ცნობილი იტალიელი არქიტექტორი – ლუდოვიკო კამბიჯო მფინსნაცვალ მიხილ ვორონცოვთან ერთად ოდესიდან თბილისში ჩამოვიდა, დედა კი – გალაკნელი გლეხის ქალი იყო (ერმაკოვი – მამინაცვლის, ივანე ერმაკოვის გვარია). დაუფლა რა საქართველოში ადგილის ტოპოგრაფიულ გადაღებასა და საბამოგამოლო საქმეს, დიმიტრი ერმაკოვი დაუახლოვდა თბილისში მცხოვრებ რუს მხატვარ-ფერწერასა და ფოტოგრაფს – პეტრე კოლჩინს. ზუსტად 155 წლის წინათ, 1866 წელს მათ „ფოტოცოვიას“ ქუჩაზე დააარსეს პორტრეტული ფოტო-სახელოსნო „მხატვარ კოლჩინისა და ერმაკოვის ფოტოგრაფია“ (ახლანდელი მოსწავლეთა სასახლის პირდაპირ).

განსაკუთრებული ინტერესი აფხაზეთის მიმართ, როგორც ლანდშაფტური, ისე კულტურული გარემოს თვალსაზრისით, გაძლიერდა XIX ს.-ის შუა პერიოდიდან. ბუნებრივია, საექსპედიციო მოგზაურობას აფხაზეთში ადგილობრივი გარემოს, ეთნოკულტურის, სამიმოსვლო ინფრასტრუქტურის კარგი ცოდნის გარდა, განსაკუთრებული მატერიალური სახსრები სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ, ამ პერიოდის მოგზაურებად მაღალი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები – ხშირად გრაფები და ბარონები გვევლინებიან.

ჩვენი ყურადღება ამჯერად მიიქცია დღემდე მოღწეულმა უნიკალურმა არტეფაქტებმა – თითქმის 140 წლის წინ აფხაზეთში გადაღებულმა ფოტოებმა; თითოეული უკავშირდება ორი ცნობილი მოღვაწის სახელს – **პრასკოვია უვაროვასა და დიმიტრი ერმაკოვს**. თავის დროზე მათ დიდი სამსახური გაუწიეს ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევა-ფიქსაციას.

**პრასკოვია უვაროვას, რუს მეცნიერსა და არქეოლოგს**, ცნობილი არქეოლოგის – გრაფ ალექსეი უვაროვის მეუღლეს, შემდგომში მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ხელმძღვანელსა და ამავე საზოგადოების თბილისის ბიუროს დამაარსებელს, **შავიზღვისპირეთში მოგზაურობისას თან ახლდა ამიერკავკასიაში ცნობილი ფოტოგრაფი დიმიტრი ერმაკოვი.**

**ეს მოგზაურობა 1886 წელს შედგა.**

როგორც გრაფინია პრასკოვია უვაროვას საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული არქივის ფოტოპირებიდან ირკვევა, მისთვის ექსპედიციაში დიმიტრი ერმაკოვის წაყვანა ურჩევია ევგენი ვეიდენბაუმს, შემდგომში მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ერთ-ერთ დამფუძნებელს, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის, გეოგრაფიისა და კულტურის მკვლევარს. ამ დროს ფოტოგრაფი 40 წლის იყო.

საგულისხმოა, რომ პრასკოვია უვაროვასა და მიხილ ერმაკოვის ურთიერთობა ამ მოგზაურობიდან ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდა – ფოტოგრაფი მკვლევრისთვის საჭირო რელიკვიების ფოტოებს სიცოცხლის ბოლომდე ამზადებდა. უნდა ითქვას ისიც, რომ დიმიტრი ერმაკოვის ბოლო ექსპედიცია 1910 წელს, ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად შედგა.

1886 წლის შავიზღვისპირეთში მოგზაურობის დღიურები პრასკოვია უვაროვამ 1891 წელს მოსკოვში გამოსცა. **კავკასიაში მოგზაურობის ამსახველი გამოცემის ეს მეორე ტომი აერთიანებს აფხაზეთში, აჭარასა და შავშეთში მოგზაურობის პერიოდს. გამოცემის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება აფხაზეთს, თუმცა მას არ ახლავს ილუსტრაციები.**

დღეს ჩვენს მკითხველს სწორედ ამ ექსპედიციის ერთ-ერთ ფოტოს ვთავაზობთ და აქვე ვაანონსებთ, რომ ამ მოგზაურობის უნიკალურ ჩანაწერებს, რომლებიც 135 წლის წინანდელი აფხაზეთის ყოფით გაჩემოს თვითმხილველის თვალით ასახავს, „იალქნის“ შიგნით ნომრებში გამოვაქვეყნებთ.



სოხაჲის სანაჲიხოს ხელი. 1880-1900 წ.წ.  
დიმიტრი ერმაკოვის ფოტო



„რქავარდინი ირემი“ მწერალ მერაბ აბაშიძის ერთ-ერთი გამორჩეული მოთხრობაა.

რქავარდინი ირემი მოსუცი მონადირის ნააგობი ბავშვობიდან სდევს მოთხრობის გმირს; უნახავად შეყვარებული, მასთან შეხვედრის იმედით იგი ტყეში დასეპილდობს. ტყის სული, პატარა გომონა, ეხმარება ახალგაზრდა მონადირეს, შეხვედრის რქავარდინი ირემს; თუმცა, როცა მონადირე მართო სვლითა გუნდის ულაგაჟის არსებას, ერევა ადამიანური სისუსტე და... იარაღსაც უმიზნებს მას. რა თქმა უნდა, ცოდვის შვილმა მშვენიერება ვერ მოიხელთა და გაიშტა კიდეც იგი სასიკვდილოდ. უფრო მთავარი სათქმელი აქედან იკვთება: ოცნებასავით მიუფრომელი ტყის მაღალფენება ნიშნა ის ლუკჯი ფრინველია, რომელიც მუდამ ხელიდან გვისსლტება; მარამ ის, ვინც გულში ჩაიდებს რქავარდინი ირემის დასაქუთების სურვილს, თავად დაკარგავს თავისუფლებას და მის ტყვეობაში დარჩება.

მერაბ აბაშიძის ინტელექტუალურ შემოქმედად მიიჩნეოდნენ. პროფესიით ეჟიმის პირველივე მოთხრობას „აქით გახსლვები, კვაზიმოდო!“, დაგაჟდის ჟურნალ „ცისკარში“, დიდი რაჟონანი მოჟყვა ლიტერატურულ წრეებსა და საჯოგალოებაში. თაობის მოთხრობად მიჩნეული ამ ნაწარმოების მიხედვით მოგვიანებით ფილმიც კი შეიქმნა.

მერაბ აბაშიძე გარდაიცვალა 39 წლის ასაკში, 2000 წელს.

## რქავარდინი ირემი

მერაბ აბაშიძე



მოხუცმა მონადირემ მითხრა საიდუმლოდ: ერთხელ ნადირობისას, რქავარდინი ირემი ვნახეო. ბავშვობაში მითხრა ეს... ჰოდა, მეც სიყმანვილიდან დავეძებდი იმ ირემს.

რქავარდინი ირემი მშვენიერება იყო თავად და, ალბათ, ეს თუ მიმღვრევა სისხლს:

არ დავმაღავ და, უკვე უნახავად მიყვარდა იგი...

ისიც ვიცოდი, ჩემს ტრფობას რომ იუკადრისებდა, ეს უფრო მაცოფებდა.

ხშირად მომჩვენებია სიზმრად – მაღალი, ამაყი, რქებზე შემონული პანანინა, წითელი ვარდებით.

ჰო, სასწაული იყო იგი – ცით გადმოვლენილი, ნისლოვან ტყეებში ოქროსფერ ზმანებად მოარული, ნაზი და სევდიანი.

ერთხელ, მის ძებნაში გზა ამებნა ტყეში.

ბინდდებოდა.

ხეზე ავძვერი და ტოტებს შორის მოვიკალათე.

იმედი მქონდა, დილით გზას როგორმე გავიგნებდი.

უეცრად სიმლერის ხმა შემომესმა.

დაბლა ჩავიხედე.

პატარა, ლამაზი გოგონა დავინახე, კალათით ხელში...

– ჩამოდი, – თქვა უბრალოდ და მის თვალეებში უცნაური სხივი გაკრთა.

ძირს ჩავედი.

იდგა და მილიმოდა.

– ვინა ხარ? – ვკითხე.

– მე ამ ტყის სული გახლავარ, – მომიგო მან,

– ვიცი, რომ გშია და გწყურია, ჰოდა, აი! – მან ამ სიტყვებზე კალათიდან საუზმე და დოქით ნყალი ამოილო.

გაოცებული უხმოდ შევექეცი საჭმელს.

– მაშ, რქავარდინი ირემს ეძებ? – მკითხა უცებ. თავი დავუქნიე.

– ძალიან გსურს მისი ნახვა?

– ჰო! – ვთქვი და ვიგრძენი, სახეზე როგორ მომანვა სისხლი.

– მომეცი შენი თოფი!

შევეყოყმანდი. ბოლოს მაინც მივანოდე.  
 – ახლა დანა!  
 ისიც მივეცი...  
 იარაღი თხრილში ჩაყარა.  
 – ახლა კი, ელოდე! – გაიღიმა მან და...

გაქრა.

დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია.  
 მწვანე ტევრი გადაიპო და ჩემს წინ  
 რქავარდიანი ირემი აისვეტა!  
 როგორ გადმოვცე მისი მშვენიერება!  
 ენაჩავარდნილი დიდხანს ვუმზერდი.  
 მალე ის ჰაერში გამკრთალდა და გოგონას წკრიალა ხმა  
 შემომესმა.

გამოვფხიზლდი.

ტყის სული თავზე მადგა და იარაღს მანვდიდა.

– მეც უნდა წავიდე, – თქვა მან.

ცრემლები წამსკდა... ვემუდარებოდი, კიდეც ერთხელ ენახებინა  
 ჩემთვის რქავარდიანი ირემი... ვიმუქრებოდი, ვინყევლებოდი, ერთი  
 ორჯერ თოფსაც კი წამოვავლე ხელი, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

– თუ ბედი გაქვს, კიდეც ნახავ! – თქვა მშვენიერმა არსებამ და  
 გაუჩინარდა.

თანდათან რისხვა დამიციხრა და სინანულმა შემიპყრო.

ამ ყოფაში ჩამეძინა კიდეც...

გათენებისას გამელვიდა.

ძალიან სუსტად ვგრძნობდი თავს.

წამოვდექი და ბილიკის საძებნელად წავლასლასდი.

უცებ... რქავარდიანი ირემს მოვკარი თვალი!

არ ვიცი, რა დამემართა... რაღაც უაზრო გააფთრებამ შემიპყრო... თოფი  
 ავწიე, დავუმიზნე და... ვესროლე!

ირემი არც განძრეულა...

მომეჩვენა, თითქოს გაეღიმა კიდეც...

მერე, ხელი ნაბიჯით გამოემართა ჩემკენ.

მთლად აკანკალებულს, სიმწრის ოფლმა დამასხა.

იგი სულ ახლოს მოვიდა ჩემთან, თავი დახარა და ჩემს წინ სისხლის წვეთივით  
 დაეცა წითელი ვარდის კოკორი.

დავიხარე და ავიღე.

– შენი ტყვია ამცდა, – ღიმილით თქვა რქავარდიანმა ირემმა.

მე ხელის ჩამოსმა დავუპირე პირზე, მაგრამ იუკადრისა, განზე დადგა და  
 დამცინავად გადმოხედა.

– ნუ ნახვალ ჩემგან, – შევევედრე და თავი ჩავქინდრე.

– ეს შეუძლებელია! – თქვა მან, – სამაგიეროდ,  
 როცა ჩემი ნახვა მოგინდება, დახედე მაგ ყვავილს და,  
 რაც უნდა შორს ვიყო, მაინც დამინახავ!

ამ სიტყვებზე ის გაქრა.

ეს იყო და ეს...

იმ დღის შემდეგ სანადიროდ აღარ წავსულვარ.

ცხოვრება ისევ თავისი გზით მიდიოდა.

მე, როგორც ყოველთვის, განზე ვრჩებოდი.

მაგრამ ახლა ჩემთან იყო რქავარდიანი ირემის სახება, რომელიც

მამლებინებდა ამ ცრუ წუთისოფელში.

ჰო, ამიერიდან რქავარდიანი ირემს ეკუთვნოდა ჩემი სული...

ჩემი სულიც და მეც!

ხოლო რქავარდიანი ირემი კი... რქავარდიანი ირემი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა,  
 ალბათ.





# XIX ს.-ის სავაჭრო გზავნილები აფხაზეთიდან

ამონარიდები გაზეთ „ივერიდან“. 1894 წ.

## სოსუმი

კოდორის განყოფილებაში მეტად ძლიერ არის გავრცელებული ინფლუენცია.\* სულ ცოტა, ორასამდე ადამიანი იმსხვერპლა ამ სენმა... ხალხი ღვთის ანაბარად არის დატოვებული. მკურნალები არსად არიან და, თუნდაც იყვნენ, სად არის ღონე და შეძლება, რომ მოიწვიონ და უწამლონ.

ინფლუენციის გარდა, გავრცელებულია სხვა სნეულებანიც – ყელჭირვება, ყივანა-ხველა, წითელა, ყვავილი და კიდევ სხვა უცნაური ავადმყოფობანი, რომლის გამოც ადამიანს უსივდება პირ-სახე, ხელ-ფეხი და ხშირად კვდება კიდევ.

№43

## აფხაზეთი (კოდორის ნაწილი)

...ქურდობის შესახებ ძალიან მოსვენებულნი ვიყავით დღემდე. ასე რომ, ახალი წლიდან კაცი არ იტყოდა, დამეკარგა რამეო. ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში თითო-ოროლა შემთხვევამ იჩინა თავი.

№81


## სოსუმი

- აქ აბრეშუმის მოყვანას არავინ მისდევდა. 1884 წელს აქაურმა მთიელთა სასწავლებლის მასწავლებელმა ა. ჯ.-მა\*\* პირველად მოიყვანა აბრეშუმი;
- ...მის შემდეგ შეეჩვივნენ ნელ-ნელა და დღეს ოცზე მეტი ოჯახი აბრეშუმის წარმოებას მისდევს.


№118

## გულაუთა

გულაუთითგან მოგვივიდა 20 მან. და 10 კაპ. განსვენებულ ეგნატე ნინოშვილის ფონდის სასარგებლოდ და ეს ფული უკვე გადავეცით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.



სოსუმის სანაპირო. XX ს.-ის დასაწყისი



\* – გრიპის მოძველებული სახელწოდება. \*\* – იგულისხმება საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი – ანთიმოზ ჯუღელი.



**სოხუმი**

ჯერჯერობით აქეთ მშვენიერი ამინდია. დროზე წვიმს, დროზე დარია. ვენახები ძლიერ ასხია. სიმინდი თითქმის სულ დაითესა. ცოტა არ იყოს, სიმინდის მწარმოებელი დაღონებულნი არიან, რადგან სიმინდის ფასმა ძლიერ დაიკლო.

№119

**აბაყვა**

ჩვენკენ 23 და 24 მაისს დიდი წვიმები წამოვიდა. მდინარენი მეტად ადიდდნენ და გადმოვიდნენ ნაპირებზე... ზოგს წისქვილი გაუფუჭა, ზოგს მოხნული საყანები მოსტაცა. ამავე წყალდიდობის დროს მდინარე ლალიძგაში დაიხრჩო ტყვარჩელის საზოგადოების სოფლის მწერალი.

№128



სოხუმის მთავარი ტაძარი. XX ს.-ის დასაწყისი\*

**სოხუმი**

დღეს, 12 ივნისს, იქაურს ქალაქის ტაძარში გადავიხადეთ საორმოცო პანაშვიდი ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) სულის მოსახსენებლად.

საზოგადოება ბლომად დაესწრო. პანაშვიდი გადახდილი იქნა ქართულად – დეკანოზ მაჭავარიანის მიერ და საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა, რომ ერთხელ მაინც გველირსა ქართულის გაგონება ქართველებს აქაურს ეკლესიაშიო.

**მადლობა ღმერთს, აქაურმა ქართველებმა გამოიღვიძეს ცოტა. ეს პირველი მაგალითია, რომ ქართველ მოღვაწისათვის პანაშვიდი გადაეხადოთ სოხუმში;** თუმცა არა ერთი და ორი ნიჭიერი მწერალი გარდაცვლია ქართველებს. ამას გარდა, სოხუმის ქართველებს სურთ, ითხოვონ, საცა ჯერ არს, რომ აქაურს ტაძარში დროგამოშვებით ქართულად იქმნას შესრულებული წირვა-ლოცვა და თუ ამის ნება მიიღეს, მაშინ **განზრახვა აქვთ, ააგონ საკუთარი ეკლესია, სადაც მხოლოდ ქართულად უნდა იქმნას წირვა-ლოცვა.**

ეს აუცილებლად საჭიროა, რადგან ორ-მესამედი აქაურ მცხოვრებისა ქართველები არიან, რომლებსაც ერთს არ გაეგება რუსული წირვა-ლოცვა და ქართულსაც მოკლებულნი არიან. აქაურს ახალგაზრდობას განზრახვა აქვს, საზოგადოების დახმარებით დააარსოს აქაურსავე სტამბასთან პატარა ქართული საზოგადო სამკითხველოც, რომელიც, ეჭვი არ არის, დიდ სარგებლობას მოუტანს აქაურს ახალგაზრდობას.

**მით უფრო, რომ ჩვენში წასაკითხად კი არა, საყიდლადაც ძნელია ქართულის წიგნის შოვნა.**

№130

\* – დღეს ამ ადგილას ქალაქის ფილარმონიის შენობაა.

რუბრიკა „დიდთა ნიშატი“ მუდამ მრავლისმეტყველი ამბებითა და ფართო საზოგადოებრივების ნაქმრად ცნობილი სიუჟეტებით ავსებს „ნაღმნი“ გვერდებს. მოყოლილი ამბავი ამჟამად იმ დიკსავე ქართულმა, ვის სახელსაც ათეული წლების მანძილზე საქართველოში ტაბუ ეძო; მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული უამრავი სასიკეთო გადაწყვეტილება თუ პროექტი არც გასაჯაროებულა.

პუბლიკაცია ეძღვნება აკაკი ხოშტარის, იმ დროს „საქართველოში ერთადერთ ნამდვილ მილიონერს“, რომელიც XIX-XX სს.-ში მოღვაწეობდა თბილისში, ბაბრავში, ახალ ათონში, ბათუმში, ბაქოში, სტამბულში, თეირანსა და პარიზში. უდიდესი ნაშრომბაგნატი უამრავი, მასშტაბური გიზნის-გამგის უკან იღბა არაჩვეულებრივად კეთილშობილი და უშუაგვლად გამცემი პიროვნება. წერილიდან შეიძლება, ძირითადად უცხოეთში მოღვაწე გიზნისმედი რა ჭონებას ფლობდა და თავისი მეცენათობით როგორი წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ირანში, გილანის პროვინციის ქალაქ ენჯელში, დღესაც დგას აკაკი ხოშტარის სახაზლე. პირველ საბრძოლვე სამხედრო-საზღვაო მუშაუმი ფუნქციონირებდა, ამოცხადი კი გამოყენილია სახლის მუხატრონის პირადი ნიშთები.

აკაკი ხოშტარისავე ქალზე შთაგბაქდავი, ექსკლუზიური ფაქტობით მდიდარი პუბლიკაცია მოგვაწოდა ცნობილმა პოეტმა, მთარგმნელმა, აღმოსავლეთმცოდნემ, თსუ-ს პროფესორმა, „ისლამური კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელმა გიორგი ლოზანიძემ.

## დიდი ქართველი, რომელსაც შთამომავლების გარდა არავინ იხსენებდა

გიორგი ლოზანიძე

### ჯითნეჯითი ჯიხსინაწილი ქაბი იხანში

თეირანის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს უძველესი ქრისტიანული სასაფლაო „დულაბი“, რომელიც დღეს რუსული ეკლესიის ტერიტორიას წარმოადგენს. 1998 წელს, თეირანის უნივერსიტეტში სწავლისას, პირველად მოვხვდი ამ სასაფლაოზე და დავათვალიერე იქ დაკრძალული ქართველების სამარეები. ეს ქართველები, ძირითადად, არიან საქართველოდან, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციასა და რუსეთის მიერ 1921 წლის ანექსიას გაქცეული ადამიანები, რომელთაც თავი ირანს შეაფარეს.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მაშინ მიიქცია სასაფლაოს შესასვლელში აგებული პატარა საყდარმა, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების ნიმუშად მომეჩვენა და ეს პირველი შთაბეჭდილება მოგვიანებით სრული სიმართლედ გამოდგა. თეთრი, თლილი ქვით აგებული პატარა საყდარი მაშინ ძალზე სავალალო მდგომარეობაში იყო – ნაგვითა და ღორღით სავსე გვერდზე გადახრილიყო და შესასვლელში სპარსულად და ინგლისურად ეწერა: „სახიფათოა!“ ტაძრის შიგნით შესვლა ვერა, მაგრამ მისი დათვალიერება კარგად მომიხერხდა და გავარკვიე, რომ იქ მხოლოდ ერთი ქალის საფლავი უნდა ყოფილიყო.

საყდარი, რომელიც სიონის ტაძრის ზუსტ მკვეტს წარმოადგენს, 1924-1926 წლებით თარიღდება და იქ 43 წლის მინდორა თურქია-ხომტარია (1881-1924 წ.წ.) განისვენებს. ცნობილია, რომ ეს პატარა სამლოცველო ქართული სასულიერო ტრადიციული ხუროთმოძღვრების ერთადერთი ნიმუშია ირანის ისლამური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. საყდარ-სამლოცველო მეუღლის – მინდორა თურქიას საფლავზე, მისი სულის საოხად, აუგია მაშინდელი ქართული ბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს – აკაკი ხომტარიას.

### თახის აზნაქი



აკაკი ხოშტარია

გამორჩეული ბედისწერის კაცს – აკაკი ხომტარიას სახელს საბჭოთა საქართველოში ტაბუ ჰქონდა დადებული და მემკვიდრეების გარდა მას არავინ ახსენებდა. საბჭოთა ხელისუფლება აკაკი ხომტარიას ხსენებას იმდენად გაუბრბოდა, რომ, თავის დროზე, მის მიერ აუქციონზე შეძენილი და შემდეგ, ემიგრაციაში წასვლის წინ, სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად ანდერძით ქართველი ხალხისათვის გადაცემული დავით სარაჯიშვილისეული სასახლე, დღევანდელი მწერალთა სახლი მაჩაბლის ქუჩაზე, დავით სარაჯიშვილის შემონიშნულობად ცხადდებოდა.

ამას თავისი მიზეზი ჰქონდა: საქართველოს გასაბჭოებამდე რამდენიმე წლით ადრე (1911) გარდაცვლილი დავით სარაჯიშვილის სახლის ხსენება საბჭოთა ხელისუფლებას შედარებით ნაკლებ უხერხულობას უქმნიდა, ვიდრე აკაკი ხომტარიას სახლისა, რომელიც 1932 წლამდე (გარდაცვალებამდე) აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა, ძირითადად, საბჭოთა კავშირის იდეური მონინააღმდეგე ქვეყნების ტერიტორიაზე.



**ხომტარიები ტახტის აზნაურები იყვნენ.** აკაკი ხომტარიას მამა მეთოდე (მეთო) ხომტარია, დადიანების მოურავი, სადადიანოს მეურნეობას განაგებდა და ცნობილი იყო თავისი სიღინჯითა და გონიერებით. აკაკის დედა იყო ვარდიკო ავალიანი, დიდად წიგნიერი და თავის დროზე საკმაოდ განათლებული ქალბატონი. **ცოლ-ქმარს სამი შვილი ჰყავდა და აკაკი უფროსი ძმის, გიორგისა\* და უმცროსი დის, ანას, შუათანა ძმა იყო.**

## ბელისნაჩის წყალობა

აკაკი ხომტარიამ სანქტ-პეტერბურგში დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი და საქართველოში დაბრუნების შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, გაგრაში პრინც კონსტანტინე ოლდენბურგთან მსახურობდა სუპერინტენდანტად (ინტენდანტი ფინანსების მართვაზე უფლებამოსილი ოფიციალური პირი იყო). აკაკი ხომტარიას მოვალეობას, ძირითადად, სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა წარმოადგენდა.

**ერთ დღესაც შემთხვევითობის ან, თუნდაც, ზემოთ ნახსენები ბელისნერის წყალობით, მისთვისვე სავსებით მოულოდნელად, სავაჭრო და სამენარმეო საქმიანობაში ჩაება.** თავის მოგონებაში ქალბატონი თ. კვაჭაძე იხსენებს, რომ **ახალგაზრდობაში აკაკი ხომტარია მეგობრობდა ფოთელ მენვრილმანესთან, ვინმე ზოდელავასთან.** მათ გადაუწყვეტიათ, რომ სავაჭრო გემით ნავთი წაეღოთ ოდესაში გასაყიდად. ტუაფსესთან გემი ქარიშხალში მოხვედრილა და ოდესის ნაცვლად, თურქეთში აღმოჩენილა. სასწაულებრივად გადარჩენილმა ხომტარიამ და ზოდელავამ ნავთი თურქეთში ოქროს ფასად გაყიდეს; მაშინ ამ ქვეყანაში ნავთზე დიდი მოთხოვნილება ყოფილა და შემდგომი საქმიანობისათვის კარგი კაპიტალიც დააგროვეს.



აქაჩი ხომტარიას მიუჩ აბაჯანი  
ჯითაღეთი ჟისხინაწი ქაბი იხანში

## ნახიოუდენაი ბავჯენაბი

**თურქეთიდან აკაკი ხომტარია აზერბაიჯანში გაემგზავრა, იქაური ნავთობმრეწველის მუსა ნაგიევისაგან ნავთობსარეწი დანადგარები იყიდა,** მერე ბათუმში დაბრუნდა, სავაჭრო აქციები შეიძინა და მთლიანად ნავთობსამრეწველო საქმიანობაზე გადაერთო.

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში აკაკი ხომტარიამ ბაქოში ჩამოაყალიბა მსხვილი ნავთობსამრეწველო კომპანია, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და ირანში წარმართავდა ოპერაციებს. კომპანიაში გაერთიანდნენ ნავთობის ინდუსტრიის ცნობილი მაგნატები. ამასთან, ქართველმა მენარმემ სპარსეთში შეიძინა ნავთობის კონცესიები და ჩამოაყალიბა ფირმა, სახელად „რეპენტო“ (Русско-персидское нефтяное товарищество). ეს იყო ფინანსურად უძლიერესი ფირმა, რომლის მსგავსიც კი ქართველებს ოდესმე შეუქმნიათ და მისი პრეზიდენტი იყო აკაკი ხომტარია“.

გარდა ამისა, აკაკი ხომტარიამ ბაქოში გახსნა კომერციული ორგანიზაცია „ხომტარიას თურქულ-სპარსული ბანკი“, რომელიც ფინანსურ ოპერაციებს აწარმოებდა მსოფლიოს წამყვან ორგანიზაციებთან. 1913 წელს მან 99-წლიანი კონტრაქტი დადო ირანის ჩრდილოეთის მინათმფლობელებთან და დააარსა კომპანია „პერსლესი“, რომლის კაპიტალიც რამდენიმე მილიონ ოქროს რუბლს შეადგენდა; ააშენა საკუთარი საამქროები, ელექტრონზე მომუშავე ქარხნები და სპეციალური სარკინიგზო ხაზი – „თალრუდი“, ხის მორების გადასაზიდად. ეს იყო პირველი რკინიგზა ირანში, რითაც აკაკი ხომტარიამ შაჰის კარზე წარმოუდგენელი გავლენა მოიპოვა.

1914 წელს აკაკი ხომტარიამ ქალაქებს – თეირანსა და ფეჰლევს შორის დააარსა სატრანსპორტო კომპანია. ის იყო პირველი, ვინც სპარსეთში შეიყვანა ავტომობილი „ფორდი“. ნავთობის გარდა სპარსეთში ის ფლობდა მონოპოლიას საპნის წარმოებასა და თევზის სარეწებზე.

იმ დროისათვის აკაკი ხომტარიას გავლენა და მნიშვნელობა სპარსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში იმდენად დიდი იყო, რომ 1924 წელს ბერლინში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთი „რულის“ კორესპონდენტი ვლადიმერ ნენგინსი ერთ-ერთ სტატიაში მას „ირანის უგვირგვინო შაჰსა“ და „საქართველოსა და ირანის მნიშვნელოვანი ნაწილის ფაქტობრივ მფლობელს“ უწოდებდა.



აქაჩი და მინაშოხა ხომტარიანი  
ჯალიშვილთან, მახინასთან ჯითაღ

\* – აკაკის ძმის, გიორგის შვილიშვილია ცნობილი ხელოვნებამცოდნე – გოგი ხომტარია.



### ხილავ ხას ფოზობა ბიზნასეანი



ახახი ხოშახინას ღაფინასეზიოთ ბაჟანახელი ახანი ათონის აახი

ამ დროისათვის აკაკი ხოშტარიას თბილისში ეკუთვნოდა მექანიკური, სამინათმოქმედო იარაღების, საპნისა და მეტალურგიული ფაბრიკა-ქარხნები, სხვა საწარმოებიც. იგი იყო „ამიერკავკასიის ბანკის“ გამგეობის წევრი, „ტრანსკავკასიური ბანკისა“ და სატრანსპორტო კომპანიის დამაარსებელი; აფინანსებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „საქართველოს“; მატერიალურ დახმარებას უწევდა ნოე ჟორდანიას მთავრობას საქართველოშიც, ემიგრაციაშიც...

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომ აკაკი ხოშტარია ემიგრაციაში წავიდა, ჯერ – თურქეთში, შემდეგ – საფრანგეთში, 1923 წელს კი ისევ სპარსეთში დაბრუნება ამჯობინა.

ამავე წელს მან მიიღო კონცესიები ნავთობის ექსპლუატაციისათვის სპარსეთის ქალაქ სემნანში და დააარსა კომპანია „ქავირე ჰურიან“. ამ კომპანიის დიდი ნაწილი თვითონ აკაკის, ხოლო ნაწილი სხვა პირებს, მათ შორის, ირანელებსაც ეკუთვნოდათ; რალაც ნაწილი კი იყო ბოლშევიკური მთავრობის, რადგან მაშინდელი საბჭოეთი თავის ქვეშევრდომებს არ აძლევდა უფლებას, ისე მიეღო მონაწილეობა ირანის კონცესიებში, რომ იქიდან ამ კომპანიის გარკვეული წილი თვითონ არ დარჩენოდა; მაგრამ აკაკი ხოშტარიას გარდაცვალების შემდგომ, 1932 წელს, მის მიერ ჩადებული ქონება ავტომატურად ირანის მთავრობის საკუთრებაში გადავიდა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქონებისა, აკაკი ხოშტარიას სპარსეთში ჰქონდა საკუთარი რკინიგზა მატარებლებით, მონოპოლია ხე-ტყის, საპნის, ბრინჯის წარმოებაზე, თევზის სარეწები, ვაჭრობდა მატყლით ინგლისელებთან და, რაც მთავარია, იყო ირანის ჩრდილოეთ ნაწილის ნავთობის კონცესიებისა და მთელი ამ ტერიტორიების მიწების კერძო მფლობელი. მის ხელში იყო კასპიის ზღვისპირა ქალაქ ენზელის ელექტროფიკაციაც და ამ საქმიანობაში სერიოზულ კონკურენციას უწევდა ამერიკელებსა და ინგლისელებს.

აკაკი ხოშტარია ერიდებოდა პირადი ურთიერთობების გამწვავებას საბჭოთა კავშირთან და 20-იანი წლების შიშობის დროს, კომუნისტების მოთხოვნით, მან დააარსა კომპანია „საბჭოთა კავშირი და ხოშტარია“. პირადი სახსრებით ყიდულობდა პურს ირანში და აგზავნიდა ბაქოში, საიდანაც „ხოშტარიას პურს“ უკვე სხვადასხვა ქვეყანაში ანაწილებდნენ. კომუნისტებმა დაპირებული ფული აკაკი ხოშტარიას არ გადაურიცხეს და საერთაშორისო სკანდალის თავიდან ასაცილებლად მისივე დაპატიმრება გადაწყვიტეს. აკაკი ხოშტარია ამ ვითარებიდან მეგობრულმა კავშირებმა იხსნა. ცნობილმა და გავლენიანმა კომუნისტმა, იმ დროისათვის საქართველოს სსრ-ის რევკომის თავმჯდომარემ, ბუღუ მდივანმა (1877-1937 წ.წ.), საიდუმლო დეპეშით აცნობა აკაკის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ხოშტარიამაც ბაქოდან გემით საზღვარგარეთ გაქცევა მოასწრო.

### სამშობლოსთვის ბალები



სასახლა, ხოშაიუს ელას ააჟანა საჯანაში

მთავარი მაინც უნდა აღინიშნოს:

1907 წელს აკაკი ხოშტარიამ ბაქოდან 8 ათასი მანეთი გამოუგზავნა ახალშექმნილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

1915 წელს აბაშის სოფელ სუჯუნაში, დედის სახელზე, ევროპელი არქიტექტორების დახმარებით ააშენა სახლი, რომელიც მოგვიანებით საჩუქრად გადასცა სოფელს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

დღევანდელ მწერალთა სახლს აქამდე დავით სარაჯიშვილის ნაჩუქრობად ვიცნობდით; სინამდვილეში, 1918 წელს სარაჯიშვილის სასახლე საჯარო აუქციონზე თბილისელთა თხოვნით შეიძინა აკაკი ხოშტარიამ. მან სახლი გადააკეთა: მოაწყო ზამთრისა და ზაფხულის ბალები, იტალიიდან ჩამოატანინა ლომის ფიგურები და სხვა ძვირფასი ნივთები.



მათი გარკვეული ნაწილი „მწერალთა სახლში“ დღემდე ინახება. 1919 წელს აკაკი ხომტარიამ ამ სასახლეში დიდი წვეულება გამართა და რეგიონის წარჩინებულ საზოგადოებას მოუყარა თავი. ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა ხომტარიამ საფრანგეთში საცხოვრებლად გადასვლა გადაწყვიტა, ახლო ნათესავის, დუტუ მეგრელის შუამდგომლობით, ამცნო ქართველ მწერლებს, რომ მათ სასახლეს უსასყიდლოდ, საჩუქრად გადასცემდა.

აკაკი ხომტარიას უშუალო ხელმძღვანელობითა და დაფინანსებით გაშენდა ახალი ათონის ცენტრალური პარკი, ბათუმის მთავარი ზღვისპირა ბულვარი და მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მან სოლიდური თანხები გაიღო ქართული უნივერსიტეტისა და თეატრისათვის.

ქართველი ბიზნესმენი ფინანსურად ამოუდგა მხარში ნიკო ნიკოლაძის ინიციატივას და 1914 წელს გაიყვანა პირველი რკინიგზა ფოთიდან აბაშაში.

1920 წელს, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესაქმნელად, მან აშშ-სა და იტალიაში შეიძინა 4 მცირე ზომის სამხედრო გემი – „საქართველო“, „თამარ მეფე“, „რუსთაველი“, „პრეზიდენტი ჟორდანია“ და თვითონვე ჩამოიყვანა საქართველოში.

მეცენატმა საფრანგეთში შეისყიდა ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის ანდრე ლოტის ნახატები და საჩუქრად გამოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს.

მან კონსტანტინოპოლში, თავის შექმნილ თურქულ-სპარსულ ბანკში, დაასაქმა ქართველი სპეციალისტები, რომელთათვისაც ყურადღება და მზრუნველობა არასდროს მოუკლია...

აკაკი ხომტარიას ხარჯით უცხოეთში განათლება მიიღო უამრავმა ნიჭიერმა ქართველმა სტუდენტმა, რომელთაგან ბევრი შემდგომში ცნობილი მეცნიერი და თავისი დარგის წამყვანი სპეციალისტი გახდა.

### სახანა ხითონ აზიხეთ

მინადორა თურქია-ხომტარია 1924 წელს თეირანში გარდაიცვალა ინფარქტით. მისი სხეული ეგვიპტელმა სპეციალისტებმა მუშიად აქციეს და დულაბის სასაფლაოზე სამლოცველოს აგებამდე და იქ დაკრძალვამდე ნეშტი კარგა ხანს ინახებოდა აკაკი ხომტარიას კერძო მამულში.

1993 წელს, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს გახსნისთანავე, დაიწყო მოლაპარაკებები ირანის მთავრობასთან ამ სამლოცველოს აღსადგენად. ამ პერიოდში საქართველოს ოთხივე ელჩმა ირანში, განსაკუთრებით კი, პროფესორმა ჯემშიდ გიუნაშვილმა, ყველა ღონე იხმარა, რომ ხომტარიას მიერ აგებული ეს უნიკალური შენობა გადაერჩინათ და მომავალი თაობებისათვის შეენარჩუნებინათ. ბოლო ცნობების მიხედვით, ნაგებობა უკვე რეაბილიტირებული და გამაგრებულია. მზრუნველობას საჭიროებს, ასევე, თეირანის დულაბის სასაფლაოზე დაკრძალული სხვა ქართველების სამარეებიც.

აკაკისა და მინადორას შვილი არ ჰყოლიათ. მათ იშვილეს გოგონა – მუსინკა, რომელიც პარიზში მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანელზე გათხოვდა და ქალიშვილი – თამარი შეეძინა. ამჟამად თამარი მამასთან ერთად ცხოვრობს საფრანგეთში.

**აკაკი ხომტარია ც საფრანგეთში გარდაიცვალა 59 წლისა, სრულიად ბანალური მიზეზით. სასტუმროში სადილობისას ღონის ქერქმა ყელი (სასულე) გაუკანრა. დიაბეტით დაავადებულს შეშუპება დაეწყო და ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.**

**აკაკი ხომტარია დაკრძალულია პარიზში, პერლაშეზის სასაფლაოზე.**



ნიკო ნიკოლაძე, აზიხთ სახაჩიშვილი და ანაჟი ხომტარია

სანდასან მართლა ბედისწერა ამოიჩვენა სოლემ ადამიანებს და დაატარებს მთელ ჰეპანაზე თავისი მიზნების განსაკრცილებლად. იმისი თქმა, თუ რა მიზანი აქვს ბედისწერას ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის შემთხვევაში, მისი გარდაცვალების შემდეგაც კი ჭირს; მაგრამ „ჩვეულის დამლა“ ხშირად სწორედ ამ პიროვნების ხასიათია, რითაც მისი ცხოვრებისეული პრინციპები შეპირობებული. სხვაგვარად კნელი ასახველია ის პატივდიდება, რაც 1873 წელს აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში დაბადებულს არბუნა განგებამ.

თანამედროვეთა მოგონებებიდან კარგად ჩანს, რომ ხომტარია იყო ფართო განათლების, იშვიათი შემთხვევაში ბუნებისა და ლმობიერი ბულის ადამიანი. იგი ცდილობდა, ყველასთვის გაეფინა დახმარება და უშუალოდ ამოსდგომოდა მხარში მათ სსიკითო ინიციატივებს. მის ცხოვრებაზე დაკვირვება კი იმასაც ცხადყოფს, რომ, მიუხედავად მისი საშინაოების ვრცელი გეოგრაფიული არაულისა და იმისა, რომ, ბედის უკუღმართობით, საშობლოში ყოფნა იშვიათად უფავდა, ააკაკი ხომტარიას მოღვაწეობის ძირითადი ინტენსიტი საპარტიველოსა და მის მომავალზე ზრუნვით იყო შეპირობებული.



ამ ოციოდე წლის წინათ პერუს ერთ-ერთ გავითში გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელიც გალვე გავრცელდა მთელ მსოფლიოში საუკუნის გამოჩენილი მოაზროვნის გაბრიელ გარსია მარკესის სახელით. იმ პერიოდში ნობელიანტ კოლუმბიელ მწერალს დაუდგინეს ამთვისებანი სენის დიანოზი და მისი სტრუქტურებიც ასე მოინათლა: „გამოსაგვიდოვებელი წერილი კაცობრიობას“. თავისი ექსცენტრული პუბლიკაცია იმდენად მოწონდა საზოგადოებას, რომ მკითხველები მის ფრაგმენტებს იხეიხეებდნენ; ზოგიერთი ციტატა კი ფართოდ გამონათქვამდაც იქცა.

მხოლოდ გენიალური მარკესის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე (მწერალი აღესრულა 2014 წლის აპრილში) გაიკვლია, რომ ამ უკვე საკმაოდ პოპულარული და გახმაურებული წერილის ავტორია არა სხვა მწერალი, არამედ ნაკლებად ცნობილი მქსნიკელი მუსიკოსი მეზლანა\* – ჯონი უელში. და თანაც: ავტორმა თავისი სტრუქტურები უქლვნა არა კაცობრიობას (როგორც მანამდე მიიჩნევდნენ), არამედ საკუთარ ტიკინას – ნაჭრის თოჭინას.

გაგრამ ის, თუ რამ გამოიწვია შემწილი გაუგებრობა, დღესაც აუხსენელია. უელშის წერილი, სათაურით „ტიკინა“, მართლაც რომ, კალზე შთაგებდავია. ავტორის შეხედულებით, ცნობილი აზრს კარგავს, თუ ნივთებს არა მათი მნიშვნელობით, არამედ ღირებულებით აფასებ; თუ საშინლად არ გაგიმართლებს და ამ სამყაროს უსახური ტიკინასავით უგულო, ყინულივით გამოშვალა მთავრინები, თუ ვერასოდეს შეიბრძნობ იმას, რასაც სული განიცდის, რისთვისაც ღირს ამჟამინად აღამინად მოვლინება.

## ტიკინა

ჯონი უელში  
თარგმნა ნანა ჭანტურიამ

თუ უფალი ნამიერად დაივიწყებდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ტიკინა ვარ და მიწყალობებდა სიცოცხლის კიდევ რაღაც უმცირეს ნაწილს, მაშინ, ალბათ, რაზეც ვიფიქრებდი, ყველაფერს არ ვიტყოდი, მაგრამ მეტად დავფიქრდებოდი იმაზე, რაც უნდა მეტყვა. მე დავაფასებდი ნივთებს არ მათი ღირებულების, არამედ მნიშვნელობის მიხედვით.

მე ვიძინებდი ნაკლებს და ვიოცნებებდი მეტს იმაზე ფიქრით, რომ დახუჭული თვალების თითოეული წუთი სინათლის დაკარგული სამოცი ნამია.

მე არ შევწყვეტიდი სვლას მაშინაც, როცა ვიღაც-ვიღაცები ამისგან თავს შეიკავებდნენ, გამოვფხიზლდებოდი მხოლოდ მაშინ, როცა დანარჩენები ჯერ ისევ ძილ-ბურანში იქნებოდნენ გახვეულნი, სმენად ვიქცეოდი იმ დროს და იმიტომ, რომ სხვების გაუჩერებელი საუბრისათვის ყური დამეგდო.

და როგორ დამატკობდა ამ მშვენიერ დროსა და სივრცეში შოკოლადის ნაყინის არაჩვეულებრივი გემო.

უფლისგან სიცოცხლის თუნდაც რაღაც ნამები წყალობასავით კიდევ რომ მიმელო, ჩავიცვამდი უფრო შილიფად, მივეფიცებოდი მზეს, რომ მის უთბილეს პირველივე სხივებში გახვეულიყო არა მარტო ჩემი სხეული, არამეს სულიც.

ო, ღმერთო, უგულო რომ არ დავბადებულყავი და მქონოდა კიდევ სულ ცოტა დრო, სრულად მივენდობოდი სულსა და ნამებს, რომ გამომეხატა ჩემი სიძულვილი სიცივისადმი და დავლოდებოდი აისის ფერებს.



\* – მუსიკოსი მეზლანა – ადამიანი, რომელსაც შეუძლია თავისი ხმის იმიტაცია ისე, რომ ტურები არ ამოძრავს და შექმნას იმის ეფექტი, თითქოს ეს ხმა რაღაც სიღრმიდან მოდიოდეს.

ვან გოგივით ვარსკვლავებით მოჭედული ცა მხატვრად მაქცევდა, ბენედიტის\* პოეტური სტრიქონები ოცნებებში გამხვევდა, სერატის\*\* მშვენიერი ჰანგები კი ჩემი მთვარის სერენადად აჟღერდებოდა.

ჩემი ცრემლებით მოვრწყავდი ვარდებს, რომ მეგრძნო ეკლების ტკივილი და მათი ფურცლების სისხლიანი ამბორი.

ო, ღმერთო, თუნდაც, სულ ცოტა ხნის სიცოცხლე კიდევ რომ მქონდეს დარჩენილი!..



ერთ დღესაც არ გავაცდენდი, რომ სანატრელი ადამიანებისთვის არ მეთქვა, როგორ უზომოდ მიყვარს თითოეული; ჩემთვის უძვირფასესი ქალბატონებისა და ბატონების წინაშე გავაშიშვლებდი საკუთარ სულსა და გრძნობებს და ვიცხოვრებდი მათ სიყვარულზე შეყვარებული.

თავგზაბნეულთ, რომელთაც ჰგონიათ, რომ სიყვარულის უნარს თითქოს წლებთან და სიბერესთან ერთად ჰკარგავენ, დავარწმუნებდი, რომ ცდებიან; რომ ყველაფერი სხვაგვარადაა: ისინი მხოლოდ მაშინ ბერდებიან, როცა სიყვარულზე ამბობენ უარს.

დიახ, ხანდაზმულებს განვუმარტავდი, რომ სიკვდილის მიზეზი სიბერე კი არა, მათი გულგრილობა და საკუთარ თავში გამოკეცვაა.

ბავშვს კი გადავულოცავდი საკუთარ ფრთებს, მაგრამ ფრენას ამ ფრთების გარეშეც ვასწავლიდი.

ადამიანებო, მე ხომ ბევრ რამეს თქვენგანაც ვსწავლობდი! და მივხვდი, რომ თითოეული თქვენგანის სურვილია, დასახლდეს მთის მწვერვალზე, მაგრამ იმას ვერავინ აცნობიერებს, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება მაინც ძირს დაშვებისას ელოდებათ.

მივხვდი იმასაც, რომ როცა ახალშობილი მამის თითს თავის პანია მუშტში მოიქცევს, ეს კავშირი უკვე სამუდამოა.



ესეც ახლა გავაცნობიერე: სხვაზე ზემოდან გადმოსხედვის უფლება ადამიანს მხოლოდ იმიტომ და მაშინ აქვს, როცა წამოდგომაში ეხმარება მას.

ადამიანებო, ჰო, მე ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან; მაგრამ, სიმართლე გითხრათ, სარგებელი ამისგან ძალზე ცოტაა; რადგანაც, ჩავეფინები რა იმ ერთ შეჭედულ სკივრში, ამ წუთისოფლიდან უკვე გასული ვიქნები.

ამიტომაც, ყოველთვის დაუსრულებლად ილაპარაკეთ იმაზე, რასაც განიცდით და გააკეთეთ ის, რაც ასე გაღელვებთ.

თუ მეცოდინება, რომ დღეს უკანასკნელად გხედავ ლოგინში მძინარეს, მაგრამ ჩაგიკრავდი მკერდში და შევსთხოვდი უფალს, რომ ვექციე შენს მფარველ ანგელოზად.

\* – მერიო ბენედიტი (1920-2009 წ.წ.) ურუგვაელი ჟურნალისტი, პოეტი, დრამატურგი.

\*\* – ჟოან მანუელ სერატი – თანამედროვე ესპანელი (კატალონიელი) მუსიკოსი, პოპულარული ავტორ-შემსრულებელი (დაიბადა 1943 წელს).





თუ მეცოდინება, რომ დღეს ჩემთვის უკანასკნელი დღეა, როცა გხედავ, როგორ გამოდიხარ საძინებლიდან, მოგეხვეოდი, გეამბობოდი და ისევ და ისევ მოგიხმობდი, რომ, რაც შეიძლება, კიდევ ბევრი და მეტი მიგელო ჩემგან.

თუ მეცოდინება, რომ უკანასკნელად ვისმენ შენს ხმას, ფირფიტაზე სრულად ჩავინერდი შენს ნაუბარს, რომ ისევ და ისევ დაუსრულებლად ჩამესმოდე.

თუ მეცოდინება, რომ ეს უკანასკნელი წუთებია, როცა შენ გხედავ, გეტყვოდი, როგორ უზომოდ მიყვარხარ და რომ მე, უგუნურმა, ვერც დაუშვძვი, ეს რომ ისედაც იცოდი.

ყოველთვის არსებობს „ხვალ“ და ცხოვრება ერთ შესაძლებლობას მუდამ გვაძლევს, გამოვასწოროთ ყველაფერი; მაგრამ თუ მე ვცდები და დღეს ამაზე მეტად ვერაფერს ვცვლი, ახლავე გეტყვი, რამდენად ძვირფასი ხარ ჩემთვის და რომ ვერასოდეს გაგიმეტებ წარსულისათვის, ვერასოდეს დაგივიწყებ.

შეუძლებელია, თუნდაც ახალგაზრდამ, ან თუნდაც ასაკოვანმა განსაზღვროს, როდის გათენდება მისი „ხვალე“; წარმოუდგენელია, იცოდე, რომელია შენი აღსასრულის დღე და ისიც, როდის ხედავ უკანასკნელად მას, ვინც ასე გეძვირფასება; ამიტომ არაფერს დაელოდო, წამიც არ დაკარგო; და როცა ის „ხვალე“ მაინც მოვა, სანანებლად არ გაგიხდეს დილა, როცა ვერ მოიცალე იმ ერთი ღიმილისთვის, ერთი ჩახუტებისთვის, იმ ერთი კოცნისთვის, როცა იყავი იმდენად დაკავებული, რომ ვერც გააცნობიერე, რომ ეს თურმე შენი უკანასკნელი დღე და სურვილი ყოფილა.



ადამიანებს, რომლებიც გეიმელება, გიყვარს, არასოდეს განუდგე და ხშირადაც ჩასჩურჩულე მათ, რომ ძალზე გჭირდება და უფროთხილდები თითოეულს; ყოველთვის გამოძებნე დრო იმისათვის, რომ მათ გასაგონად წარმოსთქვა: „იცოდე, ვნანობ“, „გთხოვ, მაპატიო“, „შენით მადლიერი ვარ“ და ყველა ის სასიყვარულო სიტყვა, რომელიც კი ოდესმე გაგიგია.

შეუძლებელია, შენს ფიქრებს ოდესმე ვინმე ჩასწვდეს. ამიტომაც შესთხოვე უფალს, არ მოგაკლოს სიბრძნე და ძალა იმისთვის, რომ გაახმოვანო ყოველივე, რასაც განიცდი და გრძნობ; მხოლოდ ამით დაარწმუნებ ახლობლებს, რამდენად სანატრელია თითოეული მათგანი შენთვის.

თუ ამას არასოდეს იზამ, „ხვალე“ დღევანდლისგან არაფრით იქნება განსხვავებული; თუ არც დღესვე იტყვი სათქმელს, უკვე ფასდაკარგული ის „ხვალე“ გროშიც არ ეღირება.

მაშ, აიხდინე შენი ოცნებები!.. რადგანაც ეს წამი უკვე დამდგარია!..

\* \* \*

ვერ შეგეხიდე...  
 ისევ ცალ-ცალკე  
 დღევ, მერამდენედ ისევ ღამდები!  
 რაც თავი მახსოვს,  
 მას მერე ვარკვევ,  
 მართლა არსებობ,  
 თუ მელანდები?!



\* \* \*

დამიმეგობრე, ძვირფასო წვიმავ,  
 მატარე შენი სავალი გზებით,  
 ნუ გედარდება, სულაც არ მცივა,  
 პირიქით – შენი წვეთებით ვთბები!..

\* \* \*

ზეცამ იმგვარად იცვალა ფერი,  
 უთუოდ წვიმა ნამოვა მალე...  
 მან მომანატრა ის ყველაფერი!..  
 სადაც კი შენ ხარ...  
 შიგნით და გარეთ...  
 იწვიმებს, ალბათ, იტირებს დიდხანს  
 და დააყენებს მღვრიე აუზებს;  
 მინდა, წვეთებმა ამბავი მითხრან,  
 ან უთქმელობას ვეღარ გავუძლებ,  
 აღარ სცალია გადასაღებად,  
 არეული აქვს ზეცას ვნებები!..  
 და წარსულიდან გულისწამლებად  
 წვეთავს ნოტიო მოგონებები...



\* \* \*

ახლაც ისე განვიმდება, საყვარელო,  
 როგორც ბევრი გაზაფხულის უკან...  
 ზუსტად ისე, როგორც მაშინ, ნამეხარზე,  
 გულსაკლავად აკვამლდება მუხა...

ისევ ისე მომინდება ლექსის წერა,  
 კვლავ მელნის ფერი დაედება თითებს,  
 გამანვალებს მუხა, როგორც საქანელა  
 ქარში, ძლივს რომ ატრიალებს ფიქრებს.



ჩვენო ახალგაზრდობო! თქვენს წინ იმე გადამდებია დიდი და სახელოვანი მცენარის არნოდ ჩემობავას ასე საჭირო „ბანგარტებითი ლექსიკონი“... ამჟამად ანბანის მემკვიდრე და მემკვიდრე ასოების („ვ“ და „ზ“) გვერდებს ვფურცლავთ, რომ კიდევ და კიდევ ჩაწვდეთ მშობლიური ენის სილამაზეს, დაუახლოვდეთ და შეიყვაროთ წიგნი, რომელიც ასე განვითარებულ კომპიუტერულ ეპოქაშიც დიკავულ კრებულად რჩება. ბანა მშობლებიც იგივეს არ ბირჩვენ? – რომ უნდა იურთიერთობოთ წიგნთან, „იმ მშობლებთან, რომელიც არასდროს გიღალატებს“.

მოვუსმინოთ ჩვენს კათალიკოს-პატრიარქსაც. აი, რას ბრძანებს ილია II ქართული ენის შესახებ: „ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მასშია მთელი საქართველო, ცისფერია მისი სამოსი, ზაცაა მისი საწყისი, უზალია მისი მშობელი და მფარველი“.

• 3 •



ვახლახაჟაჟა - ბალახოვანი მსანახა, სისფერი ყვავილებით

**ვარდკანაფა** – მცენარე, კანაფის მაგვარი (რომლის ღეროსგან, ქერქისგან ამზადებენ თოკს)  
**ვარდკაჭაჭა** – ბალახოვანი მცენარე, ცისფერი ყვავილებით  
**ვარდობისთვე** – (ძვ.) მაისი

**ვარდფურცლობა** – დრო, როდესაც ვარდი ყვავის – გაზაფხული  
**ვარცლი** – ხის მოგრძო და ღრმა ქურჭელი ცომის მოსაზელად  
**ვარხვი** – წყლის გრძელნისკარტიანი დიდი ფრინველი  
**ვარჯვი** – ხის ფოთლოვანი ნაწილი, ხის ქოჩორი



ვახხვი - წყლის ბიძინისაჟაჟა ენი ფიხნავი



ვასიხი - თიხანი

**ვასაკა** – ხის პატარა მწვანე ბაყაყი  
**ვაყა** – იგივეა, რაც ულაყი – მამალი ცხენი  
**ვაჩა** – დაბერებული თხა  
**ვაცი** – მამალი თხა  
**ვაციკი** – თიკანი

**ვაციწვერა** – ბალახი, წვრილი ფოთლებითა და ნემსივით წანაზარდებით  
**ვეყანი** – (ძვ.) წითელ-შავი (საბა); ვეფხვივით ქრელი (საქონელი)



ვახი - ხის ქოჩორი

**ვერსი** – (ძვ.) სიგრძის საზომი ერთეული რუსეთში; უდრის: 1.06 კმ-ს  
**ვერძი** – მამალი ცხვარი  
**ვირგლა** – (ვულგ.) ტლანქი, თანაც, ბრიყვი ვინმე

• ზ •



ზახნაშო - ეილი ბა


**ზადი** – 1. ნაკლი, წუნი. 2. უკმაყოფილება, წყენა  
**ზავთი** – 1. გამაყრუებელი ხმაური. 2. რისხვა, აღშფოთება  
**ზამბურაკი** – ძველებური ზარბაზანი  
**ზარადი** – (არაბ.) მუზარადის გარშემო შემოვლებული ლითონის ბადე, პირისახის, ყელისა და კისრის დასაცავად

**ზარნაშო** – დიდი ბუ  
**ზარნიში** – ლითონის ნივთებზე  
 ოქროთი ან ვერცხლით  
 ამოტვიფრული ფიგურები  
**ზარფუში** – (სპარ.) მაღალი  
 თავსახურავი, სარქველი, ხუფი



ზიზილა - ლაბალი ლამაზი მსანაჩა

**ზაფრანისფერი** – ყვითელი  
**ზაქი** – კამეჩის ნაშიერი სამ წლამდე  
**ზედაშე** – (ძვ.) 1. წითელი ღვინო – ხმარობდნენ  
 ზიარებისა და ჯვრისწერის დროს.  
 2. საეკლესიო დღესასწაულისათვის  
 შემონახული საუკეთესო ღვინო



ზელაშა - წითელი ღვინო, სახიობენან  
 ზიანაზისა და ჯიხისნაჩის ეხო

**ზეკარი** – იგივეა, რაც უღელტეხილი  
**ზერდაგი** – (სპარ.) ჩალისფერი, მოყვითალო ცხენი  
**ზიზილა** – დაბალი ტანის ლამაზი მცენარე;  
 უფოთლო ღეროზე აქვს პატარა თეთრი ან  
 მონითალო ყვავილები

**ზიკზიკა** – მორთულ-მოკაზმული  
**ზილფი** – იგივეა, რაც კავი (საფეთქლებიდან დახვეული თმა)

**ზიმზიმი** – ჩოჩქოლი, ჟრიაბული  
**ზინათი** – სიმდიდრე – ძვირფასი ნივთები  
**ზუჩი** – მეომრის რკინის ქუდი  
**ზღვაური** – ზღვის მხრიდან მონაბერი  
 ძლიერი ქარი



ზამბუჩაჩი - ძველები ზახბაზანი



საქართველოს მრავალსაუბროვან ისტორიაში გარდამავალი ეპოქა თარიღდება 1801 წლის 12 სექტემბრით, როცა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოაქვეყნა მანიფესტი რუსეთთან საქართველოს მიერთების შესახებ. იმპერიის წინააღმდეგ ეროვნული დაუმორჩილებლობა სწორედ ამ ეტაპიდან იწყება. ეს იყო წესტად 220 წლის წინათ.

უკვე მიერე, XX ს.-ის დადებ, როცა საქართველომ გამოატყდა დამოუკიდებლობა, ჟვეჟანაში რუსული სამხედრო შენაერთების შემოჭრა იყო, ისევ და ისევ, მეზობელი სახელმწიფოს მჟაჟკრული პოლიტიკისა და პატარა ჟვეჟნის მიმართ მორიგი დამჟკრობლური გეგმის ნაწილი, რომლიტაც რუსმა ბოლშევიკებმა საქუთარ იურისდიქციას დაუმორჩილა არაერთი ევროპული სახელმწიფოს მიერ აღიარებული დამოუკიდებელი საქართველო.

ეს იყო 100 წლის წინ, 1921 წლის 25 თებერვალს. თვითმხილველი იმ დღებში აღნიშნავდა, რომ „სიცოცხლის კარღვი გადაუჭრეს მთელს საქართველოს... სამარის სიწჟუმე დამჟყარდა“.

ჟართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია „ხრიდოლის“ პრეზიდენტის ნუკრი მჟედლიშვილის პუბლიკაციაში საინტერესოდია გააჟყრებული რუსული ოკუპაციის პირობებში ეროვნული თვითგამოკჟვევისა და დაუმორჩილებლობის სამი საბულისხმო ფაქტორი. „ეს იყო ჟართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული ბანათლება და სახელმწიფოს დაცვის უმნიშვნელოვანესი დარგი – მხედრული მზადყოფნისა და ჟვრთნის ბანხრით“, – ჟარს ავტორი.

## რუსული ოკუპაცია და ქართული ეროვნული მოძრაობის სამი დაუმარცხებელი ბურჯი

ნუკრი მჟედლიშვილი

მრავალი უთანასწორო ომი ახსოვს საქართველოს, უთვალავჯერ მოსდგომია ქართლს ურიცხვი მტერი, მაგრამ განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა 1921 წლის თებერვალი, როდესაც გაინირა დიდ პოლიტიკურ მოთამაშეთა შორის მოქცეული საქართველო; არავინ მშველელი, არავინ მოკავშირე, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად დარჩენილი პატარა ქვეყანა.

დადგა 1917 წელი, მეფე ნიკოლოზი გადადგა. რუსეთის იმპერიაში ანარქია და სამოქალაქო ომი აბობოქრდა. პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთში დანყებულმა რყევებმა დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი გაუჩინა ქართველობას. თუმცა რუსული იმპერიის ბატონობის ქვეშ საუკუნოვანმა ცხოვრებამ სახელმწიფოებრივი აზროვნება მოშალა ქართველებში. ერთი ნაწილი შიშით უყურებდა დამოუკიდებლობას, მეორე კი – მსოფლიო სოციალისტური იდეით იყო შეპყრობილი და „მუშურ-გლახურად“ გარდაქმნილი რუსეთი იმპერიის შემადგენლობაში ხედავდა საქართველოს მომავალს.

და მაინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ქართული სახელმწიფოს აღდგენის იდეა, რომელიც საქართველოს რჩეული შვილების გულსა და ძარღვებში ფეთქავდა. და, როგორც კი შეირყა რუსული იმპერია, ბორკილდადებულ კავკასიაში ქართველებმა პირველებმა ააფრიალეს თავისუფლების დროშა.

მართალია, ქართული პოლიტიკური ელიტის სათავეში რუსულ დუდუკზე მოცეკვავე სოციალ-დემოკრატები იდგნენ, მაგრამ ქართული საზოგადოების რჩეული ნაწილი ილიასა და მის თანამებრძოლთა დატოვებული იდეებით ცხოვრობდა. ამიტომ, სანამ სოციალ-დემოკრატებს გარემოება აიძულებდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ქართველებმა თავად დაიწყეს ქართული სახელმწიფოსთვის აუცილებელი ეროვნული ინსტიტუტების აღდგენა-დაფუძნება.



ძლიერი ბრძოლა გაიშალა სამი მიმართულებით: ეს იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული განათლება და სახელმწიფოს დაცვის უმნიშვნელოვანესი დარგი, მხედრული მზადყოფნისა და წვრთნის განხრით.

ეს სამი ინსტიტუტი 1921 წლის თებერვლის ოკუპაციის შემდეგაც კი დარჩა, როგორც ქართული ეროვნული მოძრაობის სამი დაუმარცხებელი ბურჯი, საბჭოთა ეპოქაშიც რომ არ აძლევდა მტერს საშუალებას, ნაეშალა ქართველთა თვითმყოფადობა.

## ჩახოცი ქაჯისი აჯოხაჯიის ალბენა

საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართულებით პირველი ნაბიჯი დედა სვეტიცხოვლის კარზე გადაიდგა. 1917 წლის 12 მარტს, მცხეთაში, იქ, სადაც ათასწლეულების წინ საძირკველი ჩაეყარა ერთიან ქართულ სახელმწიფოს, შეიკრიბა რჩეული ქართული საზოგადოება და ქართველი სამღვდელთა, რათა გამოეცხადებინათ რუსისგან წართმეული ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. შემოიღეს საპატრიარქო მმართველობა და კათალიკოს-პატრიარქის არჩევამდე ქართული ეკლესიის დროებით გამგედ დაინიშნა ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე).

რუსეთში გასახლებულ საქართველოს მომავალ პატრიარქთან, კირიონ საძაგლიშვილთან ქართულმა საზოგადოებამ გაგზავნა ჯგუფი; ავტოკეფალიის აღდგენის დიდი მოამაგე უნდა დაერწმუნებინათ, თავად ჩასდგომოდა სათავეში ქართული ეკლესიის აღორძინებას და მონაწილეობა მიეღო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევნებში. თავდაპირველად მან უარი განაცხადა, თუმცა 1917 წლის ზაფხულისთვის ის მაინც დაითანხმეს; კირიონი გამოემგზავრა საქართველოსკენ. არაგვის ხეობაში შემოსულ პატრიარქს დახვდა 120 ცხენოსანი გიგო ყარანგოზიშვილის წინამძღოლობით და პატივით მიაცილეს თბილისამდე.

რამდენიმეთვიანი მზადებისა და არჩევნების შემდეგ, მცხეთობა დღეს, 1917 წლის 1 ოქტომბერს, კირიონ საძაგლიშვილი აირჩიეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად. საოცარი იყო აღსაყდრების ჟამს წარმოთქმული გრძელი სიტყვა და მისი მიმართვა სამშობლოსადმი: „სამშობლო, საყვარელო, ღვთისმშობლის წილხვდომილო, ბრძმედსა შინა ტანჯვა-ვაებისას განწმენდილო... არა მოველ, რათა გამსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული ჩემი სახსრად შენდა...“

კირიონ კათალიკოსის ასეთი ეროვნულობა არ აწყობდა არც რუსეთის იმპერიის აღდგენის მსურველებს და არც იმ დროს უკვე გაბატონებულ ათეისტურ იდეოლოგიას. კირიონის მსგავსი მამულიშვილი და ეკლესიის მესაჭე მათთვის დიდი დაბრკოლება იყო. არავინ იცის, ეს ვინ და სად დაგეგმა, მაგრამ მალევე, 1918 წლის 27 ივნისს, მარტყოფში მყოფი კირიონ კათალიკოსი მოკლული იპოვეს.

მძიმე დარტყმა იყო ეს საქართველოსთვის, მაგრამ ეროვნული ეკლესიის სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებდა.

კირიონის შემდეგ პატრიარქად აირჩიეს ლეონიდე ოქროპირიძე, რომელსაც არანაკლები ღვაწლი ჰქონდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ქართული ჯარის მიმართ აღვლენილი მისი მიმართვაც ამაზე მეტყველებს: „წელში გატეხილ საქართველოს ბატონ-პატრონად შეიქმნენ რუსები, რომელთა მოხელეებიც არ სჯერდებოდნენ იმას, რომ ხელიდან გვაცლიდნენ მამა-პაპათა სისხლით შექმნილ მინა-წყალს, სწავლა-განათლებასა და მართლმსაჯულებას, გვიზღუდავდნენ მოქალაქეობრივ უფლებებს; ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რათა შეეზღუდებინათ ჩვენთვის სამშობლო ენა, ხელი აგველო ჩვენს სალოცავებზე... მაგრამ ვერას გახდნენ უგუნური მმართველობის მოხელეები...“

ლეონიდეს პატრიარქობის ჟამს საქართველოში შემოიჭრა ბოლშევიკური ჯარი და დაიწყო მეორე რუსული ოკუპაცია. ეპისკოპოსი ლეონიდე გარდაიცვალა 1921 წლის ივნისში, მაგრამ მისი სავარძელი დაიკავა კიდევ ერთმა დიდმა პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ. მან კიდევ უფრო მეტი შემართებით გააგრძელა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა.





ცნობილი ფაქტია: 1922 წლის 7 თებერვალს, საქართველოს ოკუპაციის წლისთავზე, ამბროსი ხელაიამ წერილი გაუგზავნა გენუის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას; **პატრიარქმა პლანეტის ძლიერ ქვეყნებს მოსთხოვა იმპერიის მიერ დაპყრობილი საქართველოს მხარდაჭერა. საოკუპაციო ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, კათალიკოსი დააპატიმრა.**

დიდმა მამულიშვილმა ამ დროს წარმოსთქვა ლეგენდად ქცეული სიტყვები: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალებო!“

ასეთი იყო ქართული ეკლესია ოკუპაციის ჟამს და ეს სულისკვეთება ბოლომდე შეინარჩუნა მან. სწორედ ამიტომ იქცა ქართული ეკლესია ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ჟამს ეროვნული მოძრაობის თავშესაფრად, სადაც გამოიჩედა თანამედროვე საქართველოს დამოუკიდებლობა.



### ბიძოცა ნასიონალუხი საბანანათიეზო სოცისთვის

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად მეორე უმნიშვნელოვანესი ფრონტი ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა და მწერლებმა გაშალეს განათლებისა და მეცნიერების განხრით.

სახელმწიფო ვერ იარსებებდა ძლიერი განათლების სისტემისა და სამეცნიერო სკოლის გარეშე. ამიტომ მოქმედებდა გაააქტიურეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა. **ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც პეტერბურგში შექმნა ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების საინიციატივო ჯგუფი; უკვე ამის შემდეგ, 1917 წლის 12 მაისს ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით თბილისში შედგა უნივერსიტეტის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა.**

უნივერსიტეტის აღდგენის საქმეში დიდი ღვაწლი გასწია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მთელმა დასმა; **1918 წლის დასაწყისში (ახალი სტილით 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, დაფუძნდა ქართული უნივერსიტეტი, რომელიც იმ დროის კავკასიაში ერთადერთი იყო.**

უნივერსიტეტი გაიხსნა გიმნაზიის შენობაში, რომელიც ქართველი მოღვაწეების მიერ, რუსული იმპერიისგან მალულად, თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც მომავალი უნივერსიტეტის შენობა. ცოდნის ამ უდიდესი ტაძრის მშენებლობის ინიციატორი (ჯერ კიდევ იმპერიის ბატონობისას) იყო ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ცხვედაძე, შენობის

ხუროთმოძღვარი კი – აკადემიური განათლების მქონე პირველი ქართველი არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი.

მშენებლობის დაფინანსებაში დიდი წილი ედო ერისგან შემოწირულ თანხას. მის მშენებლობაში ქართული საზოგადოების ყველა ფენა იღებდა მონაწილეობას და საბოლოოდ ის იქცა თავისუფალი საქართველოს მეცნიერებისა და მწერლობის ტაძრად. გარდა ამისა, ივანე ჯავახიშვილისა და სხვა პროფესორთა მოწოდებით, უნივერსიტეტის სტუდენტები ერთ-ერთი პირველები შეუერთდნენ რუს ოკუპანტთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართულ ჯარს. **მიუხედავად 70-წლიანი ოკუპაციისა, ქართველი მეცნიერები და მწერლები ამ პირობებშიც დამოუკიდებელი საქართველოს იდეის ერთგულნი რჩებოდნენ და სწორედ უნივერსიტეტი იყო ამ დიდი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი.**



## ქართული ჯარისა და ახორციელებული სპორტის ალოხინება

მესამე მიმართულება, სადაც განსაკუთრებულად გამოვლინდა ეროვნული მოძრაობის ძალა, იყო ქართული ჯარი და მის ფრთხილად აღორძინებული ეროვნული სპორტი. ქვეყანას სჭირდებოდა დაცვა, რომელიც უნდა განეხორციელებინა ფიზიკურად ჯანსაღ და საომრად შემართულ ქართველობას.

1917 წლის მარტიდან დაიწყო მოხალისეობაზე დაფუძნებული პირველი სამხედრო რაზმების ჩამოყალიბება; წლის ბოლოსთვის ის „სახალხო გვარდია“ ჩამოყალიბდა. ქართული ჯარის მშენებლობის ნაწილად იქცა ეროვნულად განწყობილი ახალგაზრდების საწვრთნელი სპორტული წრეების დაფუძნება და ერთ გუნდად შეკვრა, რომელსაც სამხედროები და სპორტსმენები ჩაუდგენ სათავეში.

1917 წელს „საქართველოს მხედართა კავშირმა“ დააფუძნა ტანმოვარჯიშეთა საზოგადოება „ამირანი“, რომელსაც 1918 წელს სამხედრო სამინისტრომ სავარჯიშო იარაღებთან ერთად გადასცა კეთილმოწყობილი შენობა. სწორედ საზოგადოება „ამირანის“ სავარჯიშო ბაზაზე, „საქართველოს მხედართა კავშირის“ მხარდაჭერით, 1918 წლის 25 აგვისტოს „ამირანელთა“ და „შავარდენელთა საერთაშორისო ორგანიზაციის“ ქართველმა წევრებმა დააფუძნეს ახალი ქართული „შავარდენული მოძრაობა“, რომელსაც გიორგი ნიკოლაძე (მათემატიკოსი, სპორტსმენი) ჩაუდგა სათავეში.

ქართული „შავარდენული მოძრაობა“ ქართველი სამხედროების დახმარებით „ანეობს ქალთა, ვაჟთა, მოზარდთა და ბავშვთა ყოველგვარ ტანვარჯიშობას, მფარველობს ფარიკაობას, დავლურს, ჭიდაობას, კრივს, ბურთაობას, თხილამურებით სრილს, მიზანში სროლას, ცხენოსნობას, ცურვას, ნაოსნობას...“

ამის განსახორციელებლად ქართულმა „შავარდენულმა მოძრაობამ“ მთელ საქართველოში

დაიწყო შესაბამისი საწვრთნელი ცენტრებისა და სასწავლებლების შექმნა. წელ-წელა დამკვიდრდა ქართული ტერმინოლოგია და სპორტის საერთაშორისო სახეობებისთვის ქართული სახელწოდებების მინიჭება. სწორედ ქართული „შავარდენული მოძრაობის“ წევრთა დამსახურებაა ის, რომ საერთაშორისო სპორტის სახეობებს ქართული სახელები აქვთ მინიჭებული (ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ჩოგბურთი...). ეს წესი დაუნერგლ კანონად დარჩა საბჭოთა ეპოქის ქართულ სპორტშიც.

„ძალა ლომისა და აღმადრენა შავარდინისა“ იყო მათი დევიზი. 1919 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, შავარდენელებმა ვაკის სტადიონზე მოაწყვეს სპორტული აღლუმი. 1921 წლის დასაწყისისთვის მათი კავშირი ათი ათასზე მეტ წევრს აერთიანებდა.

არაერთი შავარდენელი გმირულად დაეცა თებერვლის ოკუპაციის დღეებში. გარდა ამისა, მათ ოკუპირებულ საქართველოშიც გააგრძელეს მოღვაწეობა. 1921 წლის 26 მაისს „მოძრაობამ“ რუსთაველის პროსპექტზე ჩაატარა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი აღლუმი. 1922 წლის იანვარიდან კი შავარდენელებმა ორგანიზაციის წევრებისთვის სავალდებულო გახადეს მისაღმების წესი, რომლის მიხედვითაც კავშირის წევრები შეხვედრისას ერთმანეთს მიმართავდნენ სიტყვებით – „ვგუშავებ ერს“, რასაც მოსდევდა პასუხი – „მარად“.

ასეთი გაბედული მოღვაწეობის გამო სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 3 ნოემბრის დადგენილებით საოკუპაციო ხელისუფლებამ აკრძალა შავარდენელთა საქმიანობა. მაგრამ იმპერიამ მაინც ვერ მოახერხა ქართულ სპორტში ეროვნული სულისკვეთების ჩაკვლა; მთელი 70 წლის განმავლობაში ქართული სპორტი საქართველოში განიხილებოდა, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მიმართულება, ხოლო ქართველი სპორტსმენისა თუ ქართული გუნდის ყოველი გამარჯვება აღიქმებოდა იმპერიის დამარცხებად და ეროვნული სულისკვეთების ზრდის კიდევ ერთ ნაბიჯად.

1921 წლის ოკუპაციის შემდეგ ქართული ეკლესია, ქართული წიგნიერება და მხედრული სულიწკვეთებით ნასაზღვროები ქართული სპორტი 70 წლის განმავლობაში დარჩა, როგორც სამი აუღლებელი ბურჯი, რომელიც იწაბრდა და ინახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას და საბრძოლო სულიწკვეთებს; და როცა დადბა სასურველი ჟამი, ჩუმად მოღუდუნე ეროვნული მოძრაობის დინება უცებ ახმაურდა ეკლესიაში, მეცნიერება-მწიგნობრებას და ქართულ სპორტში, იმცა უზარმაზარ ტალღად, წაღება საქართველოს თავისუფლების შინაური და გარეული მტრები და დამოუკიდებლობა დაუბრუნა საქართველოს.





რამდენჯერ გვითქვამს, რომ წარსულში დაბრუნებით გუშინდელი დღე კი არა, გენეტიკური მემკვიდრეობა გადასარჩენი. იმ უჩველო კუთხეს, სადაც დაკარგულ დროსა და სივრცეში აღზილის დედა გვიჩვენებდა, ფიქრებით ვეხმინავებით და ლაპაზ ამბავს, თვითონაც რომ ახსოვს, მოგონებებით ვატოცხლებთ.

სელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორი, ბასული საუბუნის 70-იან წლებში სოხუმის ქართული დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი დავით კობახიძე ჩვეული პროფესიული დამაჯერებლობით მოგვითხრობს ერთ-ერთი საბასტროლო თევაბადასავლის შესახებ.

ამგავი სიუჟეტურად ვითარდება აფხაზეთა, იმ აღამიანთა გაქრობის შემდეგ, ქართულ-აფხაზეთის ურთიერთობა ჯერაც ერთმანეთისგან განუყოფლად რომ მიჩნდებოდა (ალექსი არგუნი, ნური კამბია, ივორ მარხულია); ომი ჯერ კალიან შორსაა, ხოლო ფიქრი იმაზე, რომ ოდესმე ულაგბაშით გაიჩნდებოდა აფხაზეთის რეალურად იქცევა, მართლაც, წარმოუდგენელი. ქართული და აფხაზეთის დანაშაულის სოხუმის თეატრში მაშინ ერთად მოღვაწეობდნენ. დავით კობახიძე გვიჩვენებს ჟ. ნიკოლაევი (უკრაინა) თეატრალური ბასტროლის შესახებ; უფრო სწორად, ისვენებს საბასტროლო კურორუს და თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ სიამოვნებით აცნობს მას „ილქის“ მკითხველს.

## Deus ex machina\*

დავით კობახიძე

1974 წელი. სოხუმის ქართულ თეატრში საგასტროლო სამზადისია. მივემგზავრებით ნიკოლაევში. ალექსი არგუნი და მე ერთი წლის მოსულები ვართ: ის დირექტორად, მე – მთავარ რეჟისორად. ეს ჩვენი პირველი გასტროლია. ყველა წვრილმანს გულდასმით ვამოწმებთ. ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე ნივთი ან დეტალი გამოგვრჩეს... ხუთი დღის დანიშნულია სადადგმო ნაწილის გამგეც, გამოუცდელია. არადა, ამ პროცესს ის, გიორგი მარხულია უნდა ხელმძღვანელობდეს...

- „ყარამანი“ ჩავანყოთ! – შემოაქვთ დიდი ყუთი.
- ჯორკოები! – ხუთივე ჯორკო ადგილზეა.
- გიტარა! – რეკვიზიტორ ტოსიას გიტარა შემოაქვს.
- ეს არ ვარგა, სიმი აკლია, მეორე გიტარით შეგვიცვალეთ!
- იმ მეორეს აფხაზეთ სპექტაკლში ვიყენებთ! – უხეშად პასუხობს ტოსია.
- ტოსია, მოიტანე მეორე გიტარა და შემდეგ ჩემთან შემოდი! – ისმის პარტერიდან ალექსის ხმა...



ცოტა ხანში დირექტორის კაბინეტიდან გამოსული ტოსია „მოთვინიერებული“ ჩანს.

ლამის სამ საათზე ერთი მანქანა უკვე დატვირთულია.

- რა დაგვრჩა? – კითხულობს ვილაცა.

- დეკორაციები ტრაილერით დილით გავაგზავნეთ, ფარდებსა და „კულისებს“ კი დახურულ მანქანაში ხვალ ჩავანყობთ, თქვენ არ შეგანუხებთ...

\* \* \*

...ქალაქი ნიკოლაევი თეატრებით, ფილარმონიით, საკონცერტო დარბაზებით, ტელევიზიით თბილისზე ოდნავ დიდია; ეგ არის, მეტრო არა აქვს. ყოველ ნაბიჯზე გვხვდება გაზიანი წყლის ჯიხურები და ჩვენი აფიშები...

მე ტელევიზიით ვაძლევ ინტერვიუს, ვუჩვენებთ ნაწყვეტებს; პრესა გვაქვს. ორ წარმოდგენას წარმატებით ვთამაშობთ. ქუჩაში გვცნობენ, გვესალმებიან...

\* – (ლათ.) „ღვთის მანქანებით“ მოულოდნელად გაჩენილი ძალა, პიროვნება, რომლის წყალობითაც გამოსავალი თითქოსდა გამოუვალ მიდგომარეობიდან მაინც ჩნდება.

დღესაც დილიდან თეატრში ვართ. აქაური სცენა სოხუმისგან განსხვავებულია, უნდა მოვერგოთ... ხვალ „ცეკვის მასწავლებელია“ – ჩვენი რეპერტუარის მშვენიერა (რეჟისორი – ბიძინა ტორონჯაძე).

– რეკვიზიტი! – განკარგულებას იძლევა სადადგმო ნაწილის გამგე იგორ მარხულია.

ხსნიან ყუთს, ყველაფერი რიგზეა.

– ავეჯი!..

სცენაზე ერთმანეთის მიყოლებით დგამენ თეთრ, მაღალზურგიან სკამებს. ყველაფერი მხიარული შეძახილებით კეთდება. გასული ორი დღის წარმატებით ფრთაშესხმულები წინასწარ ვზეიმობთ.

– „კულისები!..“

შემოაქვთ ორი უზარმაზარი ყუთი. თითოეულში ოთხი დაკეცილი „კულისია“, სიგრძით – 8-8, სიგანით – 2-2 მეტრი; ბრონეულის ყვავილისფერი ხავერდის ქსოვილია. იშვიათად მინახავს ასეთი მოხდენილი „კულისები“: გადასვლებზე მწყობრად ირხევა, ლირიკულ სცენებში ოდნავ შესამჩნევად მოძრაობს; და გამორჩეულია მისი ფერიც!... უკვე ვთქვი: ბრონეულის ყვავილისფერი...

ხსნიან პირველ ყუთს, ამოაქვთ ზედა შეკვრა და...

– ეგ არა, ეს არ უნდა წამოგელოთ!

ამოაქვთ მეორე. ისევ სტაფილოსფერი, ოდნავ მწვანეში რომ გადადის. დგება მძიმე სიჩუმე.

– გახსენით მეორე ყუთი!

**და როცა მეორე ყუთიდანაც იგივე სტაფილოსფერი, ჩამქრალი, უსიცოცხლო ქსოვილი ამოაქვთ...**

**– თქვენ რა, შეიშალებით? – მთელი ხმით ყვირის ალექსი არგუნი და უმაღლეს სცენაზე არბის.**

ხან ერთი ყუთიდან, ხანაც მეორედან იღებს და ბურთივით ისვრის დაკეცილ „კულისებს“. სცენა ამ წუთებში მართლაც ჰგავს ბრძოლის ველს, სადაც დაცემული მეომრებივით ყრია დაკეცილ-აბურღული ქსოვილები; ყველაფერს ფარავს ალექსი არგუნის სასონარკვეთილი ყვირილი.



დარბაზს ნელ-ნელა ავსებენ რეპეტიციაზე მოსული მსახიობები. ხვდებიან, რომ შეცდომით, უფრო კი გამოუცდელივით, სხვა „კულისები“ წამოიღო იგორ მარხულიამ, მან, რომელიც ახლა ქირისუფალივით გულხელდაკრეფილი დგას ავანსცენაზე.

**...ყველა მე მომჩერებია, მე, რომელიც აზრებს თავს ვერ ვუყერი... ხვალ ჩაიშლება წარმოდგენა... რალაც უნდა გადავწყვიტო!.. თუმცა ვერაფერს ვფიქრობ, გამოსავალს ვერ ვხედავ!..**

**ვილაც-ვილაცები ვერ უძლებენ შექმნილ ვითარებას და ნელ-ნელა, ფეხაკრეფით გადიან დარბაზიდან. გასტროლზე სპექტაკლის მოხსნა კატასტროფაა, არამარტო შემოქმედებითად... ეს დანამდვილებით ვიცი!**

\* \* \*

ალექსი დინჯად ჩამოდის დარბაზში. ნური სადაა, კითხულობს. ვილაცა გარბის საძებნად. იგორ მარხულია გვიანლოვდება და მორიდებით კითხულობს, არ შეიძლება, ამ „კულისებით“ ვითამაშოთო?

**გაგულისებული ალექსი აფხაზურად პასუხობს; ვარჩევ სიტყვებს – „ჟანრი“, „ეპოქა“, „სტილი“; ვინ იცის, პროფესიით თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ალექსი არგუნი კიდევ რას ეტყობა მოსაუბრეს, სცენაზე რომ არ შემოვარდნილიყო ნური კამკია, დირექტორის მოადგილე... სტაფილოსფერი „კულისების“ დანახვისას ისიც ცოტა ხანს სახეარეული ადგილზევე შეშდება; შემდეგ იგორისკენ იხედება, ეს რა გიქნიაო; იქვე ჯდება. დარბაზში ახლა მხოლოდ ოთხნი ვართ.**





– დავრეკოთ სოხუმში! – ვამბობ, მაგრამ მალე ვხვდები, რომ უაზრობაა.  
 – ჰო, თეატრში არავინაა, აფხაზური დასი გუდაუთამია, – მპასუხობს ალექსი.  
 – ხვალ „კულისები“ აქ უნდა იყოს, ამ ძველმანებში ხომ არ ვითამაშებთ?  
 – როტორიკულად კითხულობს ნური და მზერას მისწორებს. ვხვდები, რასაც გულისხმობს – შემოქმედებით კუთხით მე ვარ პასუხისმგებელი.  
 – დავრეკოთ გუდაუთამია!..  
 – მაგრამ „კულისები“ სოხუმშია!.. – ძლივს იკავებს თავს ალექსი.  
 – დავრეკოთ ვინმესთან!.. – ვგრძნობ, ენა მებმის, – გახსნან თეატრის კარები, მორიგე ხომ იქაა, გამოიტანონ „კულისები“, გემით გამოაგზავნონ, ჩვენ ოდესაში დავხვდებით...

**დარბაზში ჩამოდის გაოცებული ნური და დიდხანს დგას უხმოდ ჩემს წინ. ბოლოს თანაგრძნობით მეუბნება, გემით ვერ მოესწრება (ჩვენ კურსელები ვართ, ვმეგობრობთ).**

– თვითმფრინავით რომ გამოგზავნონ? – კითხულობს ალექსი არგუნი.  
 – ხვალ რეისი არ არის, ნამდვილად ვიცი! – ამბობს იგორ მარხულია. სიჩუმე, სიჩუმე, აუტანელი სიჩუმე. სიგარეტს ვუკიდებ.  
 – Здесь курить запрещено! – საიდანღაც გამოძვრა თეატრის მეხანძრე. გავდივარ ფოიეში. რეპეტიციის მოლოდინში მსახიობები რალაცაზე კამათობენ.

ჩემს დანახვაზე ჩუმდებიან. ფოიედან უკვე ეზოში გავდივარ. ვგრძნობ, რომ ფიქრიც არ შემიძლია. პირდაპირ სკვერში, გაუქმებულ შადრევანთან ვილაცა ულვაშებიანი აყლაყულა ფოქსტერიერს ჯოხის მოტანაში ავარჯიშებს... ვბრუნდები დარბაზში, სადაც მარტო მარხულია მხვდება.

– სად წავიდნენ? – ვეკითხები.  
 – არ ვიცი! – მუდამ მოლიმარი იგორ მარხულია, შინაგანად ინტელიგენტი, ახლა პატარა ბავშვივით თავდახრილი დგას ჩემს წინაშე და უაზროდ ჭმუჭნის თავის ზოლებიან შლაპას.  
 – სპექტაკლის მოხსნა, ალბათ, მე დამბრალდება... – ბავშვური უშუალობით მეუბნება. ლოდინით გაბეზრებული მუშები ბრუნდებიან სცენაზე.



– უფროსო, კიდევ დიდხანს უნდა ვიცადოთ? – კითხულობს ერთ-ერთი.  
 „თავხედი“ – თავში მხოლოდ ეს სიტყვა მომდის. ვუყურებ შიშველ სცენას. ძლივს ბუფეტავს „მორიგე ნათურაც“, ორპირი ქარი ნელა არხევს არლეკინს, დამლაგებელი უგულოდ უსვამს ტილოს იატაკზე, სადაც ნერვებისმომშლელად ყრია სტაფილოსფერი „კულისები“.

– იგორ! გახსენით დაკეცილი „კულისები“, გაშალეთ სცენაზე, კარგად დაათვალიერეთ, სადმე გარღვეული არ იყოს...  
 – მერე?.. სპექტაკლს არ ხსენით?  
 არ ვპასუხობ. დიდხანს მიყურებს. ნელში იმართება და ხმადაბლა მეუბნება:  
 – ითაბუპ!..\*

\* – მადლობა (აფხ.).

\* \* \*

...ვბრუნდები სასტუმროს ნომერში. ვფიქრობ, ხომ არ ავჩქარდი? მინდა, წარმოვიდგინო ეს პატარძალივით კოჰნია სპექტაკლი ამ ყავლგასულ ძველმანებში, ჩამონერის მოლოდინში წლობით რომ ენყო ნესტიან სანყობებში. მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არ ჩანს? ვიცი, მით უფრო, გასტროლზე სპექტაკლის მოხსნა არაფრით არ შეიძლება, მაგრამ ამ სახით ჩვენებაც წარმოდგენის განირვავა. მოვხსნა? სხვა რა გამოსავალი მაქვს? რა ვქნა?.. – ვკამათობ საკუთარ თავთან.

უკვე მერამდენედ ისევ ვრეკავ ჩემებთან, თუმცა ამაოდ. არავინ მპასუხობს. ალბათ, რაღაც მსგავსს ეძებენ, მაგრამ სად და როგორ? ვითომ მაინც ხავერდს იყიდებენ? 100 მეტრიც არ ეყოფა... მე რე შეკერვა? არა! ვითამაშებთ! მორჩა!

ძილის წინ ერთხელაც ვიყურები ფანჯრიდან. ნურის მანქანა არ დგას.

დილის 10 საათზე „ცეკვის მასწავლებლის“ რეპეტიციაა. ვუახლოვდები თეატრს, ვჭრი სკვერს და კუთხეში ვხედავ ნურის „ვოლგას“. შესასვლელთან ალექსი ვილაც უცნობს ელაპარაკება. დანახვისთანავე მილიმის და შედიო, ხელით მანიშნებს. თეატრის გრძელ დერეფანში ისმის ესპანური მუსიკა. ახლა დიმა ჯაიანი ცეკვავს, ვფიქრობ და პარტერის კარებთან ვჩერდები. ნეტავ, როგორ გამოიყურება ძონძებში გამონყოფილი „პატარძალი“?

ვალე კარს და... ო, „Deus ex machina!“  
თვალეებს არ ვუფერებ!.. საიდან ეს ბრონეულის ყვავილისფერი „კულისები?“ პასუხი არა მაქვს! სასწრაფოდ ისევ ეზოში ვბრუნდები. ალექსი უკვე ნურის მანქანასთან დგას და ხელით მანიშნებს, არ იხმაუროო! ნურის სძინავს. ერთმანეთს ვუყურებთ. ალექსის ელიმება.

– ლამენათევია! – ამბობს ხმადაბლა ალექსი.

არც „სად იშოვეთ?..“  
არც „რა მნიშვნელობა აქვს?..“  
არც „გმადლობთ...“  
არც ერთი სიტყვა...  
არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიდექი ასე. ნურიც იღვიძებს. ვსხდებით მანქანაში.

- მიფშათ!\* – მეუბნება ალექსი.
- სად მივდივართ?
- ნურიმ ქალაქგარეთ სალობიე აღმოაჩინა; მომკლა ყოველდღე ბორშჩის ჭამამ! – ელიმება ალექსის და ორივე თვალს მიკრავს. ნური მანქანას ქოქავს...



„საქვის მასწავლებლის“ საბახსილო აფიშა. ქ. ნიჟნაჟი. 1974 წ.

**P.S.** ნური კამკია ყველაფერი მიაგზო გვიან; როგორ შემოიარეს ქალაქის ყველა თეატრი და კულტურის სახლი, მაგრამ ფითელი საპარდის „კულისები“ როგორ ვერსად მიაგზნეს. შემიღებ ოდესაში გაამგზავრანენ, გზაში თურმე საბურავი დაეშვათ... ქალაქში გვიან ჩავიდნენ... თეატრი შვებულებაში ყოფილა. ღამით კლივის მოიძიეს დირექტორი, რომელმაც თავისი ხელით ჩაბვირთა „ჩვენი“ „კულისები“ ნურის მანქანაში. ნიკოლაევი დილის სუთ საათზე დაბრუნებულან... სასტუმროში გააღვიძეს სტენის მუშები; თეატრის მორიგეაგაც როგორღაც დართო ნება და სუთმა აღამიანა გათენებამდე შეუსვენებლივ იმუშავა. უკვე დილის 9 საათისთვის ბროწეულის ყვავილისფერი საპარდის „კულისები“, ოდესის თეატრიდან წამოღებული, ამგვანებდა სტენას.

ნურიც ეს მიაგზო ერთი წლის შემდეგ. ამ დროს ალექსი არგუნი აფხაზეთის კულტურის მინისტრი იყო...

\* – ნავიდეო (მეგრ.).



## ქაფი და მარგალიტი

ნუნუ ჯანელიძე

ქაფქაფა ქაფი და მოციხაგე მარგალიტი შორეული მთის ანკარა წყაროს სამეფოში გაჩნდნენ. ქინძისთავისოდენა მარგალიტი წვრილ, ნაირფერ კენჭებთან ერთად წყაროს გულში ცხოვრობდა, ხოლო ქაფს, მოჩუხჩუხე წყალივით სუფთასა და ქათქათას, წყაროს თავზე დაედო ბინა. მართალია, ჰაეროვანი ქაფი წყაროს სიღრმეში ჩაკარგულ ციცქნა მარგალიტს მუდამ ზემოდან, ცოტა არ იყოს, ამპარტავნულად დასცქეროდა, მაგრამ ეს ამბავი სულაც არ ადარდებდა მშვენიერ მარგალიტს. პირიქით, წყაროს სიანკარეში თავს საოცრად მშვიდად და ბედნიერად გრძნობდა.



მაგრამ ერთ ავდრიან დღეს კლდიდან მოვარდნილი ღვარცოფის ქვა-ღორღით სავსე, მღვრიე წყალმა შეუბრალებლად წალეკა წყაროს სამეფო და, მასთან ერთად, ქაფი და მარგალიტი. ორივენი ყვირილითა და თავპირისმტვრევით დაექანენ დაღმა და ბოლოს შუაგულ ზღვაში აღმოჩნდნენ. შიშნაჭამი, დაღუნვას გადარჩენილი ქაფი და მარგალიტი მალე მოეგნენ გონს და იქვე მოტივტივე ფოთოლს ჩაეჭიდნენ, მერე კი როგორღაც აბობლდნენ მასზე.

ნავის ფორმის ფოთოლს თავის ნებაზე აქანავებდა ზღვის ტალღები. ყუნწთან იჯდა ერთი ციცქნა, მაგრამ მკვრივად შეკრული მარგალიტი, ხოლო ფორმადაკარგული ქაფი, საკმაოდ შელახული სამოსით, წვეროსთან მოკალათებულიყო.

მოხერხებულმა ქაფმა უმალ აუღო ალლო შექმნილ მდგომარეობას და ფოთლის ნავის კუთხეში მოკრძალებით მჯდარ მარგალიტს მოურიდებლად დაუყვირა:

– ეი, შენ, ქინძისთავისოდენავ, რად გინდა, ამხელა ადგილი რომ გიჭირავს, ჩაინიე, დავილაღე და დასვენება მჭირდება!

ქაფმა თამამად გაინია მარგალიტისკენ, თითქმის მთელი ნავი დაიკავა, მაგრამ მარგალიტის ჯავრი მაინც არ ასვენებდა, უფრო და უფრო ავიწროებდა. ბოლოს ქაფმა იმდენი ქნა, ფოთლის ნავის ყუნწამდე მიაღწია და დამფრთხალ მარგალიტს გრძელი, ტალახიანი ფეხები მოცახცახე გულზე მიაბჯინა.

ქაფმა ვერ გაითვალისწინა წონასწორობის კანონი (ბავშვობაში „აინონა-დაინონა“ არ უთამაშია) და ამ ვაგლახში ფოთლის ნავი უცებ ამოყირავდა. საბრალო მარგალიტმა დაყვირებაც ვერ მოასწრო, ისე დაეშვა ზღვის ფსკერისკენ.

ზღვის ბინადრებმა შორიდანვე დაინახეს, როგორ მოქროდა მათკენ რაღაც პანია არსება და სინათლის სხივივით ანათებდა.

სანამ შლამში ჩაეფლობოდა, ერთმა კეთილმა სადაფმა გახსნა სიყვარულით სავსე გული და მკერდში ჩაიკრა გულწასული მარგალიტი.



– სულელი! – ჩაილაპარაკა მარგალიტის უმწიბროსი დამნახავმა ქაფმა და ზღვის ტალღებს კენწეროში მოექცა; მერე მარჯვედ მოუსვა მკლავები, ნაპირისკენ გაცურა და მთელ ნაპირზე ბატონკაცურად გაიშალა.

– რა კარგი რამე ყოფილა ზღვა! სად ერთი მტკაველა, მონანკარე წყარო და სად უკიდევანო, მარად მღელვარე ზღვა, სადაც შეგიძლია, თავისუფლად ინავარდო!

მართლაც, ქაფი მალე ისე გაუშინაურდა ზღვას, სადაც რამე ამბავი აქაფდებოდა, უმალ იქ ჩნდებოდა; ყველას ქაფი ეკერა პირზე და მთელი ნაპირი მისით ამავობდა.

ერთ ქარწვიმიან და ჭექაქუხილიან დღეს ზღვა მეტისმეტად აბობოქრდა, ხოლო ქაფი ერთიანად აფუვდა.

– ახლა უკვე მთელი სამყაროს დედოფალი ვარ! – კმაყოფილებით ყრიდა დუჟს ქაფი.

სალამოს ზღვამ კიდევ უფრო უმატა ღელვას. გაგიჟებული ყველაფერს ნაპირისკენ ისროდა. ზღვისგან წამოყრილ ნაგავთან ერთად ქაფიც, გაჭუჭყიანებული და ცოტათი დაბნეული, ნაპირს აწყდებოდა.

დილით ზღვა უკვე დაწყნარებული იყო; სანაპიროს ჟრიაშულით მოსდებოდნენ ბავშვები და ქვიშაში ეძებდნენ ღელვისგან გამორიყულ ნიჟარებს.

უეცრად ულამაზეს სადაფს მოჰკრეს თვალი და მისკენ გაიქცნენ. როცა სადაფი გახსნეს და შიგ იპოვეს ძვირფასი მარგალიტი, აღტაცებულებმა იგი ხელში აიტაცეს და სახლისკენ გაიქცნენ სიხარულის შეძახილებით.

ქაფი შორიახლოდან უყურებდა ბავშვებს და თავის ძველ ნაცნობს, ნამცეცა მარგალიტსაც მოჰკრა თვალი. თუმცა, რატომ ნამცეცა? მარგალიტი ისე ავსებულიყო და გამშვენიერებულიყო, მნახველს თვალს ჭრიდა.

ქაფს შეშურდა მარგალიტის, თვითონაც მოუნდა, ნაპირიდან დაძრულიყო, მაგრამ ნაბიჯიც ვერ გადადგა; წყალმცენარეები და მოტივტივე ნაგავიც ფეხებში ებლანდებოდა და ბორკავდა. თავს წამონევდა, თითქოსდა, ცოტათი წამოიწეოდა კიდევ, მაგრამ უმალვე ბუმტივით იჩუტებოდა და იქვე უიმედოდ იღეოდა.

...და მუდამ ასე იქნება: ქაფი მარად ზღვის ტალღებს ზემოთაა მოქცეული, მაგრამ ყოველთვის უნაყოფოდ და ფუჭად გაივლის მისი დღე და არც არავის დაენანება მისი გაქრობა; მარგალიტს კი, თუნდაც, მთელი ცხოვრება ფსკერზე იყოს, ერთ დღეს, როცა იპოვიან (და აუცილებლად იპოვიან), როგორც ძვირფასს განძს, ხელში აიტაცებენ და სიხარულის ყიჟინით სახლისკენ გააქანებენ, რომ არასოდეს, არასოდეს დაკარგონ ის.







დანდალოს ხიდი. აჭარა

აჭარა ცნობილია თაღოვანი ხიდებით. მის 10 თაღოვან ხიდს შორის გამორჩეულია დანდალოს ხიდი (ქედის რაიონის სოფელ დანდალოში); ის ლათინურ ასო S-ს წააგავს.

თხელი თაღისა და დახვეწილი პროპორციების ხიდი აგებულია IX-X ს.ს.-ში. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „დანდალო“ ლაგამს ნიშნავს. რაკი „დანდალო“ ლაგამს ნიშნავს, მიიჩნევენ, რომ დანდალოს ხიდიც მდინარის დამორჩილებასთან, ანუ მისთვის „ლაგამის ამოღებასთან“ ასოცირდება.

„იყო ერთი ძალზე ცნობილი გერმანელი მწერალი, ლამის, გოეთესა და შილერზე პოპულარული, მელოდრამატული

პიესების ავტორი – კოცებუ, რომელიც აღმოჩნდა ორმხრივი ჯვარში. მას შუბლი გაუხვრიტა გერმანელმა სტუდენტმა – კარლ ზანდმა; და... ძეგლი აღუმართეს არა დრამატურ კოცებუს, არამედ მის მკვლელს“.\*

მეცნიერებმა შეისწავლეს და აღწერეს ჩვეულებრივი კოლო, მიკროსკოპით 400.000-ჯერ გადიდებული. აღმოაჩინეს, რომ მას აქვს 100-მდე თვალი, 48 კბილი, 3 გული (1 – სხეულზე, თითო-თითო – ფრთებზე).

სითბომგრძობიარე ორგანოს საშუალებით მწერი „საგნებს“ არჩევს თურმე არა ფერისა და ფორმის, არამედ ტემპერატურის მიხედვით. ამასთან, ის გრძნობს სისხლის შემცველობასაც. ლოგინზე მწოლიარე ორი ადამიანიდან ის დაკბენს მას, ვისი სისხლის შემცველობა უფრო მოსწონს.

ასტრონავტები ღია კოსმოსში გასვლამდე დედამიწაზე ვარჯიშობენ საცურაო აუზში.

რეჟისორმა, მეცნიერმა და ხელოვნებათმცოდნემ და, როგორც მას უწოდებენ, „ხელოვნების მცველმა“ – დავით არსენიშვილმა (1905-1963 წ.წ.) XX ს.-ის 30-იან წლებში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს“, რომელიც ითხოვდა VI ს.-ის უნიკალური ძეგლის – ანჩისხატის ეკლესიის აფეთქებას (გადმოცემით, დაჩი უჯარმელის მეფობის დროს აგებული ეს ეკლესია საქართველოში იყო ერთადერთი, სადაც მაშინ ღვთისმსახურთ ეძლეოდათ ზარების დარეკვის უფლება; ამიტომ მას „ზარის ეკლესიასაც“ ეძახდნენ);

შეიტყო თუ არა ამის შესახებ დავით არსენიშვილმა, თურმე, ანჩისხატის თაღებქვეშ აღამებდა და ათენებდა; აცხადებდა, სიკვდილისთვისაც კი მზად ვარო. ამ თავგანწირულ ბრძოლაში მას ფარულად ეხმარებოდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი – კალისტრატე ცინცაძე.

„მაპატიე, ჩემო პატარა, სამშობლონაცვალო საქართველოვ, თუ ჩემი მწირი ღვაწლით ღირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაზე დასაფლავებისა“, – წერდა არტურ ლაისტი, გერმანელი მწერალი და პუბლიცისტი, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლები საქართველოში გაატარა; დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მედიცინაში არსებობს დაავადება „დორიან გრეის სინდრომი“, ანუ ფიზიკური დაბერების შიში.



უჩუალო სახლი ბახანის ხაბიონში. საფხაზაბთი

სერგო ფარაჯანოვის 1968 წელს გადაღებული კინოფილმი „ბროწეულის ფერი“ უდიდესმა კინორეჟისორებმა ფედერიკო ფელინიმ, ჟან-ლუკ გოდარმა და მიქელანჯელო ანტონიომ შედევრად აღიარეს; საბჭოთა ცენზურამ ფილმის ჩვენება აკრძალა, მთავრობამ კი რეჟისორი 1973 წელს შრომა-გასწორების კოლონიაში გაამწესა.

ეს ერთი, თითქოსდა ჩვეულებრივი სახლი, რომელიც აშენდა 1861 წელს, საფრანგეთის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ უბანში, ბრეტანის რეგიონშია. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ის უჩვეულოდ გამოიყურება. სახლი დგას პატარა კუნძულზე და ორივე მხრიდან გამაგრებულია კლდეებით. ის ძალზე საინტერესო სანახაობაა ტურისტებისთვის.

\* – აკაკი განაყრელია. „წერილები“.

## ნიგერია – “შავი კონტინენტის” გიგანტი

ნიგერიას „შავი კონტინენტის“ გიგანტს უწოდებენ; ეს იმიტომ, რომ ის აფრიკის ყველაზე დიდი ეკონომიკის მფლობელია და, ასევე, ბაზირდება მოსახლეობის ყველაზე დიდი სიმრავლით (184 მლნ. ადამიანი). ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა – 36 შტატით, დადასტურდა ავტონომიური მდებარეობა აფრიკის დასავლეთში. სახელწოდება „ნიგერია“ დაკავშირებულია მდინარე ნიგერთან, რაც „შავს“ ნიშნავს.

მსოფლიო ბანკის მიერ განვითარებად ქვეყნად მიჩნეული ნიგერია მდიდარია წიაღისეული სიმდიდრით, რითაც დაინტერესებული არიან ბიზნესმენები და ტურისტები მთელი პლანეტიდან. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის მოპოვების წყალობით ფლიური მოგება უზარადაა, მოსახლეობის უმრავლესობის დიდი უმრავლესობა ერთ დოლარს არ აღემატება. ამიტომ ქვეყანაში დღეს მიგრაცია – მსოფლიოში მიგრანტული 4 აფრიკელიდან 1 ნიგერიელია.

## აქვეანს სივილიზაციიდან ბიზანტი უმრავლესად

ნიგერიას ათასწლოვანი ისტორია აქვს. ჩრდილოეთ ნიგერიის ნოკის ცივილიზაცია ყვაოდა ძვ. წ. აღ.-ით 200-იან წლებში.

სუბსაჰარულ აფრიკაში აღმოჩენილია იმდროინდელი თიხის ფიგურები. უფრო ჩრდილოეთით, ქალაქების – კანისა და კასტინას ისტორია იწყება ახ. წ. აღ.-ით 999 წელს.

ნრის სამეფო, რომელიც გაერთიანდა X ს.-ში, არსებობდა 1911 წლამდე, ვიდრე ნიგერია ბრიტანეთს შეუერთდებოდა და დამოუკიდებლობას დაკარგავდა. ნრის სამეფოს ქალაქი ნრი მიჩნეულია ერთ-ერთი უდიდესი ეთნიკური ჯგუფის – იგბოს კულტურის საწყისად.

დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია და მთლიანად აფრიკული ქვეყნები ჩაბმულნი იყვნენ მონობით ვაჭრობაში. 1807 წელს ბრიტანეთმა გააუქმა მონობით ვაჭრობა.

ეს კანონი თავდაპირველად მხოლოდ სამხრეთში, ანუ კათოლიკურ ნიგერიაში გავრცელდა. ნაპოლეონის ომების შემდეგ მონობით ვაჭრობის შესაფერხებლად ბრიტანეთმა ჩამოაყალიბა დასავლეთ აფრიკის დივიზიონი. ისინი აჩერებდნენ მონებით დატვირთულ გემებს და შემდეგ გათავისუფლებული ადამიანები მიჰყავდათ ფრიტაუნში\*.

ჩრდილოეთ ნიგერია მხოლოდ 1936 წელს უარყო მონობა. XX ს.-ში, უფრო ზუსტად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აფრიკაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დიდი ტალღა აგორდა.

კორუფციამ პოლიტიკური პროცესები ნელ-ნელა სამხედრო გადატრიალებამდე მიიყვანა. ნიგერიის სამოქალაქო ომი, რომელიც 30 თვე გრძელდებოდა, ნიგერიის მთავრობამ დაიწყო 1967 წელს. მსხვერპლთა რაოდენობა იყო 1-დან 3 მლნ.-მდე. არაპირდაპირი გზით ომში ჩაბმულნი იყვნენ: საფრანგეთი, ისრაელი, ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი.



## ახე ფაქტი ნიგერია

ნიგერიაში უძველესი დროიდან არსებობდა გამაგრებული ციხე-ქალაქები.

საცხოვრებელი სახლები ნიგერიაში კლიმატური პირობებისა და სამშენებლო მასალების შესაბამისად იგება. ტყიან რაიონებში ქოხებს, კალათის მსგავსად, ლატანისგან წნავენ, მერე თიხით გლესენ და ბოლოს ისლით ან პალმის ფოთლებით ხურავენ. ფაცხის შიგნითვე საგანგებოდ შემალვებულ ადგილას აგებენ საძინებელს, იატაკზე კი, როგორც ნესი, სხედან გამლილ ხალიჩებსა და ტყავებზე. სახლის ფორმა, შეიძლება, იყოს მრგვალი, ამასთან, კონუსისმაგვარი სახურავით ან კუთხოვანი ბრტყელი გადახურვით. კედლებს ხშირად ლამაზად ხატავენ ორნამენტებით, თუმცა ეს ძვირი სიამოვნებაა და სახლის პატრონის ჯიბეზეა დამოკიდებული.

თუ ღარიბები თავიანთ ქოხებს საკუთარი ხელით აგებენ, მდიდრები ქირაობენ მუშებს, ხელოსნებს და ფეშენებელურ სახლებს აწყობენ ევროპულ ყაიდაზე; შესაბამისად, გაჩნდა დურგლის, მღებავის, მებათქაშისა თუ სხვა ხელოსნის პროფესია. თანდათან იცვლება თანამედროვე ნიგერიის ქალაქების არქიტექტურაც.

\* – კოლონია, სადაც გათავისუფლებულ მონებს ასახლებდნენ.



ნიგერიაში ბევრი იცვამს ევროპულად, თუმცა შენარჩუნებულია ტრადიციული სამოსიც. ქარხნულთან ერთად ტანსაცმლის შესაკერად იყენებენ სახლში წარმოებულ ქსოვილებს და შემდეგ მათ ქარგავენ ხელით. სამოსი იმდენად მრავალფეროვანია, შეუძლებელია რომელიმე სტილის დაკონკრეტება, თუმცა სამხრეთელებს უყვართ ნათელი ცისფერი, ჩრდილოელებს კი – თეთრი.

მამაკაცებს საზეიმო დღეებში მოკლესახელოებიან მაისურებზე მოსხმული აქვთ კაშკაშა ორნამენტებით დამშვენებული ტოგას მსგავსი მოსაცმელი, ხოლო ქალები, ძირითადად, იცვამენ სახლში დამზადებული ქსოვილის ნაჭრისგან შეკერილ ფართო, ზოლებიან კაბებს, ბისერებითა და ნიჟარებით განყობილს; ქალების უმეტესობა ატარებს საყურეებს, ბეჭდებს, სამაჯურებს, მძივებს. დიდ ყურადღებას უთმობენ ვარცხნილობას, რომელიც გვაგონებს ეგვიპტურ პირამიდას ან მამლის სავარცხელს; სხვა შემთხვევაში თავზე იხვევენ ბამბის ქსოვილისგან დაგრაგნილ თავსაფარს.

### სიძლიერით ხაიხ თხოვნა



დაქორწინებული წყვილი.  
ათონიაჰი ჯაფოს - იოხაბას ნახომადებანჯი

საქორწინო რიტუალები მრავალფეროვანია, სრულიად უნიკალური. ბევრი ტომი ძველი ტრადიციებით ცხოვრობს. სიძისა და პატარძლის ოჯახები ერთმანეთს ხვდებიან, ეცნობიან; სასიძოს მიაქვს საჩუქრები, გამოსასყიდი; ესაა ფული, საქონელი, ბოსტნეული. თუ პატარძლის ოჯახს საჩუქრები ეცოტავა, უარს ეტყვის სასიძოს. საპატარძლოსაც აკვირდებიან და ქორწილს მხოლოდ მისი მონონების შემდეგ ნიშნავენ.

სასიძო სიმღერით სთხოვს ხელს პატარძლის ოჯახს. ცეკვა-სიმღერა მნიშვნელოვანი ელემენტია ნიგერიულ ქორწილში. პატარძალი უამრავი მძივითა და სამკაულითაა მორთული; ის აუცილებლად უნდა ატარებდეს გელეს\*. პატარძალი იმყოფება სპეციალურ ქოხში; იქ შესვლამდე სასიძომ

სტუმრებს წინილა და თამბაქო უნდა მიართვას. პატარძლის სახელზე კლავენ თხას, რომლის სისხლს ზღურბლს აპკურებენ. შემდეგ სტუმრებს შეუძლიათ პატარძლის სახის ნახვა და ამისთვის ფულს იხდიან.

არის სხვა უცნაური ჩვეულებაც – სასიძომ უნდა გაიაროს ცოცხალი დერეფანი; პატარძლის ნათესავები მას სცემენ ჯოხით. თუ ცემას უხმოდ აიტანს, ე. ი. მზადაა ქორწინებისთვის.

კიდევ უფრო უცნაურია ერთ-ერთი საქორწინო ტრადიცია, როცა სასიძო მაყართან ერთად საპატარძლოს ოჯახის პატივისცემის ნიშნად წვება მიწაზე.

არის პატარძლის გასუქების ცოტა სასაცილო წეს-ჩვეულებაც; რადგან სიგამხდრე სილატაკის ნიშანია და ნაკლად ითვლება, გოგონებს საგანგებოდ გზავნიან პანსიონატებში, სადაც მათ დღე და ღამე კვებავენ ფაფებით, აქლემის ცხიმინი რძითა და ტკბილეულით (ამას უთუოდ მუსულმანური ფესვები აქვს).

### ბაქაქილი ყოფა და... «ჯალოქი ბავშვები»

არის ორი ნიგერია – მდიდრებისა და ღარიბების. გლამურული ყოფიდან ორ ნაბიჯში მეფობს ჭუჭყი, სილატაკე და ბნელეთის მოციქულობა. ნიგერიის ცენტრალური რაიონებიდან ხალხს ძალით ასახლებენ რეგიონებისკენ, უცილობელი გაჭირვებისა და სილატაკისკენ; მათ კი ამის შესახებ არც აფრთხილებენ.

ნიგერიაში ყოველი მეორე სასკოლო ასაკის ბავშვი არ დადის სკოლაში. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს არსებულ საშუალო განათლებას; მართლაც, რა საჭიროა ადგილობრივების განათლება, თუკი უცხოელებს თვითონ მოჰყავთ სპეციალისტები, ნავთობმომპოვებლები, ხოლო მეომრებს საერთოდ არ სჭირდებათ წერა-კითხვა?!

ნიგერიაში ეკლესია მეტია, ვიდრე სკოლები, კლინიკები და ბანკები, ერთად აღებული. პასტორები ადამიანებს პირდებიან როგორც სულიერი, ასევე, ფინანსური პრობლემების გადაჭრას.

ნიგერიაში ბავშვებს ხშირად ადანაშაულებენ ჯადოქრობაში. ეს ხდება ეკლესიის სახელით, ე.წ. „დემონების განდევნის“ მიზნით. ქვეყანაში 13 ქრისტიანული ეკლესიის პასტორის მიერ 15 ათასამდე „ჯადოქარი ბავშვის“ საქმეა აღძრული.

ნიგერიაში რელიგიის არჩევისა ან შეცვლის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით.

\* – ეროვნული თავსაბურავი, რომელიც ერთგვარი გვირგვინის სიმბოლოა

## სახელის დახმარება

ნიგერიაში მშობლებს შვილებისთვის უყვართ აღწერითი სახელების დარქმევა. თუმცა ბევრი სახელი კოლონიური ეპოქიდან მოდის, ბევრიც ბიბლიურია.

სახელი ნიგერიელებისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. იბოელთა ანდაზა ამბობს: როდესაც ბავშვს სახელი დაერქმევა, მას უკვე ღმერთები მფარველობენ. ეს ნიშნავს, რომ სახელს აქვს ცხოვრების განმსაზღვრელი ეფექტი.

**იორუბას ხალხში, ტრადიციულად, კვირას დაბადებულ ყველა ბავშვს „კვირა“ ჰქვია.**

ნიგერიაში ძალიან ხშირად იცვლიან სახელს.

ამიტომ, ადგილობრივთა სახელების ჩამონათვალი ძალიან გრძელია. სახელის შეცვლა ქვეყანაში კანონიერია და ამის უფლება აქვს ყველა სრულწლოვანს; საკმარისია, მიმართოს სასამართლოს. სახელს იცვლიან დაქორწინებისას ან ეშმაკის განდევნისა და რაიმე ჯადოქრობის თავიდან არიდების მიზნითაც.



ნიგერიის სოფელი

## ეთნიკური სიმრავლე და სიჭიკე

ნიგერიაში, ეკონომიური სიდუხჭირის გამო, ძალიან დაბალია ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა (საშუალოდ 48-52 წელი); თუმცა უფლის დიდ წყალობად მიიჩნევა, თუ ნიგერიელი 35 წელს მიაღწევს. ამიტომ, ესაა ქვეყანა, სადაც მსოფლიოში ყველაზე მეტი ახალგაზრდა მოსახლეობა ცხოვრობს. სამწუხაროდ, ძალიან მაღალია დედებისა და ბავშვების სიკვდილიანობა.

ნიგერიაში არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი; შესაბამისად, კერძო ავტობუსის მგზავრის ბედი დამოკიდებულია კონდუქტორის განწყობაზე. საქალაქო ყვითელ ავტობუსს არ აქვს ფანჯრები, ხოლო კარები, დაახლოებით წელის დონეზე, უსაფრთხოების მიზნით დახურულია რკინის ცხაურით.

ნიგერია გამოირჩევა კერძო პირებისა თუ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე მოხელეების მხრივ ძალადობით. პოლიცია ხშირად თვითონ არღვევს კანონს და არის გამომძალველი. სისასტიკეა ოჯახებში, ციხეებში; სრულიად კორუმპირებულია სასამართლო.

მდინარე ნიგერის დელტაში თარეშობენ მეკობრეები, იტაცებენ უცხოელებს, ითხოვენ გამოსასყიდს, თავს ესხმიან ნავთობმომპოვებელ ობიექტებს და აფეთქებენ მათ.

ნიგერიელები, მიუხედავად გაჭირვებისა და უცნაური ტრადიციებისა, ძალიან უშუალოები არიან. შეუძლიათ, იყვნენ მოქნილები, ნებისმიერ სიტუაციას აუღონ ალლო.

რაკი ინგლისის კოლონია იყო, საუბრობენ ინგლისურად, თუმცა ხშირად მათი გაგება არაა მარტივი. საქმე ისაა, რომ ისინი ერთმანეთს ადგილობრივ დიალექტზე, „ჰიდჯანზე“ ელაპარაკებიან.

**აღსანიშნავია, რომ ნიგერიაში დიდადა განვითარებული კინოინდუსტრია; ქვეყანა მესამე ადგილზეა ჰოლივუდისა და ბოლივუდის შემდეგ. ესაა ფილმები ნარკოდელერებზე, კორუფციაზე, ძალადობასა და სიყვარულზეც კი.**

შვედნაში 500-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს. მათგან ყველაზე დიდია ჰაუსა, იგბო და იორუბა. შუსაბაისად, ნიგერიაში 500-ზე მეტ განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, თუმცა ოფიციალური ენა ინგლისურია.

ნიგერიაში მოსახლეობის 50% მუსულმანია, 40% – ქრისტიანი, დაახლოებით 10% კი მიეკუთვნება ტრადიციულ აფრიკულ რელიგიას, რომელთაგან აღსანიშნავია ჭამა-ჭუსილისა (შანგო) და ოვის (ოგონუმი) ღმერთები. შვედნის ჩრდილოეთში უფრო ჭარბობს მუსლიმი მოსახლეობა; ისინი, გარდა კონსტიტუციისა, აღიარებენ შარიათის კანონებს, რომელიც ძალიან მკაცრი და სუსტიკია. რელიგიური და ეთნიკური სიჭკალის გამო ნიგერიაში ხშირია ამ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები.

ლაგოსი, 155 მილიონი მცხოვრებით, არის ნიგერიის ეკონომიკური ცენტრი და ყველაზე დიდი მეგაპოლისი შავ აფრიკაში. 1999 წელს ნიგერია დაიბრუნა დემოკრატია, თუმცა საგარეოლიანი საპარტიო დანაშაულები მთავრად მხოლოდ 2015 წელს.



ნიგერიის მეგაპოლისი - ლაგოსი



ვაგრძელებთ „ილქნის“ რუბრიკას „მეხსიერების ბაზარში“. ქალბატონი ნინო ანჩაბაძე გვიყვება მამის, ლევან ანჩაბაძის შესახებ, რომლის ცხოვრება სავსეა ტკივილით, ფათერაკებითა და რაინდული საქმეებით. ლევან ანჩაბაძეზე, როგორც დიდებულ პიროვნებაზე, მთხვევლებს მისი რამდენიმე გადაწყვეტილება; შორეულ მგადადანი, გადასახლებაში ყოფნისას, როცა სტალინის სიკვდილის შემდეგ ამინდის გამოცხადდა, სხვაზე აღრე მისი ბათავისუფლების ცნობა მოვიდა, მათ თავისი რიგი დაუთმო ჯერ ჭაბუა ამირაჯიბის, შემდეგ კი ერთ-ერთ თანამემამულეს, ვალიკო მისხიას, რომელსაც ცოლ-შვილი ჰყავდა (შეფყალბას მერე პატიმრები წლებიც კი ელოდნენ). ლევან ანჩაბაძის და ჭაბუა ამირაჯიბის ურთიერთობა თბილისშიც ვაგრძელდა; ისინი ოჯახებით დამგობრდნენ; სხვათა შორის, ასალგაზრდა ჭაბუა დარეჟან მიქელაძე (ლევანის მეუღლე) ჰმარზე აღრე გაიცნო; თურმე 18 წლის ჭაბუასთან ერთად ორთაჭალის ციხეში იჯდა მამამისი (XX ს.-ის 40-იან წლებში); მშობლის სანახავად მისული ქალიშვილი, რომელსაც მასთან საჭმელი მიჰქონდა, ხშირად ხედავდა მომავალ ქლასიკოსსაც. ქალბატონი ნინო, რომელიც სწავლობდა სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, დღესაც სიყვარულით იბონებს აფხაზეთს, სოხუმში ბატარავულ ულაგაზე წლებს. მამრამ, ლამის, დაუჯერებელ ლებენდებად აკინძული მამის თავგადასავალი მისთვის განეტიქური დირებულების ერთი უწყვეტი აგავია.

## მამაჩემი რასაც მიყვებოდა

ნინო ანჩაბაძე

### ალაყაფის დიდი ჳიგარი

ჩემი ბავშვობის საუკეთესო მოგონებები უკავშირდება აფხაზეთს, სამურზაყანოს. ზაფხულის არდადეგებს ვატარებდი მამიდებთან, რომლებიც ჩვენზე, ანჩაბაძეებზე ჰყვებოდნენ სევდიან, მაგრამ ჰეროიკული სულით აღსავსე საოცარ ამბებს.

თავადური წარმომავლობის ანჩაბაძეებს, მამულებთან და უამრავ სიმდიდრესთან ერთად, სოფელ ოტობაიაში ჰქონდათ ბერძენი ოსტატების მიერ საუკეთესო ჳიშის ხისგან ულურსმოდ აგებული დიდებული სახლი-სასახლე. გაკულაკებისა და მამულების ჩამორთმევის შემდეგ წითლებს სურდათ, ჩვენს სახლში გაეხსნათ სოფლსაბჭო, რასაც ოჯახი შეენინალმდებდა. ამ უთანასწორო ბრძოლას შეენიწნენ მამაჩემის მამა თათარხანი (იგივე ბესარიონი, რომლის სახელი ჰქვია ჩემს ძმას) და უფროსი ძმა მურადბი (დარჩა ერთი შვილი). სამწუხაროდ, ძმისა და მამის დალუპვას გადაჰყვა მამაჩემის ერთ-ერთი და – ბაბუცა.

მამაჩემი, ლევან ანჩაბაძე, 15 წლის ყმანვილი (1922 წელს იყო დაბადებული), სავარაუდოდ, მხოლოდ არასრულწლოვნების გამო გადაურჩა რეპრესიებს; თანაც, იმხანად სახლშიც არ იმყოფებოდა; იგი ერთი წლიდან, დედის, ნინო ჩიქოვანის (რომლის სახელი მქვია მე) გარდაცვალების შემდეგ მეზობელ სოფელში იზრდებოდა ჩიჩუებთან.

მალე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო; მანამდე, 1940 წელს მამაჩემი ჳარში გაიწვიეს, რამაც იგი, გარკვეულწილად, იხსნა კიდევ რეპრესიებისგან. ოჯახს შემორჩა უკრაინის ქალაქ ბერდიჩევიდან მის მიერ დისადმი, ნაზიასადმი გამოგზავნილი სურათი წარწერითა და ლექსით (დედმამიშვილებიდან დარჩენილი იყვნენ მხოლოდ ნაზია და ბუჟღუ).

მასწოვს, ნაბაკეში გათხოვილმა ბუჟღუ მამიდამ წამიყვანა ოტობაიაში, სადაც ერთ დროს მამაჩემის ოჯახი ცხოვრობდა. დღემდე მდევს სევდიანი მოგონება: ანჩაბაძეების ნაფუძართან წარსულის უკანასკნელ მოწმედ შემორჩენილიყო ალაყაფის დიდი ჳიშკარი, ბოლომდე მოლიავებული და აქეთ-იქით საბრალობლად გადაბრეცილი.

## ფრაუ რიმა

1941 წელს მამაჩემი უკრაინის ქალაქ ჰერემიშლენში იყო მზვერავად; იმავე წელს ჩავარდა ტყვედ და ნაცისტებმა იგი გაავზავნეს გერმანიის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში. იმ დროს მძვინვარებდა ტიფი; გერმანელები, უსაფრთხოების მიზნით, სამ დღეში ერთხელ შემოივლიდნენ ტყვეების სადგომებს და თუ ვინმეს ნახავდნენ მიგდებულს, გაათრევდნენ ბანაკის გარეთ და საგანგებოდ მკვდრებისთვის ამოთხრილ უზარმაზარ ორმოში აგდებდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემოვლისას ნაცისტებმა შიმშილისგან მისუსტებული, თითქმის უგონოდ მყოფი მამაჩემიც ავადმყოფად მიიჩნიეს და ისიც დაუნანებლად მოისროლეს მკვდრებითა და ცოცხალ-მკვდრებით სავსე ტიფიანთა ორმოში.



ანჩაი ჳოხავეა (ფიროსიანი), ჳანიჳო სავაიი (ოხოზანიანი) და ლევან ანჩაბაძე. ქ. ბახეირავი. 18.02.1940 წ.

ორი დღის შემდეგ მამა, ღვთის სასწაულით, გონზე მოვიდა, ძალა მოიკრიბა და რის ვაი-ვაგლახით ამობობდა იმ საშინელი თხრილიდან. მშიერმა, ჭუჭყიანმა და გასავათებულმა დღე-ნახევარი ხოხვა-ხოხვით იარა და ერთ-ერთ დასახლებამდე მიაღწია; მიადგა განაპირა სახლს და დახმარება ითხოვა.

**დიასახლისმა, გერმანელმა ქალმა, დაუფიქრებლად შეიფარა გასაცოდავებული ტყვე და 6 თვე მალავდა სახლის დამხმარე ნაგებობაში.** აღმოჩნდა, რომ ფრაუ რიმა, როგორც მას ერქვა, არ უთანაგრძნობდა ნაცისტებს. მეტიც, იგივე მიზეზით მისი მეუღლეც იყო დაპატიმრებული.

გამოკეთების მერე მამაჩემი ცდილობდა, ტვირთად არ დასწოლოდა ოჯახს, ეხმარებოდა დიასახლისს სამეურნეო საქმეებში. **მან ფრაუ რიმას ასწავლა მანვნის, სულგუნის გაკეთება. გერმანელი ქალი განსაკუთრებით აღაფრთოვანა დაწულმა სულგუნმა.**

სამწუხაროდ, სიგარეტის მოსაწვენად ჰაერზე გამოსულ მამაჩემს შემთხვევით თვალი მოჰკრა მეზობელმა და დაასმინა. **უმალ მოცივდნენ გერმანელები და ყოფილი ტყვე ისევ საკონცენტრაციო ბანაკში დააბრუნეს.**



ც. ანაბაძე, ვ. ჯოჯია, ვ. საჩაია, ვ. ძაძაია (მეზვენიანი).  
 ქ. პეტიშვილიანი. 26.06.1941 წ.

## „მეზვენიანი ბაზარი“ და ავსტრიის გუნდი

მალე მამა გადააგზავნეს პოლონეთის საკონცენტრაციო, ე.წ. „სიკვდილის ბანაკში“, გერმანიის საზღვართან ახლოს. ნაცისტების მიერ შედგენილ უმძიმესი სამუშაოებისთვის გამწესებულთა 500-კაციანი სიაში ისიც აღმოჩნდა; ეს სასიკვდილო განაჩენს უდრიდა.

**მაგრამ მოვლენები შემდგომ ასე განვითარდა: სწორედ იმ პერიოდში (1942-43 წ.წ.) საფრანგეთსა და გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები, თანამემულეთა გადარჩენის მიზნით, თავს უყრიდნენ ნიჭიერ ადამიანებს. ერთ-ერთ ტყვეს, დათა კავსაძეს (კახი კავსაძის მამა), დაევალა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის გუნდის ჩამოყალიბება. დადიოდნენ ბანაკ-ბანაკ და ეძებდნენ გამოორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ ქართველებს – უპირატესობას ანიჭებდნენ თავადური წარმომავლობის ე.წ. „ციხფერსისხლიანებს“.**

საბედნიეროდ, პოლონეთის ერთ-ერთი ქალაქის ბურგომისტრი წარმოშობით ყოფილა ქართველი. გრიგოლ რობაქიძის მხარდაჭერით იგი აქტიურად შეუდგა თანამემულეთა მოძიებას; გამოითხოვა ის საბედისწერო 500-კაციანი სია, სადაც 22 აღმოჩნდა ქართველი; ბურგომისტრმა ნაცისტებს დაუსაბუთა, რომ თითოეული იყო საბჭოთა წყობის მოწინააღმდეგე და წითელი რეჟიმის რეპრესიათა მსხვერპლი.



ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ყოფილი მუშაობისა და მომსახურების).  
 შაჟი: დათა კავსაძე (ხედილქანაძი), ბაქოთა ხიზი: ლევან ანაბაძე. იტალია. 1946 წ.



ბურგომისტრმა ტყვეებს დაუმზადა ე.წ. „მწვანე ბარათი“, რომლის მეშვეობით ისინი დაუბრკოლებლად გადავიდოდნენ საფრანგეთში. მაინც, უსაფრთხოების მიზნით, ისინი დაჰყო 2-2-კაციან ჯგუფებად; თითოეულს მისცა გარკვეული თანხა, თან დაარიგა, შეუმჩნეველად გაჰყოლოდნენ სატვირთო შემადგენლობას.

მამაჩემსა და მის თანმხლებს შეეშალათ მატარებელი და აღმოჩნდნენ თივითა და ცხენებით სავსე ჯავშნოსნის ერთ-ერთ ვაგონში; იქაურობის დათვალეობისას შემთხვევით ნააწყენდნენ ოკუპანტების მიერ უკრაინიდან წამოღებულ დიდი რაოდენობის ოქროს. გახარებულებმა ნაპოვნით აივსეს ჯიბეები და როცა ჩავიდნენ პარიზში, ელისეს მინდვრების მახლობლად, დიდი ხის ქვეშ შეუმჩნეველად დაფლეს განძის გარკვეული ნაწილი. მეორე დღეს ბურგომისტრის სახელით შეუდგნენ დათა კავსადის გუნდის ძებნას.

## სამოგლო თუ სიცოცხლე...

საკონცენტრაციო ბანაკებში გატარებული უძიმესი დღეების დასრულებისა და დათა კავსადის გუნდში (კავსადე დაინიშნა გუნდის ხელმძღვანელად) მოხვედრის შემდეგ მამაჩემისა და ანსამბლის სხვა წევრების ცხოვრებაში დაიწყო საინტერესო ხანა. ისინი გასტროლებით დადიოდნენ მთელს ევროპაში, ქალაქიდან ქალაქში, მონაწილეობდნენ სალონურ საღამოებში.

ომი რომ დამთავრდა, მამა იყო იტალიაში. 1947-48 წლებში ქალაქ ტურინში მან გაიცნო ქართველი ემიგრანტის, ფერმერისა და რძის ქარხნის მეპატრონის ქალიშვილი და მასთან ჯვარი დაინერა კათოლიკურ ეკლესიაში. მალე მისგან შეეძინა შვილი, რომელსაც დაარქვა თავისი სახელი, ლევანი (ისე, მის შესახებ დღემდე ვერაფერი გავიგეთ). მატერიალურად არ უჭირდა, ცოლ-შვილიც ახარებდა, მათთან ერთად ხშირად დასეირნობდა ტურინის ქუჩებში და, ალბათ, ბედნიერადაც იცხოვრებდა სიცოცხლის ბოლომდე, რომ არა სამშობლოს ნოსტალგია.



ლევან ანგაბაძე და ჭაბუა აშიხაიძე. 1964 წ.

ამიტომ 1949 წელს, როგორც კი მიეცა თავის ქვეყანაში დაბრუნების შესაძლებლობა, ცოლ-შვილთან განშორების ტკივილის მიუხედავად (ლევანი მხოლოდ 1 წლის იყო), იტალია დატოვა. იცოდა, წითლები არ აპატიებდნენ ნაცისტებთან ტყვედ ყოფნას; ამისთვის, შეიძლება, დაეხვრიტათ კიდევ, მაგრამ სხვაგვარად არ შეეძლო: მისი გული მხოლოდ სამშობლოს ეკუთვნოდა.

გემით ფოთში ჩამოვიდა. როგორც კი საქართველოს მიწაზე ფეხი დადგა, იქვე აიყვანეს. ჩამოართვეს ჩოხა-ახალუხი ორი ოქროს ქილით, ოქროთივე მოვარაყებულ ქამარ-ხანჯალი. მამას თან მოჰქონდა 1946-47 წლებში, კავსადის გუნდში ყოფნისას გადაღებული უნიკალური ფოტო, რომლის უკანა მხარეს მიწერილი იყო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის თითოეული წევრის გვარ-სახელი. ჩხრეკისას, რა თქმა უნდა, უპოვეს სურათი და დახვეის შემდეგ იქვე, მიწაზე დააგდეს. საბედნიეროდ, ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა აკრიფა დანაკუნებული ფოტო და სხვებისგან შეუმჩნეველად დაუბრუნა პატრონს.

ეს ის ისტორიული ფოტოა, რომელიც ნანა ჯანელიძის ცნობილ დოკუმენტურ ფილმში „ნეტავ, იქ თეატრი არის?“ მამამისზე, დათაზე საუბრისას კახი კავსადეს ხელში უჭირავს. როგორც ბატონმა კახიმ ბრძანა, მათ საოჯახო არქივში, რა თქმა უნდა, ინახება ეს ფოტო, მაგრამ გუნდის წევრთა ვინაობა, თითო-ოროლას გარდა, აქამდე მანაც არ იცოდა. მერე და მერე, მამაჩემის, ლევან ანგაბაძის ხელით მიწერილი ანსამბლის წევრთა გვარ-სახელებით თავისი ახლობელი ბევრმა ამოიცნო იმ ფოტოსურათზე (თეთრჩოხიანები არიან მომღერლები, შავჩოხიანები – მოცეკვავეები, ხოლო შარვალ-კოსტიუმებში გამოწყობილნი – ხელმძღვანელები).

მამამ ითხოვა ერთი დღე თავისიანების მოსანახულებლად; ჯერ ჩავიდა ზუგდიდში გათხოვილ ნაზიასთან, რომლის ეზოდან სახსოვრად წამოიღო ბლუჯა ბალახი და თხილის ფოთოლი. მერე, ნაბაკევი მცხოვრები და – ბუჟღუ მოინახულა და მას შესანახად დაუტოვა დახეული ფოტო. რა თქმა უნდა, ღამე არც ერთი დღის ოჯახში არ გაუთევია (სავარაუდოდ, თან ახლდა ბადრაგი).

მალე ანტისაბჭოთა ქმედებისთვის მამას მიუსაჯეს 25-წლიანი ციხე, შორეულ მაგადანში გადასახლებით.

## უცნობი ჯაბა და ციხის ამბოხი

ციხეში მამას დახვდა მწერლობაში ჯერ კიდევ უცნობი, თუმცა თავისი აზროვნებით, სიმამაცითა და ახოვნებით გამორჩეული ჯაბა ამირეჯიბი. ისინი მალე დამეგობრდნენ; ჯაბუამ მოახერხა, რომ მამას მასთან ერთად ემუშავა ხე-ტყეზე; ამით იგი აარიდა ოქროს საბადოს, სადაც უმძიმეს პირობებში ამუშავებდნენ სასიკვდილოდ განწირულ კატორღელებს. შედარებით ადვილი თითქოს იყო ტაიგაში მუშაობა; პატიმრებს შეეძლოთ, დაენთოთ ცეცხლი და გამთბარიყვნენ. მართალია, 40-50 გრადუსი ყინვა ყველაფერს წვავდა, მაგრამ ამ სიღუბჭირეშიც ერთმანეთს ამხნეებდნენ და ზოგჯერ ერთობოდნენ კიდევ: ერთხელ ტყეში უნახავთ გაყინული ხვლიკი, ნამოყვანიათ და როცა ცივისსხლიანი „სტუმარი“ რამდენიმე დღეში გამთბარა და გამოცოცხლებულა, პატიმრებიც გახალისებულან.

მალე ციხეში მოხდა ამბოხება. პროტესტანტების ძირითად ბირთვის, ჯაბუა ამირეჯიბთან ერთად, წარმოადგენდნენ „თეთრი გიორგის“\* წევრები: ამირან მორჩილაძე, ამბერკი ბათოშვილი, რეზო წულუკიძე... (სწორედ მაგადანის ციხის აჯანყების არაერთი ეპიზოდით გადმოგვცა მწერალმა „დათა თუთაშინაში“ აღწერილი ციხის ამბოხი; ხოლო სახელი გუდუნა მწერალმა თავის პერსონაჟს დაარქვა მამაჩემის ბაბუის, გუდუნს მიხედვით).

გაფიცულები ითხოვდნენ პირობების გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, ვიღაცამ გასცა ამბოხებულები; რეპრესიების მიუხედავად, პატიმრები აგრძელებდნენ პროტესტს; მოანყვეს მჯდომარე აქცია: 800-მდე ადამიანი გარეთ, მიწაზე იჯდა 50-გრადუსიან ყინვაში და ადგომას არ აპირებდა. გაფიცულები ვერაფრით რომ ვერ გაიყვანეს სამუშაოდ, ცენტრიდან გამოიძახეს ექსტრასენსი, რომელსაც ფსიქოლოგიურად უნდა ემოქმედა მათ აზროვნებაზე. ჰიპნოზის სესიები მართლაც შთამბეჭდავი ყოფილა: 800 ადამიანი ზედიზედ რამდენიმე საათი თურმე თავდაუზოგავად იქნევა ხელებს, წარმოსახვით ზღვის ტალღებს რომ გამკლავებოდა. და, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს არაქათგამოცლილები დავარდნენ მიწაზე, არ შეიცვალეს აზრი.

პოლიტიკურებს მიიჩნევდნენ საშიშად, უჩენდნენ მკვლელებს, ანადგურებდნენ თითო-თითოდ. საპირფარეოშიც მარტო წასვლაც კი საშიში იყო. მამას ჯაბუა არაერთხელ გადაურჩენია; ერთხელაც, რომ იტყვიან, ბენეზე მიუსწრია: თავში უნდა ჩაერთყათ არმატურა. ჯაბუა ამირეჯიბმა გვიამბო მოგვიანებით, როგორ დასაჯა მამამ ციხის ამბოხების გამცემი: ჭამის დროს ლეომ (მამას ასე ბევრი ეძახდა) ერთ-ერთ პატიმარს პირთან მიტანილ ხის კოვზზე (ციხეში ყველაფერი იყო ხის) უკრა ხელი და ამით მიახვედრა ყველა, ვინც იყო გამყიდველი. მამას მეტსახელი „გრძელხელებაც“ ამიტომ შეარქვეს-ყველას სწვდებოდა მისი სამართლიანი ხელი.



ბაუნა ანგაბაძე, ლეონ ანგაბაძის ბაბა, ვისი სახელიც ჰქონდა «დათა თუთაშინის» ეპიზოდით მთავარი პერსონაჟი

## მამა უკვე აღარ იყო

გასული საუკუნის 80-იანი წლებია, თითქმის 40 წელია გასული მეორე მსოფლიო ომიდან. ერთ დღეს ვუყურებ ტელე-რადიო კომიტეტის გადაცემას ქართულ-გერმანულ ურთიერთობებზე; გაცვლითი პროგრამით გდრ-იდან ჩამოსული ქალბატონი ჰყვება, ომის დროს როგორ გადაარჩინა საბჭოთა ტყვე. რატომღაც ავლელდი.

იმ დღესვე ტელეფონით დამიკავშირდა ჩემი ახლობელი ჟურნალისტი მზია გოგინაშვილი. მითხრა, მივსულიყავი ტელევიზიაში. თან წავიღე მამაჩემის მიერ ომიდან ჩამოტანილი ფოტო, სადაც ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. გერმანელ სტუმარს ვუამბე მამის შესახებ და სურათიც ვუჩვენე. წინათგრძნობამ არ მიტყუნა – ქალმა უმალ იცნო მამა. დიას, ეს იყო ფრაუ რიმა, რომლის შესახებ ამდენს გვიყვებოდა მამა. იგი მამაჩემის სახელს წარმოთქვამდა შემოკლებით – „ლეო“. გაიხსენა, როგორ ისწავლა მისგან მანვინისა და სულგუნის გაკეთება; ძალიან სურდა, ბევრი გაეგო მასზე. მამა უკვე აღარ იყო.

**P.S.** „გორა გორბალი“ ჯაბუა ამირეჯიბის რიგით მეორე რომანია; ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში მოთხრობილია ავტორის მეორე „მე“-ს თავგადასავალი. მოგონილ სიუჟეტებსა და პერსონაჟებთან ერთად რომანში ბევრი რეალური ამბავიც და პიროვნებაც. „გორა გორბალს“ ბოლოში თან ერთვით სწორედ ნამდვილი თუ მფარლის ფანტაზიით შემთხვევით მოთხრობს პირთა სრული სია, შესაბამისი განმარტებებით. წუსსა ერთ-ერთ პერსონაჟზე გვაუწყებს: „ლეო ანგაბაძე – რეალური პიროვნება, ბრწყინვალე ავსაზი თავადი, მთავრების ჩამომავალი... მშვენიერი ინჟინერი; ნინო და ბესიკ ანგაბაძეების მამა; ავტორის უახლოესი მეგობარი... ტყვედ იყო ბერმანისა და საბჭოთა ბანაკში. მღეროდა დათა კავსაძის ბუნდში.“

\* – ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებდა ევროპაში 1924-1954 წ.წ.-ში.



ოსკარ უაილდი (1854-1900 წ.წ.), ირლანდიული წარმოშობის ცნობილი ინგლისელი დრამატურგა, მწერალი და პოეტი, ერთდროით და მარად პოპულარული „ლორინ ბრინის პორტრეტის“ გარდა მსოფლიოს დაუტოვა განუმეორებელი ზღაპრები, მოთხრობები...

შაბლონურსა და გაცემითელ ვერაფერს იტანდა (ჩაცემულობითაც თურმე გვერისგან გამოიჩნოდა). ყოველდღიური მომსახურებელი ერთფეროვნებისგან თავის დაცვის გზას ხედავდა მხოლოდ ხელოვნებაში. სხვათა შორის, სიტყვა „ხელოვნებას“ ის მუდამ მთავრული ასოებით წერდა. დიდი შემოქმედი ხელოვნებას მიიჩნევდა მშვენიერების იმ სახანად, „სადაც ცოტა ხნით მაინც შეგვიძლია ამჟვენიური სიავისა და საშინელების დავიწყება“. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ის გამოუტყდა ერთ-ერთ თავის მებრძოლს: „ჩემთვის წარამ აზრი დაკარგა, რადგანაც უკვე ჩავფიქრი ცხოვრების მნიშვნელობას. არ შეიძლება, წარმოცხოვრებაზე – მისით მხოლოდ უნდა იცხოვრო“.

ერთო ზეგნით ზღაპარი „თავიკრახ გოლიათიც“ იმიტომ შეიქმნა, რომ მწერალს ეთქვა: ადამიანებო, იცხოვრო ამჟვენად, ნიშნავს, ოდესმე მაინც გააცნობიერო, ვინა ხარ, რატომ მოხვედი და რას მიყავხარ სინანულამდე! მერე კი ამ წუთისოფლიდან გასვლას ვერ შეძლებ, ვიდრე თავიკრახ გოლიათივით არ აბაღმეფებს სიყვარულის ჭრილობები და მადლიერების ნიშნად უფალს არ დაუწოდებ!

## თავიკრახ გოლიათი

ოსკარ უაილდი  
თარგმნა დალი მუსხაძე

ყოველდღე, როცა ბავშვები სკოლიდან ბრუნდებოდნენ, შეირბენდნენ ხოლმე სათამაშოდ გოლიათის ეზოში. მისი ბალი ხომ გასაოცრად ლამაზი იყო, ხასხასა მწვანე და ფაფუკი ბალახით, აქა-იქ ვარსკვლავებით მოციმციმე ყვავილებით დამშვენებული. ბაღში ხარობდა თორმეტი ატმის ხე; გაზაფხულობით ისინი ვარდისფერ-სადაფისფერი კვირტებით იმოსებოდნენ, შემოდგომით კი უტკბილეს ნაყოფს ისხამდნენ. ხის ტოტებზე შემომჯდარი ფრინველები ისე საამუჟრად გალობდნენ, რომ ბავშვები თავს ანებებდნენ ხოლმე თამაშს და ფრთოსნების გაბმული ჭიკჭიკის მოსასმენად გარბოდნენ; თან აღტაცებულნი ყიჟინებდნენ: – რა კარგია ამ ბაღში, რა კარგია, რომ აქა ვართ!



ერთხელ გოლიათი შორეული მოგზაურობიდან შინ დაბრუნდა; ის შვიდი წელი თავის მეგობარს, კორნეულის კაციჭამიას სტუმრობდა; მართალია, სტუმრობა გაუგრძელდა, სამაგიეროდ, ყველაფერზე ლაპარაკობდა, რაც იცოდა და რაც არ იცოდა; საერთოდ, ის სიტყვაძვირი იყო და ამიტომაც საუბარს დიდ დროს ანდომებდა. ბოლოს და ბოლოს, გამოემშვიდობა თავის მასპინძელს და, როგორც იქნა, სახლამდეც მიაღწია.

და რას ხედავს?! ბავშვები მის ულამაზეს ბაღში ერთობიან, მხიარულობენ, იცინიან. გოლიათი განრისხდა და დაიღრიალა:

– აქ რას აკეთებთ?

შეშინებული პატარები აქეთ-იქით გაცვივდნენ და მიიმალნენ კიდეც.

– ჩემი ბაღია, ის ჩემია! – აბობოქრდა გოლიათი, – ეს ყველამ უნდა იცოდეს; რა თქმა უნდა, ჩემს გარდა და არავის მივცემ აქ გართობის უფლებას.

ბოლოს გოლიათმა ბაღს მაღალი გალავანი შემოავლო და ზედ აბრაც ჩამოკიდა წარწერით:

შესვლა აკრძალულია!  
ურჩი დაისჯება!

მოკლედ, დიდი ეგოისტი ვინმე იყო ეს ჩვენი გოლიათი. არადა, საბრალო ბავშვებს სადღა უნდა ეთამაშათ. გზაზე წვეტიანი ქვები ეყარა. პატარები ხეირიანად ვერც მტვერსა და ჭუჭყლში გაერთობოდნენ. ამიტომაც შეჰყურებდნენ ასეთი სინანულით მაღალ კედელს, ნაღვლიანად იგონებდნენ ულამაზეს ბაღს, იქ გატარებულ მხიარულ დღეებს და გული წყდებოდათ.



– ეჰ, რა კარგი იყო იქ, ამ კედლის იქით! – შესჩიოდნენ ერთმანეთს. მალე გაზაფხულიც დადგა. ხეებზე კვირტებმა რიგრიგობით დაიწყეს გაშლა, ციცქნა ჩიტუნები უგალობდნენ გაზაფხულს; მხოლოდ გოლიათის ეზოსა და ბაღში შენარჩუნებულიყო ზამთარი. იქ ხეებს არც უფიქრიათ აყვავება, არც ფრთოსნების ჭიკჭიკი ისმოდა. რატომ? იმიტომ, რომ იქ აღარ თამაშობდნენ ბავშვები!

ერთხელ ბალახიდან ახალგაშლილი ყვავილი ამოიწვერა, დაინახა გოლიათის მინანერი „შესვლა აკრძალულიაო“ და დალონდა, ძალიან შეეცოდა ბავშვები, მიმოიხედა ირგვლივ, მერე დასაძინებლად ისევ ჩაბრუნდა მინაში.

ოო, სამაგიეროდ თოვლი და ყინვა ხარობდნენ! რა კარგია, გაზაფხული არასდროს მოვა და ამ ბაღში მთელი წელი მხოლოდ ჩვენ ვიმეფებთო!

თოვლმა გადაფარა ბალახი, ყინვამ ვერცხლისფერი სირმებით მოქარგა ხეების ტოტები, ნამქერმა და სუსხმა კი ჩრდილოეთის ქარი მოიპატიჟეს; ისიც დამთხვეულივით მოვარდა და მთელი დღე ბაღში მიმოქროდა. ერჩოდა ლუმლის მიღებსაც, რომელთაც გვერდიდან არ სცილდებოდა. მერე ქარმა მოიხმო სეტყვაც, რომელიც ყოველდღე სასახლის სახურავზე დაბრაგუნობდა, კრამიტს ანგრევდა და ბაღშიც თავისი ნაცრისფერ-რუხი ტანსაცმლითა და გამყინავი ქშენით გრიალ-გრიალით ასკდებოდა ხეებს.

თავკერძა გოლიათი ფანჯარასთან იჯდა, გაჰყურებდა თავის გაყინულ ბაღს და ჯავრობდა, ეს გაზაფხული, ნეტავ, რატომ იგვიანებსო; იქნებ, გამოიდაროსო, მაინც იმედოვნებდა. მაგრამ გაზაფხული, არადა, არ მოდიოდა, არც ზაფხული. ის დიდი თავკერძა ვინმეა, ამბობდა გოლიათზე შემოდგომა. ასე რომ, ეს ჩვენი ეგოისტი – თავკერძა მარტოდმარტო დარჩა ცივი ზამთრისა და ჩრდილოეთის ქარის შემყურე.

ერთ დღით ახლადგაღვიძებულ გოლიათს უცნაური მელოდია შემოესმა. ნეტავ, სამეფო მუსიკოსები ხომ არ უკრავენო, გაიფიქრა; მაგრამ ეს თურმე კანაფის პატარა ღერო შრიალებდა. გოლიათი ისე გადაჩვეულიყო ჩიტების გალობას, რომ ღეროს შრიალიც კი ლამაზ ჰანგებად ჩაესმა. მოულოდნელად სეტყვა სადღაც გაქრა, ქარიც ჩადგა, ოდნავ შეღებული ფანჯრიდან კი დამათრობელმა სურნელმა შემოაღწია.

– აა, მგონი, გაზაფხული მაინც მოვიდა! – შესძახა გახარებულმა გოლიათმა.





მერე სასწრაფოდ ფანჯარაში გაიხედა და, მართლაც, უჩვეულო სურათის შემსწრე გახდა: ბავშვები სადღაცადან შემოპარულიყვნენ ბაღში და, როგორც ლამაზი სათამაშოები, ისე დაკიდებულიყვნენ თითოეული ხის თითოეულ ტოტზე. ახარებდათ ხეებს პატარების დაბრუნება, განცხრომისაგან აყვავებულიყვნენ კიდევ და კვირტებით დამძიმებული ტოტები ახლა ბავშვების თავზე ირხეოდნენ; გალობდნენ ჩიტუნებიც, ბალახიდან ნელ-ნელა ისევ მოცოცავდნენ ვარსკვლავა ნერგები და ათასფრად იღიმებოდნენ. ეს იყო შესანიშნავი სანახაობა.

მაგრამ ზამთარი ისევ დარჩენილიყო ბაღის მხოლოდ ერთ კუთხეში, იქვე კი პატარა ბიჭუნა იდგა და ტიროდა. დათოვლილ ხეზე უნდოდა ასვლა, თუმცა ვერ ახერხებდა. შორიახლო ჩრდილოეთის ქარიც დაძრწოდა და ხეს ეჯაჯგურებოდა.

– ამოცოცდი, ბიჭუნავ, ამოცოცდი! – ჩასძახოდა ხე პატარას და ტოტებს ხრიდა.

მაგრამ... ვერა! ვერ ნვდებოდა მას ბიჭი და მწარედ ტიროდა.

ამ დროს მოხდა სასწაული. გოლიათის გული გალღვა; იდგა ისევ ფანჯარასთან და საკუთარ თავს საყვედურობდა:

– მაინც როგორი თავკერძა ვიყავი! კი, ვხვდები უკვე, რატომ არ მოდიოდა გაზაფხული ჩემს ბაღში. მე ახლა ამ პატარას შემოვსვამ ხის ტოტზე, მოვანგრევ მაღალ გალავანს და ჩემს ეზოს ბავშვების სათამაშო მოედნად ვაქცევ!



და აი, გოლიათი ფეხაკრეფით დაეშვა კიბეზე, ფრთხილად გააღო ხის მძიმე კარი და ბაღში გავიდა. დაინახეს თუ არა ბავშვებმა გოლიათი, მაშინვე მიმოიფანტნენ; ცივი ზამთარი და ყინვა ბაღში ისევ მეფეთ-მეფეებად იწონებდნენ თავს. არ გაქცეულა მხოლოდ პატარა ბიჭუნა; ბავშვი ცრემლიანი თვალებით შეჰყურებდა ხეს და ვერც შენიშნა გოლიათი, რომელმაც ფრთხილად აიყვანა ის და ხის ტოტზე შემოსვა.

ხე მაშინვე აყვავდა, აჭიკჭიკდნენ ჩიტებიც. ბიჭი კი გახარებული მოეხვია გოლიათს კისერზე და მადლიერებით აკოცა. დარწმუნდნენ თუ არა სხვა ბავშვები, რომ გოლიათი უკვე აღარ იყო ეგოისტი და ბოროტი, ჟივილ-ხივილით შეცვივდნენ ბაღში. გაზაფხულიც მათთან ერთად დაბრუნდა.

– ბავშვებო, ამიერიდან ეს ბაღი თქვენია! – ამბობდა გოლიათი, თან მონდომებით ანგრევდა გალავნის მაღალ კედელს.

უკვე შუადღისას საშოვარზე მიმავალი მცხოვრებნი ხედავდნენ, როგორ თამაშობდა გოლიათი ბავშვებთან ერთად თავის უმშვენიერეს ბაღში.





ბოლოს და ბოლოს დამშვიდობების დროც დადგა.

– ის თქვენი პატარა მეგობარი სად არის? – იკითხა უცებ გოლიათმა, – აი, ის ბიჭი, მე რომ ხეზე შემოვსვი?

– არ ვიცი, ის სადღაც წავიდა, – უპასუხეს ბავშვებმა.

– აუცილებლად გადაეცით, რომ ხვალ არ დაავინყდეს ჩემთან მოსვლა!

ბავშვები გაოცებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს, არ ვიცი, ის ბიჭი სად ვიპოვოთ, მას არც ვიცნობთ, არც არასდროს გვინახავს ადრეო.

გოლიათი დალონდა.

ამის შემდეგ ბავშვები ყოველდღე მიდიოდნენ „დიდ მეგობართან“ სათამაშოდ, არ ჩანდა მხოლოდ პატარა ბიჭუნა, რომელიც ასე ძლიერ ენატრებოდა გოლიათს.

წლები სწრაფად მისდევდა ერთმანეთს. გოლიათი მოხუცდა, დაუძლურდა. ის უკვე ვეღარ ერთობოდა ბავშვებთან ერთად, თუმცა კი, როცა მოწყენილი იჯდა თავის ღრმა სავარძელში, პატარების ცელქობა და მხიარულება სიყვარულით ავსებდა.

– რამდენი უღამაზესი ყვავილია ჩემს ბაღში! – შენატროდა მოხუცი პატარებს, – ისე, ბავშვებზე მშვენიერი ხომ არაფერია ამქვეყნად!

ერთხელაც ზამთრის ჩვეულებრივ დილას გოლიათს გამოეღვიძა, ჩაიცვა და ფანჯარაში გაიხედა. მას უკვე აღარ ეჯავრებოდა ზამთარი, გაზაფხულს კი ამ დროს ეძინა, ყვავილებიც ისვენებდნენ.

და უცებ, ჰოი, გაოცებული და სახტად დარჩენილი გოლიათი თვალების ფშვნეტიტ მიაჩერდა ბაღის ერთ შორეულ, მყუდრო ადგილს, სადაც აღმართულიყო ხე,

თეთრყვავილებიანი საკვირველი ხე, ოქროს ტოტებითა და მოელვარე ვერცხლის ნაყოფით დახუნძლული. ნარგავის ქვეშ კი იდგა გოლიათის საყვარელი და ასე მონატრებული ბიჭუნა. თვალის დახამხამებაში დევკაცი ბიჭუნას წინ გაჩნდა, მაგრამ მისი დანახვისას უცებ მრისხანების ცრიატმა გადაუარა სახეზე და შეჰყვირა:

– ეს ვინ გაბედა?! ეს ჭრილობები საიდან გაქვს?! – ბიჭუნას ხელის გულებსა და ტერფებზე ნალურსმნი იარები ეტყობოდა.

– ეს ვინ გაბედა, მითხარი და ახლავე კისერს მოვუგრეხ, გავუსწორდები!!! – ღრიალებდა აღშფოთებული გოლიათი.

– არა! – მშვიდად წარმოსთქვა ბიჭუნამ, – ეს სიყვარულის ჭრილობებია!

გოლიათი განცვიფრდა, მითხარი, ვინა ხარ შენ?! და საამოდ გაოცებული ბიჭუნას წინაშე მუხლებზე დაეცა.

პატარამ თბილად გაიღიმა:

– ერთხელ შენ ნება დამრთე, რომ შენს ბაღში მეთამაშა, ახლა კი მე წაგიყვან ჩემს ბაღში, რომელსაც სამოთხე ჰქვია.

მეორე დღეს კი, როდესაც ბავშვებმა კვლავ შემოირბინეს საყვარელ ბაღში, გოლიათი მკვდარი დახვდათ; ის იწვა სწორედ იმ ქათქათა თეთრი ყვავილებით გადაპენტილი ხის ქვეშ.





ჰერ კიდევ V ს.-ში, ისტორიის უმოკლეს წარსულში, აღმართა ქართველმა ერმა ბოლნისი, კველი შუამთა, ნეკრასი, ურბნისი – დღესაც ასე მნიშვნელოვანი ქველები; საუკუნეებთან ერთად ქვის ქართველ დიდოსტატთა არქიტექტურული ნიშნულებით თანდათან მდიდრდებოდა ეროვნული საბანქოები. მაგრამ XIX ს.-ის დამდეგობიდან, როცა თბილისი გახდა ამიერკავკასიაში იმპერიის ადმინისტრაციული ცენტრი, დედაქალაქის ინფრასტრუქტურაში ნელ-ნელა გამოიკვეთა რუსეთში იმხანად გაბატონებული ევროპული არქიტექტურა, აიგო მოდერნის სტილში დაპროექტებული შენობები.

რუსებმა „ქვემო ნაბიჯი მახინჯი“ ამჯერად მკითხველს უამბობს XIX ს.-ის ბოლოს საქართველოში დასახლებული პოლონელი არქიტექტორის ალექსანდრე შიმკვევიჩის ავტორიტეტით შემქმნილ და დღეს ქალაქის ე.წ. „სავიზიტო ბარათებად“ ქვეულ იმ უნიკალურ ნაგებობათა შესახებ, რომლის გარეშე დღეს ქველად წარმოსადგინა თბილისის კოლორიტული სივრცის სრული პანორამა. თუ არ გინახავთ, გირჩევთ, ეწვიოთ მთაწმინდის კველ შუანს, სადაც პატარ-პატარა, კოვჩია იტალიურ ენობს მდიდრულად გადმოჰქუშებებს შიმკვევიჩის ერთ-ერთი მონუმენტური ქმნილება – „მართლმსაჯულების სასახლე“. თავბრუსხვევად მდიდრული თეთრი მარმარილოს კიბეები, წარმოუდგენელი სილამაზის უცხო რუჟურთები და ორნამენტები ინტერიერთან ერთად ვესტიბიულიდანვე გაქცევთ მეოცნებედ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, იგივე, „მართლმსაჯულების სასახლის“ მდივანთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ხათუნა ჩარკვიანი გვამბობს ამ ისტორიულ შენობასთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო ფაქტის შესახებ.

## "მართლმსაჯულების სასახლე" - ალექსანდრე შიმკვევიჩის მონუმენტური ქმნილება

ხათუნა ჩარკვიანი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ულამაზესი შენობა, ანუ „მართლმსაჯულების სასახლე“, როგორც მას დამსახურებულად უწოდებენ, მშენებლობის პირველივე დღეებიდანვე იმ სხვა ისტორიული მემკვიდრეობის გამორჩეულ ქმნილებათა შორის, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა შემოგვინახეს, გამორჩეული და ფასდაუდებელი ღირებულების მატერიალური კულტურის ძეგლია.

მართლმსაჯულების სასახლის უნიკალური შენობა, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი უზადო არქიტექტურით, კლასიკური და მეტად დარბაისლური იერით, თბილისის განუმეორებელი და უძველესი უბნის – მთაწმინდის ულამაზეს პანორამაში დაუფინყარ ქუჩაბანდებთან ერთად, იმთავითვე ჩაიბეჭდა მნახველთა მეხსიერებაში.

„მართლმსაჯულების სასახლის“ ისტორია სათავეს იღებს XIX ს.-ის ბოლოდან, როდესაც თბილისში ცნობილი პოლონელი არქიტექტორის ალექსანდრე შიმკვევიჩის პროექტით რამდენიმე შენობა აიგო.

ალექსანდრე შიმკვევიჩი 1885-1891 წლებში თბილისის არქიტექტორად მუშაობდა და ითვლებოდა ქალაქში ამ დარგის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად. პარალელურად, ის ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც – 1905-1906 წლებში არქიტექტურასა და ხატვას ასწავლიდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში.



მართლმსაჯულების სასახლის - ხელი

ალბათ, მეტად მნიშვნელოვანი იქნება, ჩამოვთვალოთ ის უნიკალური შენობები, რომლებსაც თავისი განუმეორებელი ხელი შეახო ალექსანდრე შიმკვევიჩმა და რომლებმაც თავიანთი ღირსშესანიშნაობებით თბილისი დაუფინყარ ქალაქად და მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობის თვალსაჩინო ძეგლად აქცია.

ეს შენობებია: შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია და აბრეშუმის მუზეუმის ულამაზესი ნაგებობა მუშტაიდის ბაღსა და ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს“ სტადიონის მიმდებარედ. მათი ფასადები, ძირითადად, რენესანსულ-ბაროკოს სტილშია გადაწყვეტილი.

როდესაც ალექსანდრე შიმკევიჩი უზენაესი სასამართლოს შენობის პროექტზე იწყებდა მუშაობას, არქიტექტორმა განსაკუთრებული რუდუნებითა და გულისხმიერებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს; მან კარგად იცოდა ქართველი ხალხის უძველესი არქიტექტურულ-კულტურული ტრადიცია, გაცნობიერებული ჰქონდა, ერის სულიერი ენერჯია რაოდენ შთამბეჭდავად იყო გამოვლენილი სიტყვასა და ქვაში.



ვესტნიბიულის აიბაზი

ალექსანდრე შიმკევიჩის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ **მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ჩანაფიქრს და საქართველოს 1894 წელს უსახსოვრა უზენაესი სასამართლოს ბრწყინვალე შენობა.** მისი ხუროთმოძღვრული დამუშავება ემყარება გვიანი რენესანსისა და ბაროკოს იტალიური, უმეტესად, რომაული პალაცოების ფასადთა მოტივებს, რაც ჩვენში XIX ს.-ის მეორე ნახევრის დასავლურმა არქიტექტურამ დაამკვიდრა.

ნ-სართულიანი მართლმსაჯულების სასახლე ყურადღებას იპყრობს თავისი უნიკალური კიბეებით, რომელიც მარმარილოთი და გრანიტითაა მოპირკეთებული; უნაკლოდაა დაგეგმარებული თითოეული სართული ინდივიდუალური მოსაცდელებით, სასამართლო დარბაზებით, სამუშაო კაბინეტებით, რომელთა შორის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ისტორიული დარბაზი, სადაც დღესაც სისხლის სამართლის პროცესები იმართება.

პროექტის მიხედვით პირველ სართულზე მოენყო დიდი განმანანილებელი ვესტიბიულები, რომლის კედლები მოხატულია კედლის მხატვრობის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით. მდიდრული შესასვლელის ცენტრში, თვალსაჩინო ადგილას, აღმართულია მართლმსაჯულების ქალღმერთის – თემიდას ფერწერული გამოსახულება.

**ვრცელ, გაშლილ ოთახს, ისტორიული დარბაზის ტიტულს რომ ატარებს, მართლაც, არაერთი ეპოქალური დღე უკავშირდება. საკმარისია, დავასახელოთ დიდი ილია ჭავჭავაძის მკვლელთა პროცესი, სადაც ღირსეული სიტყვით წარსდგა პოეტის ქვრივი – ოლა გურამიშვილი.**

**ამასთან, ეს დარბაზი არაერთი მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმის რეჟისორებს დაეთმო; უდიდესმა შემოქმედმა თენგიზ აბულაძემ „მონანიების“ სასამართლოს სცენა აქ გადაიღო. თანამედროვე გახმაურებული სერიალის „ტიფლისის“ ცალკეული ეპიზოდებიც ამ დარბაზში გათამაშდა. გიგა ლორთქიფანიძის „დათა თუთაშისაში“ გრაფი სეგედის სამუშაო კაბინეტს უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულების მუზეუმში დაცული უძველესი მწვანემაუდიანი ხის მაგიდა ამშვენებს.**

**ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი სივრცეა მართლმსაჯულების მუზეუმი, რომელიც მნახველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.** მუზეუმში გამოფენილია ნლების განმავლობაში რუდუნებით შეკრებილი მრავალი უნიკალური ნივთი, რომელიც თავისი დანიშნულებით სხვადასხვა ეპოქაში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში იყო საჭირო; მაგალითად, საშრობი, მელნის კალამი, საბჭოეთის პერიოდის საბეჭდი მანქანა, საქმის შესაკერი და ასაკინძი საშუალებები, განსაკუთრებულ საქმეთა და საიდუმლო მასალების შესანახი ზუმერიანი (ხმოვანი) სკივრი, უნიკალური ქართული სამართლის ძეგლების ფოტოილუსტრაციები და ორიგინალები, პოსტსაბჭოთა პერიოდის მოსამართლეთა მანტიები, რომელთა ფერი ინსტანციების მიხედვით განსხვავდებოდა.



ისპოხიანი დაბაზი





სასახლის მუზეუმი. შუაში: ბიჭვი სხეულის მახინჯი

ბიჭვის“ პროცესი; ასევე, 90-იან წლებში ამავე დარბაზში მიმდინარეობდა „მხედრონელთა“ გახმაურებული საქმე. აქ განთავსებულ რკინის გისოსებში ისხდნენ განსასჯელები და ხმაურით ელოდებოდნენ სასამართლოს განაჩენს.

მართლმსაჯულების მუზეუმში განთავსებულ საგანგებო გამჭვირვალე კარადებში ინახება უამრავი საინტერესო ნივთი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების დელეგაციათა მიერ უზენაესი სასამართლოსთვის სამახსოვროდ გადმოცემული საჩუქრებია. ეს ნივთებიც მუზეუმის ვიზიტორთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

მუზეუმს ხშირად სტუმრობენ საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ეწყობა შეხვედრები და სამართლის დარგში გამოცემული მნიშვნელოვანი ნიგნების პრეზენტაციები.

გადასტოვებული, დიდი თავშეკავებით გადაწყვეტილი სასახლის ინტერიერი ხელს უწყობს აუცილებელი ფსიქოლოგიური ზეგავლენის, ბარკვეულწილად, ამაღლებული განწყობის შექმნას. ცნობილია, რომ კედლებიც ზემოთაღებულ ადამიანზე და არსად ისე მნიშვნელოვანი არ არის ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპის დაცვა, როგორც მართლმსაჯულების აღსრულებისას.

მეოთხე სათუთლში, ვესტიბიულში, ვარდისფერი მარმარილოს სვეტების ტანტრში, თეთრ კვარცხლამაზე მოთავსებული იყო ჯერ იმპერატორ ალექსანდრე II-ის სკულპტურა, შემდეგ ვლადიმერ ლენინის, ხოლო 2004 წელს, მართლმსაჯულების სასახლის 100 წლისთავთან დაკავშირებით, დაიდგა სკულპტურული კომპოზიცია – შავ-თეთრი სფერო, რომელშიც სიგოლურად აისახა სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლა. სფეროს შემოვლელი აქვს ოქროსფერი სარტყელი, რომელზეც ასომთავრულით ინკრუსტირებულია შოთა რუსთაველის ცნობილი აფორიზმი – „ბოროტსა სქლია კეთილმან, არსება მისი ბრძელია“ (სკულპტურული კომპოზიციის ავტორი – არქიტექტორი კოტე მემანიშვილი).




IV სახეობის ვესტიბიული

უზენაესი სასამართლოს კლანდინის დარბაზს ამოვლენს უნიკალური ბოლოს ტალი, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრის ბოლოს ტალის ანალოგია, მხოლოდ მტრე მესტაბით.

ულაგაფის ბუმბათი, რომელიც მემქნე სათუთლს ამოვლენს, საბანგბოდ ტისფერი ფარისაა და გამჭვირვალე მინითა დაფარული; ნიშნად იმისა, რომ ამ ბუმბათის ზვით მხოლოდ ღვთიური საბართალია, ხოლო აქ, მიწაზე, საბართლიანი მართლმსაჯულების აღმსრულებლის ფუნქცია მხოლოდ უზენაესი სასამართლოს პაროგაბივია.

„მართლმსაჯულების სასახლის“ ორი ურთიერთკარალეული კორპუსი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ მთლიანობაში შენობას ჯვრის ფორმა აქვს.



სოხჯახვი

## სოხჯახვი "ნამაღი"

კლასიკური ხანის ბერძენ ფილოსოფოსს – სოკრატეს (ძვ.წ.აღ.-ის IV ს.) მისი ერთ-ერთი მოსწავლე შეეკითხა:

- ერთი ნახვით სიყვარულის წინააღმდეგ რაღიე წამალი ხომ არ იცით?!
- როგორ არა, – უპასუხა ფილოსოფოსმა, – უბრალოდ, მას მეორედ უფრო დაკვირვებულად უნდა შეხედოთ, ჩემო მეგობარო!..

## სიღამაზის ჯონჯახისი ჰიხვიღი ბამაღჯვბიღი ჯიხთვიღი ბობონა

XX ს.-ის დასაწყისში, კერძოდ, 1905 წელს, პარიზში დაწყესდა ყვავიღების ყოველწლიური დღესასწაული. ეს იყო უფრო კონკურსი, სადაც მხოლოდ მაღალი წრის გოგონები მონაწილეობდნენ.

იმ დროს პარიზში მშობღებთან ერთად ცხოვრობდა 15 წლის ქართველი თავადის ასული – ეკატერინე თარხან-მოურავი (გიორგი სააკაძის პირდაპირი შთამომავალი).

მამამ – გრიგოლ თარხან-მოურავმა, ჩინით პოლკოვნიკმა, თავის უღამაზეს ქალიშვილს ნება დართო, მონაწილეობა მიეღო პარიზელთა საგაზაფხულო დღესასწაულში.

კონკურსის წესით, თითოეულ მონაწილეს ყვავიღებით მორთული ეტლით უნდა ჩაეელო ხალხით სავსე ქუჩებში, ეტლს კი უკან უნდა გაჰყოლოდნენ გოგონები, ჩანთებით ხელში; პარიზელებს კალათებში სათითაოდ უნდა ჩაეგდოთ ფურცელი, რჩეულთა გვარ-სახელებით.

იმ დღეს, ყვავიღების პირველ დღესასწაულზე, ხმათა უმრავლესობით გამარჯვებულად დაასახელეს კავკასიელი სამხედროს ქალიშვილი ეკატერინე თარხან-მოურავი. ცისფერთვალა და ქერათმიანი მშვენიერი ქართველი გოგონას ეტლი ცისფერი ყვავიღებით ყოფიღა მორთული, რამაც ძალზე მოხიბღა პარიზელები.

ეს იყო, ფაქტობრივად, მსოფლიოში პირველი სიღამაზის კონკურსი. მეორე ადგიღზე გავიღა ავსტრიის პრინცესა, მესამეზე კი – იტალიელი მილიონერის ქალიშვილი.

გამარჯვებულ ეკატერინეს საჩუქრად ბრილიანტის თვღებით მოჭედიღი გულსაბნევი მიართვეს. ევროპაში აღზრდიღმა გოგონამ თბილისის სადგურში ბარგი და სავიზიტო ბარათი დაუტოვა მუშებს, ამ მისამართზე მიიტანეთო. იმ დღეს ბარგთან ერთად ჯიღდოდ მიღებუღი გულსაბნევიც დაიკარგა.



ეკატერინე თარხან-მოურავი



ნინო ციკლაური

## ეწიღები მწიღაღთაწ

მწერალ ნოდარ დუმბაძეს მეუღლე გაუხდა ავად. მოიწვიეს სხვადასხვა დარგის მედიკოსები. კონსიღიუმის შემდეგ თითოეული ექიმი ცალ-ცალკე მიდიღდა ნოდართან.

- ეს ჩემი ავადმყოფი არ არის!.. – ეუბნებოდნენ მწერალს.
- ავადმყოფი რომ ჩემია, ეგ კი ვიცი, თქვენ ის მითხარით, ჩემს ავადმყოფს რა სჭირს?! – კითხუღობღა ნოდარი.



ეს პუბლიკაცია მივიღეთ პრალიდან.

ბასული საუკუნის ბოლოს აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამო დღეს იმ ცნობებს სოსუველი და-  
ქმა – ჩხეთის სათვისტომოს თავმჯდომარე დიანა ბოქარია და ამჟამად უკვე ცნობილი „პრალი“ ადვოკატი  
პაატა ბოქარია. მათ გაგვიხილეს საკუთარი სურვილიც: წინააღმდეგ საოჯახო არქივში მოქმედი მათი  
მამის, სოსუველი პროკურორის, მართლაც რომ კოლორიტული პიროვნების, გივი ბოქარიას ჩანაწერები; როგორც  
ავიზისნა, ხშირ შემთხვევაში, ესაა ავტორის მოგონებები ცნობილ ადამიანებზე, თავს გადასდებენ საინტერესო  
ეპიზოდებზე, შეხვედრებები სხვადასხვა ქართულ ტრადიციასა თუ ადამიანებზე.

გივი ბოქარიას მოგვალი წიგნის ფრაგმენტი „თუ ვაზის სამოგლობო დაიბადებო“ უკავშირდება ერთ-ერთ  
ქართულ ტრადიციას – ეროვნული ნადიმისა და თამაშობის ფენომენს. ბანა არაა სააფხო, რომ საჭარტოვლოს  
ღვინის სამოგლობოს სტატუსს ანიჭებს 7000-წლის წინადადელი და სამარხებში დღეისათვის ნაპოვნი არაერთი  
არტეფაქტი (უკველესი მარნები, ქვევრები); ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ქვევრის სიმბოლოდ იქცა ვაზის  
ჯვარი; ვაზის კულტს უკავშირდება ზოგიერთი ქართული ხალხური სიმღერა, როგორც უმთავრესად თარიღდება  
VIII ს.-ით. ქართულ ქვევრსა და ღვინოს იუნესკომ „არამატარიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის“  
სტატუსი მიანიჭა. და, რაც მთავარია, სიტყვა „ღვინო“ მსოფლიოს მისცა ჩვენმა ქვეყანამ (ღვინო, ВИНО, WINE).

## „თუ ვაზის სამოგლობო დაიბადებო“

გივი ბოქარია

ქართული სუფრის ეტიკეტი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და იხვეწებოდა.  
დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სადაც ღვინო იწურება, სუფრასთან მსხდომნი  
ქართულიდან გავრცელებულ სიტყვა „თამადას“ იყენებენ და ამ დროს უმრავლესობამ  
არც იცის, რას ნიშნავს ეს, ან რომელ ენას უკავშირდება ეს ლექსიკური ერთეული.



თამადა, მე ვფიქრობ, უფრო ძნელია, ვიდრე ზოგიერთი  
პატარა ქვევრის მართვა. შეიძლება ითქვას, რომ ქართველები  
უკიდურესად ინდივიდუალური ხალხია; ამანაც განაპირობა  
თამადის ინსტიტუტის არსებობა საქართველოში.

სიტყვა „თამადა“ ძველ ქართულ ლექსიკონებში არსად  
ჩანს. პირველად მას ვკითხულობთ 1887 წელს, პეტერბურგში  
გამოცემულ დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონის ერთ-  
ერთ გვერდზე. „თამადა“ – ქართული პურობის, ნადიმის  
ხელმძღვანელადაა განმარტებული, „მერიქიფე“ – სუფრაზე  
ღვინის მიმწოდებლად, „მნდე“ – დამსხმელად იწოდება,  
„ღვინო“ კი ახსნილია, როგორც თავისით დადუღებული  
მათრობელა სასმელი.

„თამადის“ ნაცვლად ზოგჯერ თურქულიდან შემოსულ  
სიტყვა „ტოლუმბაშასაც“ იყენებენ. ალექსანდრე  
ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობით, „ტოლუმბაში“  
„ამხანაგების თავს“ ნიშნავს.

დალოცვის გარეშე ქართველ კაცს ღვინო არასდროს  
შეუსვამს, დალოცვის გარეშე სასმისი ტუჩებთან  
არ მიუტანია; „ღვინოც ქართული ხასიათისაა“ და  
იმიტომ; ქვეყანაში, სადაც 500-ზე მეტი ქართული  
ჯიშის კულტურული ვაზია აღწერილი, არც თამადაობის  
ეროვნულ ფენომენს მოეპოვება სადმე ანალოგი.

ბიხნაოს ჰახაჩი სანდუხუჩი «თამადა ყანით ხაღში».  
ძვ.წ. აღ-ით I ათასწლიანი.  
აღმოაჩინა ახანან, მსხეთასთან

საქართველოს ბევრი გამოჩენილი თამადა ჰყოლია, რომლებმაც ქართული სუფრა  
სულიერებით გაამდიდრეს, სიტყვით დაამშვენეს: შედან ჭილაძე, გულბათი ჭავჭავაძე,  
გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანები, რაფიელ და დავით ერისთავები, თედო  
რაზიკაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, რეზო  
ლალიძე, გურამ ფანჯიკიძე, დოდო აბაშიძე, თემიკო ჩირგაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გიგა  
ლორთქიფანიძე, გიზო ნიშნიანიძე, ზურაბ ქაფიანიძე, გია ბალაშვილი... და კიდევ  
ბევრი და ბევრი.

მათ შორის ჩვენ რამდენიმეს გავიხსენებთ.

## სელოვანი თამაღები

### შედან ჭილაძე

შედან ჭილაძე ცხოვრობდა XVII ს.-ში და იყო სამეგრელოს მთავრის, ლევან II დადიანის კარის სახელგანთქმული თამაღა. „ღვინის ცნობილი შემსმელი კაცის“ ამბავი (ასე იხსენებს მას საქართველოში ჩამობრძანებული XVII ს.-ის იტალიელი მისიონერი – არქანჯელო ლამბერტი) ჩაესმა ირანის შაჰსაც სეფი I-ს (შაჰ-აბას I-ის შვილიშვილი).

ლეგენდა გვიამბობს, რომ სპარსეთის შაჰს შიკრიკი გამოუგზავნია დადიანისთვის, ის თქვენი გამოჩენილი მსმელი აქ მაახლეთო.

იმ დროს სპარსეთში შაჰის საცოლედ აგზავნიდნენ თავად ათაბაგის ასულს და დადიანმა სხვა მხლებლებთან ერთად მაყრად შედან ჭილაძეც გააყოლა.

მას სპარსეთის სასახლეშიც უსახელებია თავი – თამაღობასა და სმაში ვერავინ აჯობა. ბოლოს თვითონ შაჰს გადაუწყვეტია, გავეჯიბრები ქართველ ჭილაძესო. პაექრობა რამდენიმე დღე გაგრძელებულა; იქამდე, ვიდრე სეფი I არ დასნეულებულა და სულიც არ განუტევებია.

**გამარჯვებულ მსმელსა და თამაღას – შედან ჭილაძეს საქართველოში დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ.**

### ალექსანდრე ორბელიანი

ალექსანდრე ორბელიანი (დაიბადა 1802 წელს) – ერეკლე II-ის ქალიშვილის – თეკლას ვაჟი, თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის (სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი მთავარი) ქორწილში ის აურჩევიათ თამაღად. ეს იყო 1839 წელს.

პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში ჩამოვიდა სამეგრელოდან მაყრონი, 50-კაცამდე; თეთრი სირმებით განწყობილი ჩოხა-ახალუხი ამშვენებდა თითოეულს; წარმოსადეგ დიდებულებს ერტყათ ვერცხლის ქამრები და ვერცხლისავე მოსავადებული ხანჯლები.

სუფრას ამშვენებდნენ ულამაზესი ქალბატონები: მენიკ დადიანი, ეკა ჩიჩუა, მანანა და მაიკო ორბელიანები.

ბატონი თამაღა ადგა, კედლიდან პაპისეული ყანწი ჩამოიღო, სავსე დოქი შიგ ჩააპირქვავა, წელში გაიმართა, სუფრას გადახედა და დაიწყო: „დიდად ბედნიერი ვარ, რომ ერეკლე მეფის ნაქონი ყანწი, რომელიც მე ალექსანდრე ჭავჭავაძეს ვუძღვენი, ეკატერინეს ქორწილში ისევ ხელში მიჭირავს და ვლოცავ ამ დიდებულ წყვილს. დღეგრძელნი იყვნენ, გამრავლდნენ და გაძლიერდნენ; მუდამ ახსოვდეთ სამშობლოს ვალი, ახსოვდეთ წინაპართა ჩვენთა თავდადება მამულისათვის... თხუთმეტი საუკუნეა მას აქეთ, რაც ქართველ კაცს ცალ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში – ჯვარი ქრისტესი. ჩვენი ქვეყნის ძველი დიდება ამ ხმალსა და ჯვარს დაუცავს...“

ალექსანდრე ორბელიანმა ყანწი ბოლომდე დაცალა და კახელებმაც დიდებული „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს. შემდეგ დავით დადიანის მაყრონიმა წამოიწყო მეგრული „გეფშვით ღვინით ხართითა“.

დილით აშლილმა სტუმარ-მასპინძელმა გეზი სამეგრელოსკენ, დადიანთა სამთავროსკენ აიღეს. ნეფე-დედოფალი ჩასვეს ტახტრევანში, რომელსაც უკან 100 ცხენოსანი მისდევდა, 50 ჩოხოსანი მეგრული და ამდენივე ქულაჯაში გამოწყობილი კახელი და ქართლელი.

სადადიანოში ჩასულ ჭავჭავაძეებს დილით ბოტანიკური ბალის ტერიტორიაზე გაუმასპინძლდნენ; სამეგრელოში ანაკლიის გავლით უკვე შემოჰქონდათ ყავა. კახეთში დაბრუნებულებს თურმე დიდხანს ახსოვდათ ცხელი სასმელი, რომელიც სამეგრელოში დააღვინეს. დადიანების ბაღში დღესაც არის დიდი ქვის მაგიდა, სადაც ნადიმის თამაღასა და სხვა სტუმრებს ყავით გაუმასპინძლდნენ.



«აღიანაზის ქვა» ზაზილში



**გულბაათი ჭავჭავაძე**



ენიხაიხი ფოტო, ბაღაუბანი XIX ს.-ის 60-იან წლებში.  
უხუე ასაოვანი ბაღაუბანი ჭავჭავაძე თათის საოოსოი

ლეგენდარულმა თამადამ, თავად გულბაათი ჭავჭავაძემ (1796-1863 წ.წ.) მთელი ცხოვრება წინანდალში გაატარა. მისი ოჯახიდან 7 გენერალი გამოვიდა. წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ინახება ლვინის სასმისი – კულა, რომელიც გულბაათს ეკუთვნოდა. გულბაათ ჭავჭავაძეს მოუხიბლავს საქართველოში სტუმრად ჩამოსული მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრე დიუმა. იმდროინდელი რუსული პრესაც წერდა მის შესახებ. საქართველოში სტუმრად მყოფ ალექსანდრე იმპერატორსაც ისე მოსწონებია ქართველი თავადი, თავის დაბადების დღეზე პეტერბურგში მიუწვევია.

იმპერიის სატახტო ქალაქში მთელი სასახლე შეიყარა, დიდებული სუფრაც გაიშალა. მასპინძელთა ყურადღება მიპყრობილი იყო საპატრიო სტუმრისკენ, რომელსაც ოთხლიტრიანი ყანწი ეჭირა. როგორც ამბობენ, გულბაათ ბატონმა

ქართულად ადღეგრძელა იმპერატორი და სასმისიც ბოლომდე გამოცალა.

ყანწი დაუშვა და ალავერდი იქ დამსწრე დიდგვაროვნებისკენ გადავიდა... თუმცა, როცა ირგვლივ მიმოიხედა, ნახა, რომ მამაკაცები სუფრიდან გაპარულიყვნენ; იმპერატორის უდღეგრძელობა როგორ იქნებოდა?! არადა, სხვა ვის შეეძლო ამ ყანწის დაცლა?!

გულბაათობა საქართველოში წლიდან-წლამდე გრძელდებოდა. თავადის მითითებით, საპატრიო სტუმრებს ინვევდა გიგო მოურავი. მასპინძელიც ილხენდა. ერთ დღესაც გულბაათ ბატონმა ადგომა დააგვიანა. საძინებელ ოთახში მოურავმა ის ტახტზე წამოწოლილი ნახა. უგუნებოდ მოეჩვენა.

– დღეს ვის ვუხმო სტუმრად, ბატონო ჩემო?! – ჩაეკითხა მორიდებით მოურავი.

– არა, გიგო, არავის... დღეს პირველი დილაა ჩემს ცხოვრებაში, როცა გავიღვიძე და სტუმარზე არ ვფიქრობ. დღეს, ალბათ, გავალ ამ წუთისოფლიდან... ასეც მოხდა.

**სიმონ (სიმონია) სხირტლაძე**



«ვახისა და ლვინის საოოობლო».  
ლვან ოსიაოვილი

პუბლიცისტი, ქართული ლიტერატურის მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე სიმონ სხირტლაძე (1912-1974 წ.წ.) თამადაობის დაწყებამდე მუდამ თავის საყვარელ ფრაზას წარმოსთქვამდა:

„ლვინოს ასხამს კლასიკუნა, სიმონი სვამს კლასიკურად“.

იმდენად ენაწელიანი და მჭევრმეტყველი იყო, იმდენად ხშირად ინვევდნენ სუფრის მესვეურად, რომ ყოფილა შემთხვევა, ერთ დღეში ერთდროულად ორ ქორწილში უნდა მოესწრო მისვლაც და თამადაობაც. რაჭაში, ონის რაიონის სოფელ ჩორდში ჩანერეს მისი ერთ-ერთი სადღეგრძელო:

„ძმებო, ვთქვით ჩვენი მშობლიური რაჭის სადიდებელი, მამაპაპური კერის საგალობელი; აქ მეგულება მამა-პაპათა საფლავები, წინაპართა სამლოცველოები, ჩემი ბავშვობის სანუკვარი, მაგრამ დღეს უკვე გაფრენილი წლები; და, აი, ახლა, როცა ჩემი სიცოცხლის მზეს ნელ-ნელა სიცხოველე აკლდება, როცა დღეს თუ ხვალ წუთისოფლის დამამხობელი ანგარიშს გამისწორებს, ჩემი საწადელი უცვლელია და რაინდული, მიიბაროს სხეული იმ მინამ, რომლითაც განგებამ მე ამაშენა, ადამიანის სახე და ხატება მომმადლა“.

**პეტრე ბოკერია**

თბილისელი ინჟინერი და ცნობილი თამადა, უბადლო მესიტყვე პეტრე ბოკერია ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენასაც; საზოგადოებაში თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ჩნდებოდა.

ქართველი ისტორიკოსი და ეთნოლოგი, თავად ენამჭევრი კონსტანტინე ჩოლოყაშვილი იხსენებს, რომ მის ახალგაზრდობაში ოქროპირობით განთქმულ თამადას – პეტრე ბოკერიას ყველა იცნობდა.

„სუფრაზე რომ შეეხვდებოდით, შევებდავდით ხოლმე:

– ძია პეტრე, დღეს რუსთაველით!..

კი, ბატონო! – დაგვთანხმდებოდა.

სხვა დროს კი ვეცყოდით, დღეს ვაჟათი, ლერმონტოვით, პუშკინით! და იმ დღეს ისიც სულ ამ პოეტების ლექსებით მოქარგავდა სადღეგრძელოებს“.

ბატონმა პეტრემ ლამაზად იცხოვრა ამ ქვეყანაზე. სიტყვაკაზმული სადღეგრძელოებითა და ომახიანი სიმღერებით ატკობდა თანამესუფრეებს. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს მათ მშობლიურ ენაზე ესიყვარულებოდა. ხშირ შემთხვევაში მის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს მქუხარე ტაშითა და ოვაციით აჯილდოებდნენ.



«ნაღიი». ფიჩოსმანი

**გიორგი (გოგლა) ლეონიძე**

საქართველოს სახალხო პოეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ვაჟა-ფშაველას ნათლულის გოგლა ლეონიძის (1809-1966 წ.წ.) თამადაობის ხელოვნება საყოველთაოდ ცნობილია; მისი ხმა, ქართული ტემბრი, სუფრასთან შემართება შესაშური იყო. ენამზიან თამადას პიროვნული ხიბლიც გამოარჩევდა. ერისა და ქვეყნის, თუნდაც, მაგიდის წევრთა დალოცვით უმდიდრეს სულს გადაგიშლიდა. მისი პოეტური სადღეგრძელო „გოგლაური“ ამის საუკეთესო ნიმუშია:

„მიმრავლოს აკვნის ფიცრები, მიცოცხლოს სამარგალიტო ყმანვილები, მიცოცხლოს ფუძე და კერა, ადგილის დედა, თვალგიშერა, იისთვალეზა ქალიშვილები, თვალცეცხლი ტალიკი ბიჭები, ტკბილი ქართული „დედა-ენა“... მიცოცხლოს მეკვლე, მეჭაშნიკე, მახარობელი, ძმა და მეგობარი. მიცოცხლოს წინაპართა დიდი სახელი... ქართველო ერო, გიმრავლოს მენწველი ფური, რქად აქნილი ჭედილა, არ გამოლოედეს შენს ტყეებს რქამალალი ირემი, ტურფა ხოხობი, დაჩითული კალმახი; გაუმარჯოს შენს სუფრას, სულ სადღეგრძელოდ ყოფილიყოს მამულ-პაპეული ჯამი, ყანნი, ფიალა, კათხა, ფარფალა აზარფეშა...“

ასეთი სიტყვაკაზმულობა, მართლაც რომ, ქართულ სუფრასთან თუ დაიბადებოდა.



სვაბისხოვცის ჩაუხითა. XI ს.

P.S. ჩემი პირველი მასწავლებელი, თამადა და შთამავრთველი მამაჩემი იყო. ჩვენს ოჯახში გვიჩვენებდა მის თამადაობას. ვიჯიჟი კუთხეში, ვუსმენდი უფროსებს და ვითვისებდი ქართული სუფრის წეს-ადათს, ვინიბლებოდი სადღეგრძელოებით.

სასმინით ხელში ფხვნი წამოდებოდა და თამადაობას სწირავდა ასე იწყებდა: „თუ ვაჟის სამუშაოში დაიბადები...“ ის თავისებურად ლოცავდა დედამიწის ზურგს, ცის ნამს, ხარის კისარსა და მუშაპატის მარჯვენას. მე გმონია, ეს ერთ-ერთი საუკეთესო სადღეგრძელოა, ქართულ სუფრასთან წარმოთქმული:

„დედამიწის ზურგს აუტილებლად სჭირდება ცის ნაბი. მასთან ერთად მიწას აუშავეებს ხარის კისარი და მუშაპატის მარჯვენა; მხოლოდ ეს განსაზღვრავს ოჯახის სარჩოს, შვეყნის დოვლათს, ხვალისდელ დღეს“. გვიჩვენებდა მიწვევას ამ სადღეგრძელოს გასაქმნიკვლად, მაგამ ამოდ; უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.



ზურა მანჯავიძის – ცნობილ მომღერალსა და ანსამბლ „ფორტეს“ წევრს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. საზოგადოება მას კარგად იცნობს. ხელოვნებასთან ერთად ზნეობის ერთგულიცაა ჩვენი დღევანდელი სტუმარი. არასოდეს ემღერება, თუ დასაწვრივია სტიმული, თუ მისი ხმა მარტო სტენიდან კი არა, ჭვეხნის გასაგონადაც უნდა გაჟღერდეს. „თუ საკუთარ თავს პროპაგანდით და არა ადვოკატივით არ ემყარები, ვერაფერს მიაღწევ“ – ასე მიაჩნია ზურა მანჯავიძის, მუდამ ღიმილიანს, გულწრფელს, აოზიტივის უხვად გამცემსა და საინტერესო რისკონდენტს, ანსამბლ „ფორტესთან“ ერთად „თბილისის მზის“ მესობის. შეუპოვად, დაუსრულებლად და მხოლოდ ჰართულად უმღეროს ჭვეხანს, რომელსაც ამერიკელმა ფოლკლორისტმა ალან ლომაქსმა „მსოფლიო მუსიკის დედაქალაქი“ უწოდა.

## ზურა მანჯავიძე: «ბოხოხი ყოფს, უფანი ახითიანებს»...

ნანა ჭანტურია

– ბატონო ზურა, ჩვენი რუბრიკის „წითელ ხალიჩაზე“ ამჯერად თქვენ „უნდა გაიაროთ“. მოგესვენებათ, „წითელი ხალიჩის ცნობილები“ ფასდებიან გარეგნობითაც, ჩაცმულობითაც, ეფექტური აქსესუარებითაც და ა.შ. მაგრამ „იალქანი“, შეიძლება ითქვას, ცოტა ჭირვეულიცაა რესპოდენტების შერჩევისას. მარტოდენ ნიშნით, „პოპულარულია“, ზურა მანჯავიძე ჩვენს „ხალიჩაზე“ ვერ მოხვდებოდა. ჩათვალეთ, რომ თქვენდამი უზომოდ კეთილგანწყობილი მასპინძლების გარემოცვაში ბრძანდებით. ბატონო ზურა, რასაც ეუბნებით პირველად შემხვედრს გაცნობისას, იგივეს მოვისმენდით ჩვენც...

– გამარჯობა. აი, ამ უნიკალურ ქართულ სიტყვას ვუუბნები შეხვედრისას უცნობსაც და ნაცნობსაც. მოკლედ, ამ დროს განსაკუთრებულობით არ გამოვიჩრვი; და მაინც – გამარჯობა, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, იალქნელებთან შეხვედრა.

– ჟურნალი „იალქანი“, რომლის არსებობის შესახებ დღეს შეიტყვეთ, განკუთვნილია ყმანვილთათვის, გზასაყართან მდგარი იმ გოგო-ბიჭებისთვის, სამყაროს აღქმას უკვე ვარდისფერი სათვალეების გარეშე რომ იწყებენ. ესაა ჩვენი შვილების, ყველა დროში ლალი, თამამი, ცოტაც ჯიუტი, მაგრამ გამოუცდელ ყმანვილთა თაობა. თქვენ ბრძანდებით დიდი, მყარი ოჯახის მამა და მეუღლე. როგორ ფიქრობთ, თაობათა შორის გაუცხოება როდის იწყება?

– ძალიან რთული კითხვაა, განსაკუთრებით მეორე ნაწილი; გაუცხოება ალბათ, იწყება მაშინ, როდესაც უფროს თაობას არ უნდა, გაუგოს ყმანვილებს; რატომღაც ავიწყდებათ, რომ თვითონაც იყვნენ იმ ასაკის და დიდი ხნის წინათ მათთვის ყველაფერი ეს უკვე ჩავლილია. რა თქმა უნდა, თავისი წილი პასუხისმგებლობა ორივე თაობას აქვს, მაგრამ უფროსებს მაინც უფრო მეტი, თან იმდენით მეტი, რამდენიც არის სხვაობა ასაკში.

– თქვენთან უკვე გადანყვეტილი გვექონდა შეხვედრა, როცა შევითყვეთ, რომ წლებადნელი წელი „ფორტესთვის“ საიუბილეოა. თავიდან თურმე პოეტური სახელი „თაიგული“ გერქვით და დღემდე თქვენი ხელმძღვანელი ქალბატონი ნუცა ჯანელიძეა. მერე კი ანსამბლის შეცვლილმა სახელწოდებამ „ფორტე“, რომელიც აზრობრივი მნიშვნელობით პრეტენზიულადაც უღერს, გაამართლა. ყოველთვის უხარია მსმენელს თქვენს ანსამბლთან, თითოეულ მის წევრთან შეხვედრა. აუდიტორიასთან „ფორტეს“ 30-წლიანი დიალოგი დღესაც ძალზე უშუალო და წარმატებულია. როგორ გაიხსენებდით 1991 წლის პირველ საკონცერტო დღეს, როცა მაყურებელმა გაგიცნოთ?

– ყველაფერი, რაც პირველად ხდება, დიდ მოლოდინსა და დიდ ემოციასთანაა დაკავშირებული. „ფორტეს“ ის პირველი საკონცერტო დღე არ იყო ჩემთვის საპრემიერო გასვლა სცენაზე. ჩემი ნათლობა უკავშირდება ბატონ ოთარ რამიშვილს, რომელმაც თავის სოლო კონცერტზე მამლურა. დედულეთში, ზესტაფონსა და თერჯოლაში იმ პირველი გამოსვლებითაც მივიღე თავისებური გამოცდილება; „ფორტეს“ „პირველმა ხმამ“ – მანანამაც ფსიქოლოგიურად კარგად მომამზადა და გამამხნევა (ის ბავშვობიდან მღერის). სიმართლე გითხრათ, შფოთვა და ლელვა ყოველი კონცერტის დაწყების წინ მეტ-ნაკლებად მაინც მუდამ თან გვდევს; მაგრამ ეს კარგიც არის, მუდამ შემართული და მობილიზებული, მუდამ პასუხისმგებლობით სავსე უნდა იდგე მისი აღმატებულება – მაყურებლის წინაშე.

– მარტივი ჭეშმარიტებაა – ადამიანი განვლილი გზით ფასდება. „Alter Ego“, იგივე, „სხვა მე“ რაღაცით გგავს, მაგრამ არ გიმეორებს. ამაში ვლინდება ქვეცნობიერი შესაძლებლობები, ინდივიდუალიზმი. რას ითხოვს ისეთს ზურა მანჯავიძე საკუთარი თავისგან, რასაც მაყურებელი ასეთი სიყვარულით პასუხობს მის „მეორე მე“-ს?

– ჩემ „Alter Ego“-თან დაუსრულებელი ომი მაქვს. სულ ვებრძვი და მებრძვის. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს. ხანდახან ვერ ვიგებ, შინაგანად რომლისკენ ვიხრები; მაგრამ ერთი ზუსტად ვიცი: თუ საკუთარ თავს არ ებრძვი, თუ პროკურორით და არა ადვოკატივით არ ექცევი მას, ვერაფერს მიაღწევ. მთავარი პირობა, რასაც მაყურებელთან მიმართებაში ჩემი თავისგან ვითხოვ, არის გულწრფელობა, რომელსაც მსმენელი აუცილებლად გრძნობს, აფასებს და შესაბამისადაც გპასუხობს.



ზურა მანჯავიძე

– ამ ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში ცნობილმა რუსმა მეცნიერმა, ფილოლოგიურ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ტატიანა ჩერნიგოვსკაიამ საინტერესო ფაქტი გაასაჯაროვა. კერძოდ, ის, რომ მოსკოვის ერთ – ერთ დარბაზში მოეწყო მუსიკალური კონცერტი. მისი მსმენელები, არც მეტი, არც ნაკლები, იყვნენ შინაური ცხოველები – ძაღლები და კატები. მეცნიერის საუბარს საღამოს ვიდუო-კოლაჟიც ახლდა. ძნელი იყო იმის დაჯერება, რაც კადრში ვნახე: ეს იყო სმენადქცეული ჩვენი ოთხფეხა მეგობრები. თუ თქვენ ცხოვრობთ „მუსიკით, სამყაროს რომ აძლევს სულს“ (პლატონი), ადამიანებისგან განსხვავებული კოდის მატარებელი ის მგრძობიარე არსებებიც თურმე გვაოცებენ ცოცხალ ბუნებასთან გენეტიკური კავშირით. როგორ შეაფასებდით მოსკოვის ამ „არაბომონდურ“, უჩვეულო საკონცერტო თავყრილობას?

– ქალბატონ ტატიანა ჩერნიგოვსკაიამდე შოთა რუსთაველის ვეფხვისტყაოსანში არამარტო შინაური, გარეული მხეცნიც კი მოდიოდნენ ყმის ნამღერის მოსასმენად და თან ყოველგვარი აკუსტიკური ეფექტების, ორკესტრის, ლამაზი დარბაზის გარეშე; და, რა გასაკვირია, ადამიანებთან გაზრდილი ჩვენი ოთხფეხა მეგობრების ინტერესი მუსიკისადმი. აღარაფერს ვამბობ „უდიპლომო სასიძოში“ ხელმოცარული მეცნიერის, კრახით დასრულებულ მუსიკალურ-ზოოლოგიურ ექსპერიმენტზე (ეს ხუმრობით); სერიოზულად კი, იმ „არაბომონდურ თავყრილობას“ ნამდვილად საინტერესო მიმართულებად მივიჩნევ. ცხოველებს ადამიანებზე მეტად აქვთ განვითარებული სხვადასხვა გრძობა და, შესაძლოა, მუსიკის მიმართ უფრო მგრძობიარე აღქმაც ჰქონდეთ.

– ალბათ, ეს შეკითხვა თქვენთვის, „ფორტეს“ თითოეული წევრისთვის ბევრჯერ დაუსვამთ. 30 წელიწადია, ერთად მოდიხარ, გვახარებთ, გვეამაყებით იმ თქვენი ქართული რეპერტუარით, ფილარმონიის წინ გახსნილი ვარსკვლავით; მანანა მაისურაძე, ირინა კახნიაშვილი, ნინო ახოზაძე და ზურა მანჯავიძე – მაინც რამ განაპირობა „ფორტეს“ პირობითი ფორმულა – „3+1“?

– ექსპერიმენტმა. ჯერ გოგონების „ტრიო“ შეიქმნა. შემოქმედებითი ძიების პროცესმა გამოკვეთა მცდელობა, რამდენად მოუხდებოდა გოგონების ხმებს ბიჭის ხმა, კერძოდ, ბანი. ჩვენ შემთხვევაში ექსპერიმენტმა გაამართლა.

– ბედნიერია ის, ვისმა გულმაც უფალი იპოვა, ბედნიერია მიმტვევებელი, ის, ვისაც დამოღმობისგან განსხვავებით, ვერაფრით გაუგია, „განსაკუთრებული მეხსიერება“ როგორ არ ღლის მავანთ. ბედნიერია, ვისთვისაც დრო ჩერდება, როცა უყვარს, ის მეოცნებეც, სხვისი არსებობა საკუთარზე მეტად რომ აბედნიერებს... გავაგრძელოთ ფიქრი... კიდევ ვინაა ბედნიერი?

– ძალიან ძნელია რამე ახლის მოფიქრება, როდესაც ამდენ დიდ მოაზროვნეს, ფილოსოფოსს, პოეტს, მწერალსა თუ საზოგადო მოღვაწეს უამრავი ბრძნული რამ უთქვამთ ბედნიერებასთან დაკავშირებით. ყველას ვეთანხმები და, ალბათ, თითოეულ მათ სტრიქონში, ჩადებულ აზრსა თუ არსში იმალება ბედნიერება. ჩემი მოკვალეული აზრით კი, ბედნიერებაა, როცა გნამს, როცა ეძებ, როცა პოულობ, როცა გიყვარს და როცა უყვარხარ, როცა იღიმი და გიღიმიან, როცა გჯერა და გიჯერებენ, როცა საყვარელ საქმეს ემსახურები; და როცა შენს მერე შენს კვალს დატოვებ.

– პოზიტივი, სამწუხაროდ, ნაკლებია ამ საყაროში, მიუხედავად ამისა, მზის გარშემო მბრუნავ დედამიწას სიკეთე ატრიალებს. და ატრიალებს იმ ძლიერ ადამიანებთან ერთად, საკუთარი თავის ძიებაში პიროვნებას რომ აღმოაჩენენ. ასე მგონია, ზურაბ მანჯავიძის ხმა მარტო სცენიდან კი არა, ჩაგესმის მაშინაც, როცა დუმილს მართალი კაცები არღვევენ. თაობის მეხსიერებას შემორჩა დრო, როცა ზურაბ მანჯავიძის პროტესტი გაბედვა იყო. ირეალური შეკითხვიდან გამომდინარე, ცხოვრებას, რომელიც მშვენიერიცაა და წინააღმდეგობებით სავსეც, რა ფერებით შელეზავდა ზურა მანჯავიძე?

– სიმართლე გითხრათ, გეთანხმებით. მაშინ ბევრად ადვილი იყო ჩემთვის პოზიციის არჩევა, ყველაფერი ზედაპირზე იყო და იმიტომ. ახლა, ცოტა არ იყოს, ვიბნევი, როცა არ ვიცი, ვინ ვინ და ვინ სად არის, ვინ ვისთან გადაპორტირდა და რად გარდაისახა, სხვისი თავგანწირვის ხარჯზე ვინაა ცხენზე შემოსკუპებული და ამით ვინ იბღინძება... დღეს სრული მენტალური ქაოსია და გაურკვევლობა. ამ სიტუაციის შესაფერისი ფერი არ არსებობს; ამ დროს აზელილი და ადღაბნილი, ერთმანეთთან შეუსაბამო ფერები ჭარბობს. ძალიან მინდა, დღესაც ფერთა ყველა გამა ერთმანეთში აიზილოს, რომ ცისარტყელას ფერების ერთმანეთთან არევის მსგავსად, ცხოვრება სიმშვიდის მომტან თეთრ ფრად გარდაიქმნას.



«ფორტე» - მანანა მაისურაძე, ირინა კახნიაშვილი, ნინო ახოზაძე, ზურა მანჯავიძე





ნანა ხანელიძე - «ფოჩხა» ხელმძღვანელი

- ძალიან პოეტურად და ლამაზად დაასრულეთ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისას ადამიანის ტვინი უჩვეულო ევოლუციას განიცდის. ტრილიონამდე რაოდენობის ნეორონები ერთმანეთისკენ მიიწვევენ, ჯგუფებიან რევოლუციური ძალის მქონე ერთიან ბირთვად. ჩვენშიც ასე არ იყო? მუდამ საერთო უბედურება გვაერთიანებდა, როცა უცხო მტრის პირისპირ მდგარი გათითოვებული ქართველები პირადზე მალლა სახელნიფობრივ ინტერესებს ვაყენებდით. ამან გაგვაძლებინა, გადაგვარჩინა. როგორ ფიქრობთ, ბატონო ზურა, მაინც რაზე გადის ქართველის ფიზიკური და სულიერი გადარჩენის ზღვარი?

- სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ იყო და ჩვენი ისტორია სავსეა ფაქტებით, როდესაც გარდაუვალი და ფიზიკური განადგურების რეალური საფრთხის წინაშეც კი, შიდა დაპირისპირებას, ამბიციებს, შულს, ლალატს და ბრძოლის ველის მიტოვებასაც კი ვახერხებდით ხოლმე. ალბათ, არაფერს ახალს არ ვიტყვი, რომ ხსნა ჩვენს რწმენაშია, ოღონდ არა მოჩვენებით, არამედ გულისმიერ და ძირეულ რწმენასა და ცოდნა-განათლებლაში, რომლის პოტენციალსაც, საბედნიეროდ, მოჭარბებულად ვხედავ ჩვენს ახალგაზრდებში. რწმენა, განათლება და შრომისმოყვარეობა - ამ სამ ფუნდამენტზე გადის ჩვენი სულიერი და ფიზიკური გადარჩენის ზღვარი.

- ცნობილი რუსი ქრისტიანი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდიაევი წერს, რომ, „რაც რელიგიური ადამიანისთვის არის ლოცვა, ის არარელიგიური ადამიანისთვის ხელოვნებაა“. ძალზე საინტერესო ინტერპრეტაციაა: ლოცვისა და ხელოვნების სასწორის პინებზე დადებით ბერდიაევი მათ თითქოს ერთმანეთს უპირისპირებს. და ამ დროს, მართლაც, ღვთის წყალობაა, დაიბადო ქვეყანაში, სადაც სიმღერა ოდითგან ლოცვად ყლერდა?

- გეთანხმებით, ძალზე ლამაზი ინტერპრეტაციაა. ბერდიაევი თითქოს ურწმუნო ადამიანს გულშემატკივრობს, იმიტომ, რომ იცის, იმ ურწმუნო ადამიანისთვის ღმერთამდე მისასვლელი გზა ზუსტად ხელოვნებაა. მართლაც ღვთის წყალობა და მადლია, როდესაც სიმღერისა და ლოცვის ქვეყანაში იბადები, სადაც ლოცვა, გალობა, სიმღერა მუსიკად აღიქმება და ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

- როგორც ერთ-ერთ თქვენს ინტერვიუში აღნიშნავთ, გული გწყდებათ, რომ აფხაზეთში ვერ წახვედით საომრად, ძმაკაცსაც შეუთანხმდით, სოხუმში ერთად უნდა წასულიყავით. მაშინ ახალდაქორწინებული იყავით, უკვე პატარაც გყავდათ. და ზურა კარანაძემ „ძმაკაცურად“ მოგატყუათ, დაგინდოთ. თვითმფრინავი, რომლითაც ის აფხაზეთში უთქვენოდ გაფრინდა, ააფეთქეს. მაპატიეთ, რომ თქვენთვის ძალიან მტკივნეულ ფაქტს შევეხე, მაგრამ მოწყვეტილი აფხაზეთი და სამაჩაბლო ქვეყნისთვისაც უმძიმესი რეალობაა. იმ 90-იანებში თქვენ ძალზე ახალგაზრდა იყავით. მეგობრები ან ნათესავები გყავდათ აფხაზეთში?

- მამაჩემის ძმა და მისი მონაგარი ცხოვრობდა სოხუმში; მთელი ბავშვობა იქ, იმ ზღაპარსა და მიწიერ სამოთხეში მაქვს გატარებული. ჩემი ნათესავები ომის შემდეგ, ძირითადად, საზღვარგარეთ მიმოიფანტნენ; ომს გადარჩენილებიდან ბევრმა მძიმე ყოფასა და უაფხაზეთობას ვერ გაუძლო და... ჩემი ძმაკაცის ზურა კარანაძის მამამ, ბატონმა თამაზმა მითხრა, მე არ მინდოდა, რომ ზურას ნეშტი თბილისში გადმოესვენებინათ, ამით თითქოს ჩემი კვშირის ძაფი განყდა აფხაზეთთანო. ეს გმირი შვილის გმირი მამის სიტყვებია. ზურაზე კი დღემდე გაბრაზებულიც ვარ და მადლობელიც.

- მიმდინარე წელი არამარტო თქვენთვის, „იალქნელებისთვისაც“ საიუბილეოა. სრულიად აპოლიტიკური საყმაწვილო ჟურნალი, რომელიც 25 წლის ხდება, სოხუმის დაცემიდან 4 წელიწადში შეიქმნა. ტრადიციული თემები, რომლებსაც ვაშუქებთ, მიმტვევებლურია, მაგრამ ის ჩვენი კუთხე რომ ქართულ-აფხაზეთია, ამას მუდმივად ვახსენებთ ახალგაზრდებს; ვყვებით ომზე, მაგრამ არც კითხვებს ვსვამთ და არც პოლიტიკურად ვაფასებთ მოვლენებს; გვენატრება, მაგრამ ხმას ვერავის ვაწვდენთ. ამ თემებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება „იალქნელების“ საშვია, რომლითაც „იალქანი“ უსათუოდ ჩავა სოხუმში. ჟურნალის უამრავ რუბრიკას შორის გამოვყოფთ ერთ-ერთს. ესაა „დაბრუნებამდე სათქმელი“. მოდით, დიალოგი დავასრულოთ თქვენზე პატარა მინაწერით; დაე, ქართველისა და აფხაზის საკრალურ შეხვედრამდე ზურა მანჯავიძის „დაბრუნებამდე სათქმელიც“ დარჩეს ჟურნალის ფურცელზე...

ვაპაქოთი, რაკვიზნუთა რა ახლიდან დავისუთო.  
ჩვენ გვიყვარს ენობანეთი, უბრალოდ, ამის გზ-  
სენება ვკჭირდება.  
ბონოოქი ყოფს, კძენითი ენობანებს.

ქარი მარადიული გამომკრავებელი კალაა, რომელიც ჩვენს სულშიც იჭრება და ჩვენს არსებობას აზრს სძენს. 12 წლის თაგუნა ზაქარაიას „ქარი“ პერსონიფიციკრებულია; როგორც თვითონ ამბობს, „ქარი ერთ კაცს ჰქვია“; ამიტომაც ქარი ადამიანებით გამოდგებით ფაციფუცოვს და ამ დავიდარაბაში რაღაც კარგად გამოდის, რაღაც – არც ისე ხეირიანად, მაგრამ მაინც „არ უბრაზდებიან და მასვე ატანენ წყენას.“

ქარი შემოქმედებითი ნებაგზია, რაც მარადიულ ბანახლებას გულისხმობს. ქარის გარეშე ხომ მართლაც კალიან მოსაწყენი იქნებოდა ყოფა! თაგუნა ზაქარაიასთვის „ქარი“ ნაწარმოების სათაურითაა, წარმოსახვითი სამყაროც, ჯერაც ბავშვურ სუპრცეფი მოქიებული ფერებზე და შემოქმედებით გზასაყართან ჩართული ღროც.

# ქ ა ხ ი

## თაგუნა ზაქარაია



ქარი ბუნებრივი მოვლენა არ არის... ქარი... ქარი ერთ კაცს ჰქვია; იგი ჩქარია და ბევრს დადის. გვერდით თუ ჩაგვიარა, ცოტა შეგცივდება; მაგრამ გვერდზე ან უკან კი არ გაიხედავ, რომ გაარკვიო, საიდან მოდიოდა ეს სუსხი. რომც მიტრიალდე, ვერ დაინახავ, რადგან იგი უჩინარია... ასე დადის... დადის და დადის... რომ ჩაივლის, ხან ხის უცებ გაუშვებს და ხეს აშრიანებს. ხან მინდორზე გაივლის

ტოტებს ჩაჰკიდებს ხელს, და ბალახს ააფორიაქებს... ხან კიდევ ჩაუვლის ადამიანს, ხელიდან რაიმე მსუბუქს გამოსტაცებს, გაიქცევა, გაეთამაშება, მერე ძირს დააგდებს და უკანმოუხედავად გარბის... აი, რა არის ქარი... ქარი კიდევ ღრუბლებსაც ეთამაშება... ხან აქეთ გადმოფანტავს, ხან იქით, ხან კიდევ სასაცილო ფორმებს აძლევს... ასეა, დადის ქარი აქეთ-იქით, ხან რას გააფუჭებს ხან რას, მაგრამ არ უბრაზდებიან და მასვე ატანენ ამ წყენას...

...ქარს ფოთლების შეგროვებაც უყვარს... დადის, დააბოტებს და თან ფოთლებს წყვეტს და ფანტავს. ხანდახან ქარი დაიღლება ხოლმე, ჩერდება და მაშინ არც ხეები შრიანებს და აღარც ფოთლები ცვივა... ქარს სულ რაღაც-რაღაცების კეთება უნდა; ამიტომ დიდხანს ერთ ადგილზე ვერ ჩერდება. მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საქმიანობა წისქვილის „ფრთების“ ტრიალია... გაივლის ამ წისქვილებთან, გაჰკრავს ხელს და ატრიალებს...

ქარი ყველგან დადის, ტყეშიც არის და ველშიც, მთაშიც არის და ბარშიც... ქარი ზღვაზეც გადის ხოლმე, ჩაჰკიდებს ხელს ტალღებს და გადმოქაჩავს ნაპირისკენ, როგორც საბანს... ქარი ძლიერი არ არის და ამიტომ დიდ ქვებსა და ლოდებს არ ეჭიდება, ყვავილებსა და ფოთლებს კი ადვილად ძრავს ადგილიდან...

ქარს სხვადასხვა ნახატიც უყვარს... ასევე, ხიბლავს ნაირფერი ტილოები; ამიტომაც, სადაც კი დროშას შეამჩნევს, უცებ მივარდება, ჩასჭიდებს ხელს, გამოქაჩავს, შეხედავს და მერე ისევ უშვებს ხელს...

ასე მიმოდის ქარი და ასე ერთობა... ქარს შვილიც ჰყავს... მას ნიავი ჰქვია... ნიავი ჩქარი არ არის; არც ძალა ერჩის და ვერც სუსხს ინვევს...

ხანდახან, როცა ქარი იღლება, ამ დროს მას ნიავი ცვლის... ადამიანებს ნიავი უყვართ და ნიავსაც უყვარს ადამიანები... ნიავი დაბალია, ამიტომ ხეებს ვერ აშრიანებს... უბრალოდ, შეხტება ხოლმე, როგორც შეუძლია, დაჰკრავს ხელს ხის ტოტებს, და ასე აცეკვებს მათ... ნიავი კი არ დადის, უფრო დაკუნტრუშობს, ასკინკილობს... ქარის პატარა, კეთილი შვილი ნიავ-ნიავით ყველას ეპრანჭება, თავს აწონებს...

არაფერი მითქვამს ქარის შორეულ ნათესავზე, ქარიშხალზე. ის სასტიკია, დაუნდობელი და ყველასთან ერთად მეც მეშინია მისი. საიდანღაც ბოროტულად მოვარდება ხოლმე და...

არა, არ მინდა მასზე საუბარი, არც ფიქრი...

მე მინდოდა, ქარს მივფერებოდი, ნიავსაც. მეთქვა, რომ ნიავი და ქარი ადამიანის მეგობრები არიან, რომ მეც ყოველთვის მსიამოვნებს მათ შორის ყოფნა.





დასამაგებელი პერსონაჟითა და მოულოდნელი ფინალითაა გამოჩენილი ნიჭიერი ავტორის, 13 წლის ელენე გიორგაძის ფსიქოლოგიური მოთხრობა „ანემოია“.\* მთავარი გმირი, რომელიც რეალურად იკვლევს ზღვარზე დასაჯების გზას, გვთავაზობს გარდაცვალებას და საკუთარ თავთან გასაუბრებლად.

სულისშემკვრელია მოთხრობის დასასრული, როცა სასოწარკვეთილ მთავარ პერსონაჟს ხელიდან ეცლება თავის მიერვე გამოგონილი საყვარელი გინდა, გზავილეს, რომ ამერიკიდან იგი დაუბრუნდება ჩვეულებრივ ყოფას, მაგრამ ბოლო აგზაზე თითქოს ანონსებს მოგვალე ქართველებს: „ამავე დღეს ნენე გამოემშვიდობა იმ საყვარელს, რომელსაც იცნობდა და უდიდესი მონათხრობა, სიყვარული და იმედგაცრუება ჩაიღო გულში...“ ელენე გიორგაძე, ჯერ სრულიად ახალგაზრდა ავტორი, სტრიქონებს შორის მოქცეული უთქმელოვით გვხიზლავს.

# ანემოია

ელენე გიორგაძე

დილით ყოველთვის ბებიის მომზადებული გემრიელი საჭმლის სუნი და ჩიტუნების ჭიკჭიკი მალვობებს.

– ნენე, ბები, ადექი, საჭმელი მზადაა!

ასეც ვიცოდი, ლოგინიდან წამოვდექი. ერთი... ორი... სამი... ოთხი... ერთი... ორი... ნაბიჯი არასწორად გადავდექი...

– მოდი მალე! სკოლაში დაგაგვიანდება!

კედლებს, გუშინდელსგან განსხვავებით, სხვა ფერი აქვთ... ერთი... ორი... გუშინაც ეს ვჭამე, მგონი, მომეწონა...

– გაკვეთილები ხომ იმეცადინე? კი, მანანა...



– გითხარი მე, რომ სახელით ნუ მომმართავ! აღარ მახსოვდა...

– კარგი, ბოდიში, ბე!..

მანანასთან ლაპარაკი არ მიყვარს, არც სხვებთან. ერთადერთი ქეთა მახარებს. სადაა ქეთა? დღეს არ მინახავს; ალბათ, ოთახში მელოდება...

– რატომ არ ჭამ?


– უი, დამავინწყდა...

– რა დაგავინწყდა?! საჭმელი გიდევეს ცხვირწინ! სულ გამაგიჟებ და ბოლოს მომიღებ შენ! შენი აზრით, იმ საცოდავ დედაშენს მოეწონებოდა შენი ასეთი საქციელი?!

მისი შვილია დედაჩემი; სულ იმას მისტირის, რომ აღარაა ამ ქვეყანაზე, მაგრამ ის არის, სულ ჩემთანაა; უბრალოდ, მანანას არ ელაპარაკება. აი, ქეთაც... ბებო ოთახიდან გავიდა და ქეთა მოვიდა. ქეთა მახარებს; ახლაც აქაა, გვერდით მიზის...

– როგორ ხარ, ნენე?

– კარგად, ქეთა, შენ?..



– მეც. სკოლაში უნდა წავიდეთ, ხომ გახსოვს?

– კი...

მართლა მახსოვდა...

– საუბრე გზაში დაასრულე და ბებიაშენს დაემშვიდობე!

– ახლავე...

ქეთა ხშირად მეხმარებოდა, თუმცა ყველაფერში ვერა.

გარეთ ხეებს უფრო მკვეთრი ფერები აქვთ. რატომ? მზე თვალებს მტკენს. მზემ იცის, თვალებს რომ მტკენს? ჩიტები ჭიკჭიკებენ. მაგათ, ალბათ, არ სტკივთ თვალები. ერთი... ორი... სამი... ოთხი... ერთი... ორი... სამი... ოთხი... ერთი... კლასში მივედი, არ დამგვიანებია.



\* – ანემოია – ნოსტალგია იმისა, რაც არ გინახავს, რაც არ განგიცდია.



ქეთა წავიდა... ალბათ, ამჯერადაც ჩემზე ლაპარაკობენ. ვიცი, ამ ბავშვებს არ მოვწონვარ. უკნიდან მიყურებს ვილაც. ვერ გავიხედავ; არც ის მესმის, რას ლაპარაკობს მასწავლებელი. ისინი ისევ მე დამცინიან... და, ღმერთო, როგორ მანუხებს სიგატერის სუნი!!! ზარი დაირეკა. სკოლაში ყოფნა არ მომწონს...

შემდეგი გაკვეთილი გავაცდინე. ტუალეტში ჩავიკეტე და დედას ვუსმენდი... დღეს კატებზე ლაპარაკობდა; ქეთას ყვავილები უყვარს, მე კატები.

- დე, იცი, ხანდახან მინდა, ფიქრი არ შემეძლოს...
- ვიცი, საყვარელო!



ბოლო გაკვეთილი მექნება ახლა, სახლში მალე წავალ...

- შემოდი, ნენე, დაჯექი მალე, რატომ დაიგვიანე?
- ბოდიში...
- კაი, მიდი, გაშალე წიგნი!
- ფიზიკის არაფერი მესმის, ამიტომ ხშირად ქეთა მართობს.
- მეხუთე გვერდზე გადაშალე, ვილაცას რალაცეები დაუხატავს! რალაც სასაცილო კაცები ეხატა და გამეცინა...
- ოჰ, ბრეგვაძე, გვითხარი ჩვენც, რა არის სასაცილო?!
- არაფერი ისეთი, მას, უბრალოდ, წიგნში ეხატა რალაც...
- მიდი, დაგვანახე ყველას!

- ახლავე, მას, აქ იყო! აქ ეხატა! ახლა კი...
- იცი, რა?! შენი სითავხედე უკვე მიუღებელია, ახლავე გაბრძანდი დირექტორთან!

ასეთი რამ პირველად არ მომხდარა, მაგრამ სხვა დროს მპატიობდნენ.

- ქეთა, შენც ხომ დაინახე? სად გაქრა, იცი?
- მე წავშალე.
- რა? რატომ?..
- ასე ჯობდა!
- კარგი...

მანანასთვის უკვე დაერეკათ და მოსულიყო.

- შენი აზრით, ძალიან მეჩხუბება?..
- არ ვიცი, არა მგონია!..

დირექტორი კარებთან დამხვდა. ქეთა უკვე სადღაც წასულიყო.

- შემოდი, აბა, მითხარი, რატომ გამოგიშვეს გაკვეთილიდან?

- უბრალოდ, ქეთამ მანახა წიგნში დახატული რალაც და გამეცინა, მერე კი მასწავლებელი გაბრაზდა და მანაც წაშალა ნახატი.

- მოიცა, მოიცა, ერთი წუთით. ქეთა ვინ არის?

- რას გულისხმობთ?
- მოსწავლეა ჩვენი? მაგრამ შენს კლასში არავინაა, ვისაც ქეთა ჰქვია!


- არა, არა, რას ამბობთ, რალაცა დაგავიწყდათ, ალბათ. ჩვენ ხომ დღესაც ერთად მოვედით...







დირექტორს სახე გაუფითრდა.  
 – ნენე, მერამდენე შემთხვევაა ეს? ხშირად ხდება ხოლმე ასე?  
 – დიახ, ხანდახან...  
 – ქეთის შესახებ გავიგე... კი-ი-დევ ვინმესთან მეგობრობ?  
 – დიახ, მმმ... დედასთან... იცით, დედამ დაბადების დღეზე  
 საჩუქარი მომცა, მერე კი ვერსად ვიპოვე...  
 – დედამ? როდის?  
 – ახლა რომ დაბადების დღე მქონდა...  
 გადათეთრებული სახითა და ხმის კანკალით დირექტორმა  
 ნენეს კარებისკენ მიანიშნა.  
 – ნე-ნენე, შე-შეგიძლია, ბებიას დაუძახო?



ბებიას გამოსვლას დიდი ხანი ველოდე, მაგრამ სახლში მალე  
 მივედი. მანანა, ალბათ, ძალიან ბრაზობს. ვიცი, სკოლაშიც  
 ისევ ჩემზე ლაპარაკობენ, არ მიყვარს სკოლა...  
 – სადილს შეჭამ?  
 – კი...  
 – მოდი, დაჯექი!  
 არ მშოიდა, მაგრამ არ მინდოდა ლაპარაკი. ქეთა მოვიდა.  
 გარეთ ჩიტები ჭიკჭიკებენ.



– დაასრულე ჭამა?  
 – კი, ბე.  
 – გამოდი, ეს ნამალი დალიე; რალაც ვირუსი დადისო და არ  
 მინდა, დაგემართოს.  
 – კარგი...  
 ასეთი ნამალი არასოდეს დამილევია. არ მომწონს მისი გემო.  
 – ნენე, საყვარელო, დღეს როგორ გრძნობდი თავს?  
 – ამმ, კარგად, რა იყო?..  
 – არაფერი, არაფერი, უბრალოდ ვირუსს უფრთხილდი!..  
 თავბრუსხვევა დამენყო, არა უშავს.. ახლა ქეთასთან მივალ,  
 ვილაპარაკებთ. იქნებ, დედაც მოვიდეს...

\* \* \*

– ქეთა?! – ჩაილაპარაკა ჩუმად გოგომ, – სად ხარ? ოთახში ხარ?  
 ჩუმად გამოალო თავისი ოთახის კარები და შეიხედა.  
 – სად ხარ? – უფრო ხმამაღლა წამოიძახა და მთელ სახლში  
 ნერვიულად დაიწყო სიარული, მერე სირბილი.



ქეთაა!!! დეე! ქეთაა! დეე! გთხოვთ, მიპასუხეთ, სად ხართ!  
 ძალიან მჭირდებით! – უკვე სასონარკვეთილი ყვიროდა  
 ნენე და ცრემლები ცვიოდა. ოთახებს შორის დარბოდა,  
 ეძებდა, ეძახდა, ტიროდა. მისი გახურებული ტანი, ბოლოს  
 და ბოლოს, გადაიღალა. ჩაიკეცა. სეირის მოყვარული ხალხი  
 ფანჯრებთან შეკრებილიყო და უყურებდა საწყალ გოგონას,  
 მისი სამყაროდან სხვა სივრცეში აღმოჩენილს... და ამას  
 ვერავინ ხვდებოდა... კიდევ დიდხანს ტიროდა იატაკზე  
 დავარდნილი, მანამდე, ვიდრე ძილი არ მოერია.



მანანა მიუახლოვდა და საბანი გადააფარა, შემდეგ კი დაჯდა  
 და მძინარე შვილიშვილის შემხედვარე ატირდა. ბოდიში მოუხადა  
 და შუბლზე აკოცა. მარტო მან და დირექტორმა იცოდნენ, რომ  
 ნამალი, რომელიც ფსიქოტროპულ აფთიაქში იყიდა, არ იყო ვირუსის  
 საწინააღმდეგო.  
 ამავე დღეს ნენე გამოემშვიდობა იმ სამყაროს, რომელსაც იცნობდა  
 და უდიდესი მონატრება, სიყვარული და იმედგაცრუება ჩაიდო გულში...

## ევარისტ გალუა – დაბადებიდან 210 წელი\* (1811 – 1832 წ.წ.)

21 წლის ასაკში დუელში მოკლული ფრანგი ევარისტ გალუა – ყველაზე ახალგაზრდა გენიოსი მათემატიკის ისტორიაში, თანამედროვე უმაღლესი ალგებრის დამფუძნებელი. მისი პედაგოგი აღნიშნავდა, რომ „ის მათემატიკის დემონს ჰყავდა შიშვროვითი“.

გალუას მემკვიდრეობას შეადგენს ლაკონურად დაწერილი რამდენიმე ნაშრომი, რომელიც, თავის დროზე, ძნელად გასაგები აღმოჩნდა მისი ეპოქის თანამედროვეთათვის; მათემატიკოსის მიერ აღმოჩენილმა „სასრულ ველთა თეორიამ“, რომელსაც ამჟამად „გალუას ველები“ ეწოდება, მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან 14 წლის შემდეგ მოიპოვა აღიარება.

1970 წელს მთავრის შორეულ მხარეს მდებარე ქაბატის ეწოდა მისი სახელი – ევარისტის.

### ნიჭი, რომელიც გვარში არავის ჰქონდა

ევარისტ გალუა დაიბადა პარიზის სამხრეთ გარეუბანში, ქალაქ ბურგ-ლა-რენში.

მამა, ნიკოლა გაბრიელ გალუა, იყო ნაპოლეონის მომხრე და თავის ქალაქში ხელმძღვანელობდა ლიბერალურ პარტიას. 1815 წელს, კუნძულ ელბადან ნაპოლეონის პარიზში დაბრუნების შემდეგ, ის ბურგ-ლა-რენის მერად აირჩიეს და ეს თანამდებობა შეინარჩუნა 1829 წლამდე, თვითმკვლელობამდე\*\*.

დედა, ადელიდა მარია დემანტ გალუა, იყო განათლებული ქალბატონი. მან შვილს შეასწავლა ბერძნული და ლათინური ენები და, სავარაუდოდ, არითმეტიკაც. თუმცა გაუგებარია, შვილს საიდან აღმოაჩნდა ეს ნიჭი; მანამდე გვარში არავის ჰქონდა ამ დისციპლინისადმი მიდრეკილება.



ევარისტ გალუა

### შარი – მეფის სადღეობრივად

12 წლის ევარისტის მათემატიკური განათლება დაიწყო 1823 წელს, როცა ჩაირიცხა ლუი ლე-გრანდის სამეფო ლიცეუმში. იქ სწავლობდნენ რობესპიერი და ვიქტორ ჰიუგო (ეს სკოლა დღემდე არსებობს).

ევარისტის ლიცეუმში სწავლების პირველივე წელს ურთიერთობა დაიძაბა სტუდენტებსა და ახლადდანიშნულ დირექტორს შორის. ეჭვობდნენ, რომ იგი ლიცეუმს გადასცემდა იეზუიტებს, რომლებიც მემარჯვენე რეაქციულ ფრთას ხელმძღვანელობდნენ. სტუდენტები პროტესტს ასე გამოხატავდნენ: უარს ამბობდნენ, ეგალობათ ეკლესიაში, წარმოეთქვათ ლუდოვიკო XVIII-ის სადღეობრივად. დირექციამ 40 სტუდენტი გარიცხა; მაშინ ევარისტი გადარჩა, თუმცა მასში გაიზარდა პროტესტის გრძნობა.

ლიცეუმი, შესაძლოა, ვერ აკმაყოფილებდა ახალგაზრდა მეცნიერის ცოდნისადმი სწრაფვას, ამასთან, ალგებრისადმი გადამეტებული ინტერესის გამო, რიტორიკას სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია და 15 წლის ევარისტი II კურსზე ჩატოვეს; სანამ ეს საგანი არ ჩააბარა, არ დაუშვეს ლიცეუმში.

\* – სოციალურ ქსელში უკვე დაანონსდა, რომ მომავალ წელს მთელ მსოფლიოში ფართოდ აღინიშნება ევარისტ გალუას გარდაცვალებიდან 190 წლისთავი.

\*\* – იეზუიტმა მღვდელმა გაუვრცელა ბოროტი ეპიგრამები, რამაც სკანდალი გამოიწვია.





ლი-ლა-ბიანის საფაოთი ცოთაში

**„შარეაქილი“ ბანიოსი**

მათემატიკის გაკვეთილებმა იპოლიტ ჟან ვერნიეს ხელმძღვანელობით მოსწავლეში გააღვიძა მათემატიკის ბანიოსი. ევარისტმა სასწავლო პროგრამაც ადვილად აითვისა და აქვე გაეცნო პირველად განტოლებების თეორიას, რომლის განვითარებაში შეიტანა უდიდესი წვლილი.

მათემატიკამ მთლიანად დაიპყრო ევარისტი, რამაც მეტ-ნაკლებად ჩამოაშორა ჰუმანიტარულ საგნებს; ამან გააღვიძა პედაგოგები. ევარისტს მოიხსენიებდნენ უცნაურად, თავისებურად, შერევილადაც კი. თვით ვერნიეც კი ვერ უგებდა გამორჩეულ სტუდენტს; ურჩევდა, თანაბრად

ესწავლა ყველა საგანი. ევარისტმა არ დაუჯერა ვერნიეს; გადამწყვიტა, მოსამზადებელი კურსის გარეშე ჩაებარებინა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ ჩაიჭრა.

წარუმატებლობამ, რასაც მის მიმართ უსამართლობით ხსნიდა, კიდევ უფრო რადიკალურად განაწყო გალუა ხელისუფლების წინააღმდეგ. ლიცეუმის უფრო მაღალი დონის მათემატიკის კლასში სწავლა მაინც ჯიუტად განაგრძო. ამჯერად საგანს ასწავლიდა გამოცდილი პედაგოგი ლუი რიჩარდი. რიჩარდმა გააცნობიერა, რა ფენომენთან ჰქონდა საქმე და მოითხოვა, ევარისტი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიეღოთ გამოცდების გარეშე. ამ ფაქტმა ახალგაზრდა მათემატიკოსს საკუთარი შესაძლებლობისადმი რწმენა შემატა.

1829 წელს გამოქვეყნდა გალუას პირველი სამეცნიერო სტატია წილადების შესახებ; მალე ძიებამ იგი მიიყვანა ალგებრულ თეორიამდე, რასაც ჯგუფები უწოდა. ამ თეორიაზე მუშაობდნენ სხვა მათემატიკოსებიც, მაგრამ ჯგუფების თეორიის დამფუძნებლის პატივი ევარისტ გალუას ერგო.

ჯგუფების სქემა დაფუძნებულია 15 წლის ევარისტის მიერ შესრულებულ ორ ცნობილ ნახატზე, რომელიც მეცნიერის გარდაცვალებიდან 16 წლის შემდეგ, 1848 წელს დაასრულა მისმა ძმამ, ალფრედმა. 16 წლის იყო, როცა მათემატიკოსთა კონკურსზე აიღო პირველი ადგილი. 17 წლის ასაკში ევარისტი გაუმკლავდა მათემატიკის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას, რასაც მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში ვერ წყვეტდნენ.


**როცა ღირექტორს მოლალატე უწოდა**

1829 წლის 25 მაისს, ლიცეუმის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, ევარისტმა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში წარადგინა სამეცნიერო სტატია.

გალუას რეფერენტი აკადემიაში იყო ცნობილი მათემატიკოსი ლუი კოში. სამწუხაროდ, არის აზრი, თითქოს მან დაკარგა გალუას ნაშრომი. თუმცა აღმოჩენილია კოშის წერილები, სადაც ვიგებთ, რომ ის მოითხოვდა ნაშრომის გაფართოებას მათემატიკის უმაღლესი აკადემიის პრემიაზე წარსადგენად. არის ვერსიაც, რომ „დაკარგული ნაშრომი“ უკავშირდება გალუას პოლიტიკურ შეხედულებებს.

წარუმატებლობის მიუხედავად, ევარისტი განაგრძობდა მუშაობას, აქვეყნებდა სტატიებს, სადაც ჩანდა, რომ მიღწეულს არ ჯერებოდა; ევარისტმა თავისი ნაშრომი კვლავ წარუდგინა აკადემიას.

1830 წელს რესპუბლიკელები გამოვიდნენ ქუჩებში, მეფე შარლ X, საფრანგეთის რევოლუციის მოწინააღმდეგე, ემიგრაციაში წავიდა. როცა ტახტზე ქვეყნის უკანასკნელი მონარქი ლუი ფილიპე ავიდა, აღმოფთვებული ევარისტი ამკარად შეუერთდა პარიზელ დემონსტრანტებს; წერილის გამო კი, სადაც მან „მოლალატე“ უწოდა ღირექტორს, იგი გარიცხეს ლიცეუმიდან.



ბალახ ხანახანი

**„ქარიშხლიანი გრძნობების კვალი...“**

მშფოთვარე გაზაფხულმა კულმინაციას მიაღწია 1831 წლის 9 მაისს, 19 რესპუბლიკელი ოფიცრის გათავისუფლების პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე. ალექსანდრე დიუმა, მამა, რომელიც ესწრებოდა ამ ბანკეტს, წერს: ადგა ევარისტი და ხალხს შესთავაზა ლუი ფილიპეს სადღეგრძელო, ამავედროულად, მეორე ხელით აიღო ხანჯალი.

ევარისტი მეორე დღესვე დააპატიმრეს და თვეზე მეტ ხანს ქალაქ პელაგიის ციხეში ამყოფეს. მოსამართლეებმა ასაკის გამო ის გაათავისუფლეს, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ისევ დააპატიმრეს არტილერიის ფორმის უკანონოდ ტარებისთვის. პელაგიის ციხეში ამჯერად მან 8 თვე დაჰყო.

პატიმრობამ გატეხა ევარისტი, დაეუფლა იმედგაცრუება, თვითმკვლელობაც კი სცადა; პარიზში ქოლერის ეპიდემიის გამო ის გადაიყვანეს წმინდა პელაგიას კერძო საავადმყოფოში. სწორედ აქ შეხვდა „მზაკვარ კოკეტს“. ეს გალუას ეპითეტია, გამოთქმული ახალგაზრდა ქალბატონის მიმართ; საავადმყოფოს ექიმის ქალიშვილთან სტეფანისთან რომანი იყო ხანმოკლე, მაგრამ ევარისტისთვის საბედისწერო. **იგი მეგობარს სწერდა:**

**„როგორ უნდა ნავშალო იმ ქარიშხლიანი გრძნობების კვალი, რომელიც გავიარე? რამ შეიძლება მანუგემოს, როცა ამომშრალია ყველაზე ტკბილი წყარო ნეტარებისა?..“**

**საიდუმლო დუელი**

1832 წლის 30 მაისს, გამთენიისას, ჟენტილიში ევარისტ გალუა სასიკვდილოდ დაჭრეს დუელში. ოფიციალურად კონფლიქტი სტეფანისთან სასიყვარულო ურთიერთობას უკავშირდება, მაგრამ სხვა ვერსიით, დუელის მიზეზად ასახელებენ ევარისტის პოლიტიკურ მოღვაწეობას.



ბალაზ ლანი

მონინალმდეგეებმა პისტოლეტებით ერთმანეთს რამდენიმე მეტრის მანძილიდან ესროლეს. სავარაუდოდ და სამწუხაროდ, ეს იყო ერთგვარი „რუსული რულეტი“, როდესაც მხოლოდ ერთი იარაღი იტენება. ევარისტს ტყვია მუცელში მოხვდა; დაჭრილი ყველამ მიატოვა; იგი რამდენიმე საათის შემდეგ შემთხვევით იპოვა ადგილობრივმა მცხოვრებმა და წაიყვანა კოშენის საავადმყოფოში.

**დღემდე არაა დადგენილი, ვისთან გაიმართა დუელი. თუმცა ირკვევა, რომ მას კონფლიქტი ჰქონდა ჰერბენილთან, ზემოთ ხსენებული 19 ოფიცრიდან ერთ-ერთთან, რომელიც, როგორც ჩანს, თანამშრომლობდა პოლიციასთან და შეასრულა პოლიტიკური დაკვეთა.**

1832 წლის 31 მაისს, 10 საათზე 21 წლის ასაკში გარდაიცვალა ევარისტ გალუა, დიდი ფრანგი მათემატიკოსი. ის დაკრძალულია მონპარნასის საერთო სასაფლაოზე.

**„უკვდავება არ იყიდება“**

ბალუსს მოკლე ბიოგრაფია, მისი რომანტიკული ბუნების გამო, საინტერესოა მათთვისაც კი, ვინც შორსაა მათემატიკისგან. არის ლეგენდა, თითქოს მათემატიკოსის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც მხოლოდ 60 გვარს მოიცავს, დიფერენციალური ფინა ლამის. მართალია, ევარისტის თავის მემორიას ავტორს შეეძლო ფინა ლამის დაწერა წერილში მართლაც წერს ახალ აღმოჩენებზე, მაგრამ ეს ნაშრომი ფინის მანძილზე, ბალუსს ადრეული ყმაფილობიდან იქმნებოდა.

„არ დაივიწყოთ, ჩანს, მე ბედად არ მფარა მაცხოვრა იმდენი, რომ ჩემი სახელი საშობლოდ სსონვანში დარჩენის დიხსი გამხდარიყო...“ – წუხდა ევარისტ ბალუს სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე (ამონარიდი მემორიისადმი გაგზავნილი წერილიდან). ტყუილად წუხდა ჭაბუკი ბენიოსი: მან თავისი სახელი არა მარტო საშობლოდ, არამედ მსოფლიოს დაამახსოვრა.

„უკვდავება არ იყიდება“, წერდა თავის დღიურში ბალუს. აჰი, არც გაყიდულა.



1. სად არის დასვენებული წმინდა ნინოს ჯვარი?

- ა) ბოდბეს მონასტერში (კახეთი);
- ბ) სიონის მონასტერში (თბილისი);
- გ) სვეტიცხოველში (მცხეთა).

2. რომელი ქართველი მეფის შვილი იყო ანტონ II კათალიკოსი?

- ა) ერეკლე II-ის;
- ბ) გიორგი XII-ის;
- გ) სოლომონ II-ის.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშაზე მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული რომელი მცენარეა გამოსახული?

- ა) დაფნა;
- ბ) გვირილა;
- გ) ზეთისხილი.

4. ვის სახელს უკავშირდება მეცნიერების დასაბამი?

- ა) პითაგორას;
- ბ) თალესს;
- გ) სოკრატეს.

5. რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული?

- ა) ბერმუდი;
- ბ) ირლანდია;
- გ) ვიქტორია.



6. რა ერქვა შალვა დადიანის ანტირუსული ტენდენციის რომანს „გიორგი რუსი“, რომელსაც საბჭოთა ცენზურამ სახელი გადაარქვა?

- ა) „უბედური რუსი“;
- ბ) „დამპყრობი რუსი“;
- გ) „ბეჩავი რუსი“.

7. ელდარ შენგელაიას კინოფილმ „ცისფერ მთებში“ არაერთგზის ნახსენებია ტილო „გრენლანდია“. სად არის იგი ამჟამად?

- ა) კერძო კოლექციაში;
- ბ) კინოსა და თეატრის მუზეუმში;
- გ) რეჟისორის ბინაში.

8. ვინაა ამ სტრიქონების ავტორი – „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს, ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის... და მე ვმღერი: აფხაზეთი ჩემი“.

- ა) შოთა ნიშნიანიძე;
- ბ) ტარიელ ჭანტურია;
- გ) მურმან ლებანიძე.

9. რენესანსის ეპოქის რომელი დიდი ხელოვნის ქმნილებაა „მჯდომარე ფიგურის ეტიუდი“ (1470 წლის ტილო), ლუვრის ერთ-ერთი სამუზეუმო ექსპონატი?

- ა) ლეონარდო და ვინჩის;
- ბ) მიქელანჯელოს;
- გ) რაფაელის.

# საკიბელი

## ეხოში ალბაჟილი

### ესგა მანია

თბილისში მოღვაწე ფოტოგრაფის –  
დანიელის პრეზენტაციის დაგეგმვიდან 175 წელი ..... 3

## შენი მოთხრობა

### მერაბ აბაშიძე

რეპრეზენტაციის ირემი ..... 4

## ზღვისპირა იანტილი

XIX ს.-ის საგაზეთო გზავნილები აფხაზეთიდან ..... 6

## ელითა ნიშანი

### გიორგი ლოგაშვილი

დიდი ქართველი, რომელსაც შთამომავლების  
გარდა არავინ იხსენებდა ..... 8

## ფაქტა დიხიანა

### მარიკა ახალაია

ლექსები ..... 15

## ო, ენა ჩემო

..... 16

## საბჭოთა ხეივანთა ქილიში

### ნუკრი მჭედლიშვილი

რუსული ოკუპაცია და ქართული ეროვნული  
მოძრაობის სამი დაუმარცხებელი გურჯი ..... 18

## თეატრალური აქტა

### დავით კოგანიძე

Deux ex machina ..... 22

## ზღაპარი ელიტისთვის

### ნუნუ ჯანელიძე

ძაფი და მარბალიტი ..... 26

## იხმის ნახშირი

..... 28

## მიხვალფიქრანი მსოფლიო

ნიგარია – „შავი კონტინენტის“ გიგანტი ..... 29

## ვესნიეზის ბაიტი

### ნინო ანგაბაძე

მამაჩემი რასაც მიყვებოდა ..... 32

## შენთვის თხიბნილი

### ოსკარ უაილდი

თავკერძა გოლიათი ..... 36

## ქვით ნაბები მათინა

### სათუნა ჩარკვიანი

„მართლმსაჯულების სასახლე“ – ალექსანდრე  
შომკვირის მონუმენტური ქმნილება ..... 40

## ჯიხა

..... 43

## შეხვედრა მომავალ ნიბნთან

### გივი ბოკერია

თუ ვაზის სამოგლობო დიბადა ..... 44

## ნითაც ხანიჩა

### ნანა ჭანტურია

ზურა მანჯავიძე: „გოროტი ყოფს,  
უფალი აერთიანებს“ ..... 48

## დაფიონი

### თამუნა ზაქარაია

ძარი ..... 51

### ელენე გიორგელიძე

ანემოია ..... 52

## ჩრდილთა ბა

ევარისტ ბალუა – დაგეგმვიდან 210 წელი ..... 55

## დახმეხე სანაშახს

..... 58

## ჩვენი მისამართი:

ძ. თბილისი, უზნაძის ძ. № 68.

ტელ.: (+995) 598 93 92 84;  
(+995) 599 12 66 80;

ელ-ფოსტა: print@csya.ge

ნალქანი № 1 (48). 2021 წ.

ტირაჟი: 300 ც.  
ფასი სახელმწიფოებრივად



ქურონალი გამომდის აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით





ISSN 1512-2026  
9 771512 202008

„ბელურები წვიმებში“. ანასტასია მარგინანი. 10 ლდის. ოჯახური